პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

წლიწადი მეშვიდე

კომუნისტი

საქ. კომუნისტური პარტიის ცენტრალური და თბილისის კომიტეტების და სრულიად საქართველოს მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების

ცაკის ორგანო

რედაქცია
თბილისი, კამოს (ყოფ. დიდი მთავრის) ქ. № 68, მეორე სართული

რედაქციაში საქმისათვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე, გარდა კვირა-უქმეებისა დილის 10 საათიდან ღამის 12 საათამდე.

ტელეფ.
) რედაქტორის 14—76
) მდივნის 10—68
) ღამის მორიგეს 18—80.

მთავარი კანტორა
თბილისი რუსთაველის პროსპ., № 84,
ტელეფონი № 8—81.

ხელისმოწერის ფასი:
მუშა-მოსამსახურეთათვის, გლეხების, წითელ-არმიელების, მოწაფეების და მასწავლებლებისათვის—1 მან., დანარჩენებისათვის—1 მან. და 30 კაპ.

განცხადებები:
საქართველოს ფარგლებში—ტექსტის უკან—80 კ. ნონპარელის სტრიქონი, ტექსტის შიგნით—1 მ. 60 კ.; საქართველოს გარეთ—ტექსტის უკან—1 მ. 50 კ., ტექსტში—3 მ.; განმცხადებელი გარდა განცხადების ფასისა იხდის 10% საქალაქო გადასახადს. თუ განცხადება იბეჭდება ხუთჯერ ტექსტის შეუცვლელად-შეღავათი შეთანხმებით. მთ. კანტორაში განცხადებები მიიღება 9—3½ ს., 3½ ს. შემდეგ განცხადება ღირს 20%-ით მეტი. სამგლოვიარო განცხადებები—15 და 20 მ.

პარასკევი, 23 სექტემბერი 1927 წ.

ყოველდღიური გაზეთი

ფასი 5 კაპ. № 215 (1960)

დღიური

- სარაევოში დააპატიმრეს სამხრეთ - სლავიის მუშათა და გლეხთა ბლოკის ბელადი სიმა მარკოვიჩი.
- პორტუგალიელ კომუნისტების გადასახლება აფრიკაში.
- ამერიკის ელჩად მექსიკაში დაინიშნა მორგანის საბანკო კომპანიის წევრი დვაიტ მოროუ.
- ნიკარაგუაში ამერიკის ჯარებმა მოკლეს ლიბერალების ბელადი ბარრისი.
- პრეზიდენტის დეკრეტით პოლონეთის სეიმის სესია შეწყვეტილია ერთი თვით.
- საკავშირო ცაკის მეორე სესია დანიშნულია 15 ოქტომბრისათვის ლენინგრადში.
- მოსკოვში ჩამოვიდა პურით ვაჭრობის რუსეთ - ბრიტანეთის საზ-ბის დელეგაცია.

ინდუსტრიალიზაციის სესხი

მიმდინარე წლის პირველ სექტემბრიდან დაიწყება საბჭოთა სახალხო მეურნეობის ინდუსტრიალიზაციის სესხის რეალიზაცია. ზედმეტია იმაზე სიტყვის გაგრძელება, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს ამ კამპანიის წარმატებით ჩატარებას ჩვენი მეურნეობის განვითარებისათვის. ამ შემთხვევაში საკითხი უმთავრესად ისმება ჩვენს წინაშე იმის შესახებ, თუ როგორი ორგანიზაციული და ტექნიკური ხასიათის ნაბიჯები უნდა გადაიდგას იმისათვის, რომ ინდუსტრიალიზაციის სესხის კამპანია უნაკლოდ და წარმატებით ჩატარდეს. ამ მხრივ ჩვენ, შეიძლება ითქვას, რამდენადმე კიდევაც დავიგვიანეთ. სულ ერთი კვირა დარჩენილა სესხზე ხელის მოწერის დაწყებამდე, და ჯერ-ჯერობით ადგილებზე არ არის სათანადოთ გაშლილი კამპანიის მოსამზადებელი მუშაობა.

პირველი და გადამწყვეტი მნიშვნელობა სესხის წარმატებით ჩატარებისათვის აქვს საბჭოთა საზოგადოებრიობის აქტიურად ჩაბმას ამ საქმეში. პარტიამ, პროფესიონალურ კავშირებმა, კოოპერაციამ, საკრედიტო ამხანაგობებმა, გლეხკომებმა, საბჭოებმა და სხვა ორგანიზაციებმა მხურვალე მონაწილეობა უნდა მიიღონ სესხის რეალიზაციის საქმეში.

ამ მიზნით განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ინდუსტრიალიზაციის სესხის პირობების გაშუქებას ფართო მასებში. უნდა ითქვას, რომ არა თუ ჩვეულებრივ მოქალაქემ, არამედ საზოგადოებრივ ორგანიზაციების მრავალი აქტიურ მუშაკმა დღემდის კიდევ არ იცის რა პირობებში იწარმოებს ინდუსტრიალიზაციის სესხის რეალიზაცია.

ასეთ მდგომარეობას დაკვრითი წესით უნდა მოეღოს ბოლო. საჭიროა ადგილობრივათ გაიმართოს ფართო კრებები ინდუსტრიალიზაციის სესხის პოპულიარიზაციის მიზნით. ჩვენი პრესა შეეცდება ამ მხრივ შესაფერი დახმარება აღმოუჩინოს ადგილობრივ მუშაკებს.

უნდა გაიგოს თვითეულ საბჭოთა მოქალაქემ, რომ ინდუსტრიალიზაციის სესხის ობლიგაციის შეძენით ის დიდ დახმარებას უწევს არა მარტო სახელმწიფოს, არამედ თავის თავსაც. ობლიგაციის შემძენი მიიღებს სარგებლად ყოველ წლიურ 6 პროცენტს, გარდა ამისა სესხი მომგებიანია და მოგებათა რიცხვი იმდენია, რომ მეტად დიდია მოგების შანსები, ყოველ 325 ობლიგაციაზე ხვდება თითო მოგება. ამასთან ერთად, იმ მიზნით, რომ ფართო მშრომელ მასას გაუადვილდეს სესხის განაღდებაში მონაწილეობის მიღება, დაწესებულია მრავალი სახის შეღავათები. კოლექტიურად ხელმოწერა, ფულის ნაწილ-ნაწილად გადახდა, ობლიგაციების ერთი ან რამდენიმე ნაწილის შეძენა და სხვა. საჭიროა ყველაფერი ეს ფართედ და გასაგები ენით განემარტოს მოსახლეობას. ეს მუშაობა კი საშუარია. ის დაკვრითი წესით უნდა ჩატარდეს.

ამას გარდა დიდი მნიშვნელობა აქვს კამპანიის ნორმალური მსვლელობისათვის საფინანსო ორგანოების მუშაობას. პირველ ყოვლისა უნდა მიღებულ იქნას ზომები იმისათვის, რომ სესხის ობლიგაციები თავის დროზე და სათანადო რაოდენობით იქნას დაგზავნილი ყველა რაიონებში. ადვილი შესაძლებელია, რომ ჩვენი აპარატის მოუქნელობის მიზეზით ობლიგაციების მიზანშეუწონილად დაგზავნა-დანაწილებამ დაიგვიანოს. ასეთ პირობებში, რა თქმა უნდა თითქმის მთელი მნიშვნელობა ეკარგება ყოველგვარ წინასწარ პროპაგანდისტულ ხასიათის მუშაობას. რომ ეს არ მოხდეს საჭიროა საფინანსო და ფოსტა-ტელეგრაფის ორგანოები და საკრედიტო ამხანაგობები, რომელთა მოვალეობასაც შეადგენს ობლიგაციების რეალიზაციის წარმოება, დაუყოვნებლივ შეუდგენ სამზადისს. ვიმეორებთ, დრო ისედაც ცოტა დარჩა და საქმის გადადება მიუტევებელი დანაშაული იქნებოდა.

დასასრულ არ შეიძლება არ შევჩერდეთ კიდევ ერთ გარემოებაზე, რომელსაც დიდი მნიშვნელობა აქვს სესხის წარმატებით ჩატარებისათვის. ეს არის პრესა. მთავარი ამ შემთხვევაში ისაა, რომ გაზეთი საკმაოთ სრულად და სწორად აშუქებდეს სესხის რეალიზაციის მსვლელობას ადგილებზე. გაზეთი ამას შესძლებს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მუშა და გლეხი კორესპონდენტები სათანადო დახმარებას გაუწევენ მას. უნდა იწერებოდეს კორესპონდენციები იმის შესახებ, თუ როგორ მიმდინარეობს სესხზე ხელის მოწერა ადგილობრივ, რა მონაწილეობას იღებენ სესხის რეალიზაციის ჩატარებაში ადგილობრივი პარტიული, საბჭოთა და საზოგადოებრივი ორგანიზაციები, რა აბრკოლებს ან უწყობს ხელს რეალიზაციას და სხვა. ასეთ წერილებს დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა ექნება.

ინდუსტრიალიზაციის სესხის წარმატებით ჩატარებისათვის ჩვენ გვაქვს მთელი რიგი ხელის შემწყობ პირობებისა. თვით ლოზუნგი ინდუსტრიალიზაციის შესახებ იმდენად პოპულიარულია ფართო მშრომელ მოსახლეობაში, რომ, უეჭველია ინდუსტრიალიზაციის სესხი ფართო გამოხმაურებას ჰპოვებს. გარდა ამისა, გამორკვეულია, რომ ქალაქად და სოფლად მოიპოვება თავისუფალი ფულის მარაგი, რომ ჩვენი ბაზარი არაა კიდევ შევსებული საკრედიტო ობლიგაციებით. ამასთან ერთად უკანასკნელ ხანებში შემჩნეულია მოსახლეობის ლტოლვა ფულადი და არა ნატურალური დაგროვებისადმი. წინათ, როცა ფულის კურსი მტკიცე არ იყო, მოსახლეობა უმთავრესად ნატურალურ დაგროვებას მისდევდა. ფულის კურსის განმტკიცებამ და ბოლო ხანებში ნაყოფიერად ჩატარებულ ფასების დაკლებამ ცხადჰყო, რომ ნატურალურმა დაგროვებამ დაკარგა თავისი პირვანდელი მნიშვნელობა, მის ადგილს კვლავ ფულადი დაგროვება იჭერს.

საჭიროა ამ პირობების სათანადო გამოყენება, რომ გამართლებულ იქნას ის იმედები, რომელსაც პარტია და ხელისუფლება ამყარებს ინდუსტრიალიზაციის სესხის რეალიზაციაზე.

ნილაბი აიხადეს

ჩინეთის ბურჟუაზიული კონტრ-რევოლიუციის ბორბალი ძალიან სწრაფად ბრუნავს ჩინეთის ბურჟუაზიისა და უცხოელ იმპერიალისტებს შორის პირდაპირი შეთანხმების მხრით. ამას ნათლად მოწმობს გომინდანის „საგანგებო კომიტეტის“ მიერ მიღებული დეკლარაცია და მის შესახებ ინგლისურ გაზეთ „ნორტ ჩაინა დეილი ნიუს“-ის მიერ გამოთქმული აზრები.

დეკლარაციაში განსაკუთრებით საყურადღებოა მისი ავტორების მხრით სუნ-იატ-სენის ანდერძების აშკარად უარყოფა. იქ პირდაპირ ნათქვამია: „სუნ-იატ-სენის ტაქტიკა, კომუნისტებთან კავშირის ტაქტიკა უარყოფილ უნდა იქნეს“. ეს არის პოლიტიკური განზოგადოება კომუნისტების დევნისა და სიკვდილით დასჯის, პრაქტიკის, მუშურ-გლეხური მოძრაობის ჩახრჩობის პრაქტიკის, რომელიც უკვე ნახევარი წელია რაც მეფობს იმ ტერიტორიაზე, რომელზედაც გომინდანის გენერლების ხელისუფლება ვრცელდება.

1925 წლის 11 მარტში, სუნ-იატ-სენი გარდაცვალების წინ, საბჭოთა კავშირის ცაკისადმი გამოგზავნილი მიმართვაში სწერდა:

„თქვენ მეთაურობთ თავისუფალი რესპუბლიკების კავშირს, იმ მემკვიდრეობას, რომელიც უკვდავმა ლენინმა დაუტოვა მსოფლიოს ჩაგრულ ერებს. ამ მემკვიდრეობის საშუალებით, იმპერიალიზმის მსხვერპლნი აუცილებლად განთავისუფლდებიან იმ საერთაშორისო წყობილებისაგან, რომლის საფუძველსაც დასაბამიდანვე შეადგენს მონობა, ომები და უსამართლობა. მე ჩემს შემდეგ დავსტოვებ პარტიას, რომელსაც ყოველთვის ექნება კავშირი თქვენთან იმ ისტორიულ ბრძოლაში, რომელიც სწარმოებს ჩინეთის და სხვა ჩაგრული ქვეყნების საბოლოო განთავისუფლებისათვის იმპერიალიზმის მონობიდან. ამ მიზნით მე დავავალე პარტიას მუდმივი კონტაქტი იქონიოს თქვენთან. მე ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ თქვენ ჩვენს ქვეყანას მომავალშიც ისევე აღმოუჩენთ დახმარებას, როგორც დღემდე“.

ცნობილია აგრეთვე სუნ-იატ-სენის განცხადებანი გომინდანისა და ჩინელი კომუნისტების კავშირის აუცილებლობის შესახებ.

სუნ-იატ-სენის სიკვდილის შემდეგ მოხდა ისეთი ამბები, რომლებმაც ჯერ კიდევ ამ ახლო ხანში სუნ-იატ-სენის მომხრე ჩინეთის ბურჟუაზია ჩინეთის ხალხის გამცემლობასა და ღალატის გზაზე დააყენა. როცა ბურჟუაზიულმა ჯალათებმა კომუნისტების დევნა და ხოცვა დაიწყეს, ისინი პირველ ხანებში სცდილობდენ ფორმალურად სუნ-იატ-სენის სახელს ამოფარებოდენ. მაგრამ რაც ხანი გადის, მით უფრო ნათელი ხდება ყველასათვის მათი სიყალბე. და აი, დაბოლოს, ნილაბს იხდიან, გომინდანის ხელმძღვანელი ორგანიზაციის გადაწყვეტილებაში აშკარად აცხადებენ, რომ სუნ-იატ-სენის ტაქტიკა „უნდა იქნას მიტოვებული“. ეს იმას ნიშნავს, რომ ჩინეთის ბურჟუაზიის ბელადებმა და იდეოლოგებმა სავსებით აიღეს ხელი გომინდანის მთელ რევოლიუციონურ წარსულზე, გაწყვიტეს კავშირი ყოველივე იმასთან, რაც სუნ-იატ-სენმა დააწერა გომინდანის რევოლიუციონურ დროშაზე. ეს დროშა მათ გახადეს კონტრ-რევოლიუციის დროშად.

სუნიატსენიზმი, ცხადია, არ არის კომუნიზმი. სუნიატსენიზმის მოძღვრება არ სცნობს [illegible] დიქტატურას. მაგრამ სუნიატსენიზმი ისტორიულად იყო ჩაგრული კოლონიალური ხალხის რევოლიუციონური იდეოლოგია, რომელიც იბრძოდა გარეშე იმპერიალისტების ჩაგვრისა და შინაური პარაზიტ-ფეოდალების წინააღმდეგ. მიუხედავად უტოპიური ხასიათისა, სუნ-იატ-სენის მოძღვრება ისტორიული საქმეა, რომელიც მხარ და მხარ მისდევს ჩინეთის მუშებს.

ჩინეთის მუშათა კლასმა თავისი რევოლიუციონურ-კლასობრივი ბრძოლებით მთელ რიგ წლების მანძილზე დაამტკიცა, რომ მხოლოდ ის არის ნამდვილი რევოლიუციონური კლასი, რომ მხოლოდ მას შეუძლია უხელმძღვანელოს მთელი ჩინეთის ხალხს მის ბრძოლაში განთავისუფლებისათვის. ამ ახალგაზრდა გმირულ რევოლიუციონურ კლასს მეთაურობენ ჩინელი კომუნისტები. გომინდანის ხელმძღვანელთ არ შეეძლოთ გამიჯვნა ჩინეთის კომუნისტურ პარტიისაგან მანამდე, სანამ ისინი ემყარებოდენ ჩინეთის პროლეტარიატის ძალას იმპერიალიზმის ძალების წინააღმდეგ. სუნ-იატ-სენმა იცოდა ეს. მისი „მემკვიდრეების“ გათიშვა კომპარტიისაგან ნიშნავდა გათიშვას მუშებისა და გლეხებისაგან, ნიშნავდა მათ საბოლოო გადასვლას უცხოეთის იმპერიალიზმის მხარეზე ჩინეთის ხალხის წინააღმდეგ ბრძოლაში.

გათიშვა ჩინეთის მშრომელ მასებისაგან ნიშნავს აუცილებელ კავშირს იმპერიალისტებთან მათ ბრძოლაში ამ მასების წინააღმდეგ. ეს იცოდა სუნ-იატ-სენმა და ამიტომ თავის მემკვიდრეებს აღთქმად დაუტოვა კავშირის შენარჩუნება კომუნისტებთან. აი, სწორედ სუნ-იატ-სენის ამ მთავარ აღთქმას უღალატეს მისმა მემკვიდრეებმა ჯერ ფარულად, როდესაც სუნ-იატ-სენის სახელით ილაშქრებდენ კომუნისტების წინააღმდეგ, ხოლო შემდეგ კი აშკარად პირდაპირ გამოაცხადეს სუნ-იატ-სენის ტაქტიკის უვარგისობა.

ამბების მსვლელობა თვალსაჩინოდ ამტკიცებს, თუ რამდენად სუნ-იატ-სენს სწორად ესმოდა ჩინეთის სინამდვილე, როდესაც ის ჩინეთის ხალხის განთავისუფლებისათვის იმპერიალიზმის წინააღმდეგ ბრძოლის მიზანს უკავშირებდა კომპარტიასთან კავშირის დაჭერის აუცილებლობას, ვინაიდან ნანკინ-უხანის ეხლანდელი მთავრობა, რომელმაც დაგმო სუნ-იატ-სენიზმის მთავარ პუნქტში, აუცილებლად მიექანება უცხოეთის ექსპლოატატორ-იმპერიალისტებთან შეთანხმების გზით. რომ ეს ასეა, ამას მოწმობს შანხაის ინგლისურ გაზეთის „ნორდ ჩაინა დეილი ნიუზის“ გამოსვლა ნანკინის საგანგებო კომიტეტის დეკლარაციასთან დაკავშირებით.

როგორც ჩინეთიდან მიღებული დეპეშა აღნიშნავს, „პირველი შემთხვევაა, რომ ამ გაზეთის მოწინავე, რომელიც ეხება ახალი მთავრობის შედგენას, არ შეიცავს ლანძღვა გინებას გომინდანის მთავრობისა და სამხრეთის მოძრაობის მისამართით“. ინგლისის იმპერიალისტების დაქირავებული კალმოსნები ესალმებიან გომინდანელთა დეკლარაციას და ახალი მთავრობის წევრებს უწოდებენ „ნდობის ღირს ჯენტლმენების“ სახელს, ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით. ოღონდაც! „ნამდვილ სუნიატსენელთა“ (!) დეკლარაცია ხომ მთლიანად მიმართულია კომუნისტების წინააღმდეგ და მასში კრინტიც კი არაა დაძრული იმპერიალისტებისა და მილიტარისტებთან ბრძოლის შესახებ. განა ისინი ქების ღირსი არ არიან ინგლისის ბურჟუაზიულ კალმოსნების მხრივ?

განსაკუთრებით თავხედურად (და დამახასიათებლად) მოისმის ამ საპოლიციო ფურცლის განცხადება, რომ მთავრობის წევრები „აუცილებლად დაგმობენ ნანკინის აღების დროს ჯარისკაცების მიერ დაშვებულ საქციელს“. გაზეთი მოითხოვს, რომ მთავრობის წევრებმა საჯაროდ დაგმონ ის.

აქ ლაპარაკია იმ „ჯარისკაცების“ შესახებ, რომელთა „საქციელიც“ ნანკინის აღების დროს ინგლისის სამხედრო სარდლობამ გამოაცხადა ინგლისის სამხედრო გემებიდან ნანკინისათვის ყუმბარების დაშენის საბაბად. „დაგმობა“, რომელსაც ინგლისური გაზეთი მოითხოვს ნანკინის მმართველებისაგან, ნიშნავს, არც მეტი არც ნაკლები, ნანკინისათვის ყუმბარების დამშენ ინგლისელ ჯალათების საჯარო გამართლებას, არაფერი გასაკვირი არ იქნება, თუ ინგლისის დერჟიმორდები მიაღწევენ ნანკინის დღევანდელ მმართველებისაგან ჩინეთის ხალხის უფლებისა და ღირსების „დაგმობას“: მოღალატეობები ადვილად დაგმობენ ყველაფერს „ვერცხლის“ გულისათვის. ნანკინელ და უხანელ ჯალათების ფინანსიური საქმეები ეხლა ხომ მეტის მეტად სავალალო მდგომარეობაშია.

მარტო ამგვარი „მოთხოვნის“ წარდგენა ნანკინის მთავრობის „ჯენტლმენებისათვის“ მათ ქება-დიდებასთან ერთად საუკეთესოდ მეტყველებს იმ ცვლილების შესახებ, რომელიც უკანასკნელ ნახევარ წელს მოხდა გომინდანში, 1927 წლის გაზაფხულზე ინგლისის იმპერიალისტები საზღვაო ზარბაზნების ენით ელაპარაკებოდენ გომინდანის მთავრობის ხელში მყოფ ნანკინს, ეხლა კი ინგლისის იმპერიალისტები უწოდებენ ნანკინის მმართველებს „ჯენტლმენების“ სახელს და ყოველგვარ ყაიდაზე ქება-დიდებას ასხამენ მათ. ეს იმას ნიშნავს, რომ ისტორია შლის იმ ბრძოლის უკანასკნელ კვალს, რომელსაც გომინდანი ოდესღაც აწარმოებდა ინგლისის იმპერიალიზმის წინააღმდეგ. ჩინეთის ბურჟუაზია მუხლს იდრეკს ინგლისის იმპერიალიზმის წინაშე.

გომინდანის კონტრ-რევოლიუციონური გაზეთები ჩინეთში, კომუნიზმთან ბრძოლის მიზნით, უშვებდენ გომინდანის „ბეჭდვითი კომიტეტის“ მიერ გამოშვებულ „ლოზუნგებს“. ამ ლოზუნგებ შორის, მაგალითად, იყო ასეთი: ძირს ყველა ის, ვინც შეურაცყოფს და ჩირქს სცხებს ჩვენს განსვენებულ ბელადს დოქტორ სუნს; ძირს ყველა კონტრ-რევოლიუციონერები; ძირს ყველა ოპორტიუნისტები, ძირს ყველა მოსყიდული მოხელეები და პოლიტიკური ოპორტიუნისტები, ძირს ყოველგვარი სახის იმპერიალიზმი! ეს ლოზუნგები პირდაპირ სამასხაროდ მოისმის გომინდანელ მესვეურებისაგან. მოვა დრო, როდესაც ჩინეთის ხალხი სწორედ ამ ლოზუნგებისთვის განდევნის მათ.

ლაპარაკი „წმინდა სუნიატსენიზმის“ შესახებ და ამავე დროს სუნ-იატ-სენის აღთქმების ფეხით გათელვა, ლაპარაკი კონტრ-რევოლიუციის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ და ამავე დროს მუშურ-გლეხურ ორგანიზაციების გარეკვა, ლაპარაკი ბრძოლაზე ოპორტიუნისტების წინააღმდეგ და ამავე დროს ოპორტიუნისტურად მუხლის მოდრეკა ინგლისელ მბრძანებელთა წინაშე, ლაპარაკი ბრძოლაზე „ყოველგვარი სახის იმპერიალიზმის წინააღმდეგ“ და ამავე დროს ჩინეთის ხალხის კისერზე ამ იმპერიალიზმის უღლის დადგმა,—ეს იმდენად უხერხემლო ტაქტიკაა, რომ დღევანდელ, პოლიტიკურად გათვითცნობიერებულ ჩინეთში მას ადვილად მოუღებენ ბოლოს ჩინელი მუშები და გლეხები.

გომინდანელი არამზადები თავის „ლოზუნგებში“ კომუნისტურ პარტიას აბრალებდენ „კომპრომისსაც კი ფინტიანელ (მუკდენელ) მილიტარისტებთან“.

ისტორია ამტკიცებს, თუ ნამდვილად ვინ მიდიოდა და მიდის კომპრომისზე როგორც ჩანძო-ლინთან, ისე ბრიტანეთის იმპერიალიზმთან.

საუკუნოებრივ ძილისაგან გამოღვიძებული ჩინეთის ხალხის მასიური მოძრაობა ნებას არ მისცემს მატყუარებს და გამყიდველებს დიდხანს ათამაშონ რევოლიუციონური ლოზუნგები. ის გაატარებს ცხოვრებაში ამ ლოზუნგებს, წინააღმდეგ გომინდანელ მესვეურებისა, „დასჯის ყველა უღირსთ, უძლებთ და მოღალატეთ, განდევნის ყველა ანგარების მოყვარულ მოხელეებს, ადგილობრივ ოქროს ვეშაპების ლაქიებს და უსირცხვილო ჯენტრებს“.

ამ ვეშაპებზე გამარჯვებით ჩინეთის ხალხი გადაისვრის წყნარ ოკეანეში იმ ვეშაპთ, რომლებიც ჯავშნიან გემებით მოადგენ ჩინეთის ნაპირებს და მოედვენ ჩინეთს.

„პრავდა“, 22 სექტემბერი.

გომინდანის საგანგებო კომიტეტის დეკლარაცია

გომინდანი სთხოვს ჩან-კაი-შის, ვან-ცზინ-ვეის და ხუ-ხან-მინს დაუბრუნდენ მოღვაწეობას

ბრძოლა პოლონეთის მთავრობასა და სეიმს შორის

ამხ. ლიტვინოვის განცხადება საფრანგეთ-საბჭოთა ურთიერთობის შესახებ

ბრძოლა ჩინეთში

საგანგებო კომიტეტის დეკლარაცია

შანხაი, 21 სექტემბერი. გომინდანის საგანგებო კომიტეტმა, რომელიც ამ დღეებში არჩეულ იქნა ნანკინში, გამოაქვეყნა დეკლარაცია. **ეს დეკლარაცია სცდილობს გაამართლოს ნანკინის და უხანის მთავრობის რეაქციონური კურსი**, რომელიც ალბად შეუცვლელი დარჩება ნანკინის გაერთიანებული მთავრობის პროგრამაშიაც. **დეკლარაცია არ უარჰყოფს, რომ კომუნისტებთან თანამშრომლობა სუნ-იატ-სენის პრინციპების ერთ-ერთი სახელმძღვანელო პრინციპი** იყო და აღნიშნავს, რომ ჯერ კიდევ 1924 წელში, როცა გადაწყდა კომუნისტების მიღება გომინდანში, გომინდანის მრავალი წევრი ამის გამო გამოსთქვამდა ეჭვს, მაგრამ მათ სწამდათ ბელადის სულიერი ძლიერება და იმედი ქონდათ, რომ კომუნისტებს გადმოიბირებდენ“.

დეკლარაცია აღნიშნავს კრიზისს გომინდანში სუნ-იატ-სენის გარდაცვალების შემდეგ როცა გომინდანის ცაკას მემარჯვენე ფრთამ მოითხოვა კომუნისტების გამორიცხვა და ამართლებს გომინდანის დამოუკიდებელ მემარჯვენე ცაკას შექმნას შანხაიში. **ამგვარად, დეკლარაცია ფაქტიურად აკრიტიკებს სუნ-იატ-სენის პოლიტიკის საფუძვლებს.**

შემდეგ დეკლარაცია ეხება ჩრდილოეთის ექსპედიციის პერიოდს, დუმილით, უვლის გვერდს ჩან-კაი-შის ღალატის უშუალო პირობებს. და დამოუკიდებელი მთავრობის შექმნას ნანკინში ხსნის „მდგომარეობის გადაუწყვეტლობით, რომ კომპარტიის მოქმედება განსაზღვრულ ფარგლებში ყოფილიყო ჩაყენებული საგანგებო ზომების მეოხებით“.

დეკლარაცია სცდილობს კონფლიქტი უხანსა და ნანკინს შორის დაუკავშიროს აზრთა უთანხმოებას კომუნისტებისადმი დამოკიდებულების საკითხში. შემდეგ დეკლარაცია ამტკიცებს, რომ პრავითაორი უთანხმოება აღარ არსებობს უხანსა და ნანკინს შორის და ამით ხსნის ორთავე მთავრობის გაერთიანების აუცილებლობას და ნანკინის კონფერენციის მიერ არჩეული საგანგებო კომიტეტის შექმნას.

საგანგებო კომიტეტი, იღებს რა მოვალეობათა შესრულებას, ფიცს სდებს, რომ დაიცავს სუნ-იატ-სენის ანდერძს და განაგრძობს ჩრდილოეთის ექსპედიციას, რათა ჩინეთის ხალხი იხსნას მძიმე მდგომარეობიდან და სხვა (ადს).

გომინდანის საგანგებო კომიტეტში

შანხაი, 21 სექტემბერი. **ნანკინის კონფერენციაზე არჩეულმა გომინდანის საგანგებო კომიტეტმა დაადგინა დაიმორჩილოს ცეკას ყველა განყოფილებები**, რისთვისაც თვითეულ განყოფილების სათავეში აყენებს საგანგებო კომისიას. არჩეულია საგანგებო კომიტეტის პრეზიდიუმი. პრეზიდიუმში შედიან **ვან-ცზინ-ვეი, ცაი-იუან-პეი, და ი-ია-ში. განზრახულია პოლიტბიუროს და ყველა ადგილობრივი განყოფილებების გაუქმება.**

საგანგებო კომიტეტმა შეიმუშავა მიმართვის ტექსტი, სადაც სთხოვს ჩან-კაი-შის, ვან-ცზინ-ვეის და ხუ-ხან-მინს დაუბრუნდენ თავის თანამდებობებს.

საგანგებო კომიტეტი ჩვეულებრივათ ილაშქრებს კომუნისტების წინააღმდეგ და აცხადებს, რომ უთანხმოებას გომინდანის რიგებში იწვევდა მხოლოდ საკითხი კომუნისტებთან დამოკიდებულების შესახებ. **ამჟამად უთანხმოება ამ საკითხის გარშემო უკვე არ არსებობს** და სწორედ ამიტომ სთხოვს კომიტეტი ჩან-კაი-შის, ვან-ცზინ-ვეის და ხუ-ხან-მინს, რომლებსაც უწოდებს „პარტიის ბურჯებს და რევოლიუციის ვეტერანებს“ დაუბრუნდენ მოღვაწეობას.

როგორც ჩინეთის პრესა იუწყება, საგანგებო კომისიის მიერ შანხაიში გაგზავნილმა კომისიამ ინახულა იქ ვან-ცზინ-ვეი და ხუ-ხან-მინი.

მხოლოდ მათი მოლაპარაკების შედეგების შესახებ ჯერ არაფერი იციან. (ადს).

გომინდანის საგანგებო კომიტეტის პროპაგანდის განყოფილების უფროსი

შანხაი, 21 სექტემბერი. გომინდანის საგანგებო კომიტეტის პროპაგანდის განყოფილების უფროსად დაინიშნა გომინდანის მემარჯვენე ფრთის ცნობილი იდეოლოგი დაი-ცზი-ტაო. (ადს).

ნანკინის ახალი მთავრობის პროგრამა

შანხაი, 21 სექტემბერი. ნანკინის ახალ მთავრობასა და სამხედრო საბჭოს წევრები შეუდგენ თავის მოვალეობის ასრულებას. საგანგებო კომიტეტის თავმჯდომარე ჩჟან-ჩიმ ასე დაახასიათა მთავრობის წევრთა მოვალეობანი: **მთავრობამ მტკიცედ უნდა გაატაროს ცხოვრებაში სუნ-იატ-სენის სამი პრინციპი; ნაციონალური მთავრობა წარმოადგენს მასების აღზრდის მთავრობას, და არა დიქტატურის მთავრობას; მაგრამ მან უნდა მოსპოს ბიუროკრატიზმი ქვეყნის მმართველობაში.**

მთავრობის სახელით გამოვიდა ცზაი-იუან-პეი, რომელმაც განაცხადა:—„ნაციონალური მთავრობა გააგრძელებს პარტიის წმენდას და ჩრდილოეთის ექსპედიციას. ის გაატარებს ცხოვრებაში გომინდანის პრინციპებს“.

სამხედრო საბჭოს სახელით გამოსულმა ჩენ-ჩი-ენმა აღნიშნა, რომ სამხედრო საბჭომ უნდა შეამციროს სამხედრო ხარჯები, შეამსუბუქოს ხარკები, შექმნას გომინდანის დისციპლინიანი და ორგანიზაციულად მოწყობილი არმია, განწმინდოს ის კომუნისტებისაგან და დააგვირგვინოს ნაციონალური რევოლიუცია. **ტან-ენ-კაიმ მთავრობის სახელით** წინადადება მისცა ტან-შენ-ჩის დაუყოვნებლივ ჩამოვიდეს ნანკინში, ვინაიდან ის დანიშნულია საგანგებო კომიტეტის წევრად. (ადს).

გლეხთა რაზმების მოქმედება გუანდუნში

შანხაი, 21 სექტემბერი. ჰონკონგიდან იუწყებიან, რომ სადგურ უტუნთან (კანტონ-გოულუნის რკინის გზის ხაზზე, 70 კილომეტრის დაშორებით კანტონიდან) აყრილია რკინის გზის ლიანდაგი. **კანტონსა და შიკლუნს შუა შეწყვეტილია სატელეგრაფო კავშირი. როგორც ფიქრობენ, გლეხთა რაზმებმა გადასჭრეს სატელეგრაფო კავშირი და აჰყარეს გზა.**

უკანასკნელად მიღებული ცნობებით, **ხო-ლუნის რევოლიუციონურმა არმიამ გლეხთა რაზმების დახმარებით ხელთ იგდო კიდევ რამდენიმე პატარა ქალაქი აღმოსავლეთ მდინარის რაიონში.**

ვაიჩჟოუს რაიონში გლეხთა რაზმებმა დაიჭირეს რამდენიმე მაზრა. რაზმებს შეუერთდა ვაიჩჟოუში დაბანაკებულ ნაწილების მრავალი ჯარისკაცი. (ადს).

გენერლების მოლაპარაკება

შანხაი, 21 სექტემბერი. რეიტერის სააგენტოს ცნობით, ნანკინის ხელმძღვანელები ყველა ზომებს ხმარობენ იმისათვის, რომ თავის მხარეზე მიიმხრონ ტან-შენ-ჩი, რომელიც ამჟამად კონტროლს უწევს ხუნანის და ხუბეის პროვინციებს. თავის მხრივ კი ტან-შენ-ჩი მოლაპარაკებას აწარმოებს მუკდენელებთან და სუნ ჩუან-ფანთან. **ტან-შენ-ჩი გადაიქცა ისეთ თვალსაჩინო მილიტარისტად, რომ მის გადაბირებას ცდილობენ სხვადასხვა ჯგუფები.**

ტოხოს სააგენტო იუწყება, რომ ხანკოუში ერთმანეთს შეხვდენ ტან-შენ-ჩი და იაპონიის კონსული. ტან-შენ-ჩი სთხოვდა კონსულს ზომების მიღებას იმისათვის, რომ იაპონიის ვაჭრები დაბრუნებულიყვნენ ხანკოუში და განეახლებიათ თავისი მოქმედება. როგორც ტან-შენ-ჩი, ისე იაპონიის კონსული კმაყოფილი დარჩენ ამ შეხვედრით.

„ზოგიერთ წრეებში აღნიშნავენ,— იუწყება დასასრულ სააგენტო, — რომ ვინაიდან მთავრობა ნანკინში გადავიდა, **იაპონიის ხელისუფლება იცნობს ტან-შენ-ჩის ისეთ პიროვნებათ, რომელსაც ეკუთვნის ძალა-უფლება ხუბეის და ხუნანის პროვინციებში“.** (ადს).

გაფიცვების ტალღა

შანხაი, 21 სექტემბერი. შანხაიში ერთი ინგლისური წარმოების 1.000 მუშამ გამოაცხადა გაფიცვა პროტესტის ნიშნათ ზედამხედველის მიერ რამდენიმე მუშის უკანონოდ დათხოვნის გამო. **გაფიცულ ფაბრიკის ეზოში აფრიალებს დროშები რევოლიუციონური წარწერებით.**

პოლიციამ გარეკა 1.000 მტვირთველი, რომლებმაც გამოაცხადეს გაფიცვა პროტესტის ნიშნათ 14 მუშის დათხოვნის გამო. გაფიცულები მოითხოვენ დათხოვნილთა უკანვე მიღებას. **გაფიცულ მტვირთველთა და ერთ უცხოელ ზედამხედველის შორის მოხდა შეტაკება**, რომლის დროს ზედამხედველი დაჭრილი იქნა.

ქალაქის ჩინურ ნაწილში გაიფიცენ შიკრიკები. (ადს).

„ახალი საშიშროება“

შანხაი, 21 სექტემბერი. შანხაის ინგლისური გაზეთები აღნიშნავენ, რომ იმ დროს, როდესაც გომინდანის სამოქალაქო ნაწილი ცდილობს შეთანხმების მიღწევას, ისახება ახალი საშიშროება ტან-შენ-ჩის და სხვა სამხედრო ლიდერების სახით; ხდება ჯარების გადაჯგუფება, რის შედეგადაც შესაძლებელია სამხედრო შეტევა ნანკინზე“.

„ნორტ ჩაინა დეილი-ნიუს“ აღნიშნავს, რომ თუმცა თითონ ტან-შენ-ჩის ჯერ კიდევ არ გამოუმჟღავნებია თავისი განზრახვები, მაგრამ მისი უახლოესი თანაშემწენი, რომლებიც იმყოფებიან ანხუეის პროვინციაში, მიიწევენ უხუს მიმართულებით (75 კილომეტრის მანძილზე ნანკინის სამხრეთით) და ნანკინისაკენ. გაზეთი ამის გამო სწერს: „ყველა ამ გადაჯგუფებათა ერთისა და იმავე დროს მოხდენა ძნელი ასახსნელია. შესაძლებელია ყველაფერი ეს შევაფასოთ, როგორც იმის ნიშანი, რომ სუნ-ჩუან-ფანმა და ტან-შენ-ჩიმ დასდევს შეთანხმება. (ადს).

გაფიცვა შანხაიში ფართოვდება

შანხაი, 21 სექტემბერი. **14 მუშის დათხოვნის წინააღმდეგ პროტესტის** ნიშნად გაიფიცა უდიდეს მეტალურგიულ **წარმოების „შანხაი ინჟინირინგ კომპანი“-ს 1.000 მუშა.** ამ ქარხანაში მუშაობს ჩვეულებრივად 10-დან 14 ათასამდე კაცი. ადმინისტრაციამ გამოაცხადა ლოკაუტი, ქარხანა აღარ მუშაობს.

რკინის საკეთებელ ქარხანა „სიაიაშენ“-ში გაფიცვა ფართოვდება. მთავარ ქარხნის 2.000 გაფიცულ მუშას შეუერთდენ სამ ფილიალის მუშები.

ერთ-ერთ იაპონურ სტამბის გაფიცულმა მუშებმა დააკავეს კოროქტორი-შტრეიკბრეხერი და გადასცეს რუ სამხედრო ხელისუფლებას. იაპონელ გენერალურ კონსულის მოთხოვნილებით დაკავებული (ჩინელი) განთავისუფლებულია. (ადს).

15 საბჭოთა მოქალაქის საქმე

პეკინი, 21 სექტემბერი. დასრულდა 15 საბჭოთა მოქალაქის დაკითხვა, რომლებიც დაპატიმრებული არიან საბჭოთა საელჩოზე თავდასხმის დროს. დაკითხულია უკანასკნელი ბრალდებულები: **ოგნევი, მალიშევი და ილიაშენკო.** ოგნევს პროკურატურამ წარუდგინა ბრალდება, რომ ის „მონაწილეობას ღებულობდა დანაშაულში სახელმწიფოს შინაგან წესრიგის წინააღმდეგ“, მალიშევს—რომ ის ეკუთვნის საკავშირო კომპარტიას (ბ) და აგრეთვე შეეცადა წინააღმდეგობა გაეწია ხელისუფლების წარმომადგენლისათვის, ილიაშენკოს—რომ ის არის საიდუმლო აგენტი.

გამოურკვეველია თუ როდის შესდგება მეორე სხდომა, რომელზედაც გაიმართება მხარეების კამათი. (ადს).

ერთა ლიგის სესიაზე

საერთო ფორმულა უშიშროების გარანტიების შესახებ

ბერლინი, 21 სექტემბერი. 20 სექტემბერს იმ ქვე-კომისიის დახურულ სხდომაზე, რომელიც შექმნილი იყო განიარაღების კონფერენციის მომამზადებელ კომისიის მიერ, არჩეულია სარედაქციო კომისია 6 კაცის შემადგენლობით საერთო ფორმულის გამოსამუშავებლად; ამ ფორმულას უნდა გაეერთიანებინა **ბენესისა და პოლ ბონკურის** წინადადებანი უშიშროების გარანტიების საკითხის შესახებ.

შესდგა სარედაქციო კომისიის სხდომა, რომელზედაც გამომუშავებულ იქნა ამ ფორმულის პროექტი.

პროექტის შინაარსი ძირითად ნაწილებში შემდეგია: კომისია იძლევა რჩევას, რომ თანდათან გავრცელდეს სამედიატორო გარჩევის პრინციპი. ცალკე სახელმწიფოთა შორის სათანადო ხელშეკრულებების დადების საშუალებით; დადებული უნდა იქნეს „ჯგუფური ხელშეკრულებები“ ე. ი. ისეთი ხელშეკრულებები, რომლებშიაც მონაწილეობას მიიღებს არა ორი სახელმწიფო, არამედ მთელი რიგი სახელმწიფოები; კერძო კომისია იძლევა რჩევას, რომ ასეთი ხელშეკრულებები დაიდოს ერთა ლიგის წევრებსა და ისეთ სახელმწიფოებს შორის, რომლებიც არ შედიან ლიგაში; **საჭიროა რაც შეიძლება მალე მოწვეულ იქნას კონფერენცია შეიარაღების განსაზღვრისა და შემცირებისათვის;** განიარაღების კონფერენციის მომამზადებელმა კომისიამ უნდა შექმნას განსაკუთრებული კომიტეტი, რომელშიაც შევლენ წარმომადგენელნი ლიგაში შემავალ ყველა სახელმწიფოთა, რომლებიც მონაწილეობას ღებულობენ მომამზადებელ კომისიის მუშაობაში.

ჟენევის წრეებში აღნიშნავენ, რომ ეს პროექტი გამოხატავს სხვადასხვა მიმდინარეობებს. პროექტი მეტწილობაში იღებს ერთის მხრივ ინგლისის პოზიციას ჟენევის ოქმის წინააღმდეგ, მეორეს მხრივ კი ბევრ სახელმწიფოს, მათ შორის საფრანგეთის, მისწრაფებებს, რათა დამყარებულ იქნას უფრო მტკიცე ვალდებულებები უშიშროების უზრუნველსაყოფად. (ადს).

ამერიკის ნოტა

ვაშინგტონი, 21 სექტემბერი. **შეერთებული შტატების მთავრობამ გაუგზავნა საფრანგეთს ძლიერ მკაცრი ნოტა.** საფრანგეთის მიერ წინადადების საპასუხოდ წინადადებაზე ტარიფების დაკლების შესახებ. ნოტა აღნიშნავს, რომ ტარიფების გადასინჯვა მოლაპარაკების გზით ურთიერთ შეთანხმების ნიადაგზე ეწინააღმდეგება ამერიკის კანონმდებლობას (ადს).

მარკოვიჩის დაპატიმრება

ვენა, 21 სექტემბერი. ბელგრადის „პრავდა“-ს ცნობით, სარაევოს სასამართლოს მოთხოვნილებით დაპატიმრებულია მუშურ-გლეხური ბლოკის ბელადი **სიმა მარკოვიჩი.**

მარკოვიჩი დააპატიმრეს არჩევნების წინ, მაგრამ შემდეგ განთავისუფლეს. მარკოვიჩის ხელმეორედ დაპატიმრებას უკავშირებენ რამდენიმე მუშის დაპატიმრებას სარაევოში კომუნისტური პროპაგანდისათვის (ადს).

კამპანია კეგლეშის დასაცავად

პრაღა, 21 სექტემბერი. რეჟედასის ჩეხოსლოვაკიის სექციის კამპანია რუმინელ რევოლიუციონერ კეგლეშის დასაცავად ძლიერ ფართოვდება. ჩეხო-სლოვაკიის ყველა სამრეწველო ცენტრების მუშები უგზავნიან მთავრობას პროტესტებს კეგლეშის რუმინეთის ოხრანკისათვის მოსალოდნელ გადაცემის წინააღმდეგ. აგრარიებისა და ნაციონალ-დემოკრატების პრესა განაგრძობს კამპანიას კეგლეშის წინააღმდეგ. კეგლეშმა გამოაცხადა შიმშილობა ნიშნად პროტესტისა იმის წინააღმდეგ, რომ ის უკანონოდ დააპატიმრეს. (ადს).

მდგომარეობა ჩინეთში

(ფრონტების მიხედვით)

სამხრეთ ჩინეთში, გუან-დუნის პროვინციაში რევოლიუც. ძალები თანდათან უახლოვდებიან კანტონს. დღევანდელი დეპეშის ცნობით, გლეხთა შეიარაღებულ რაზმებს კანტონ-გოულინის (კანტონის სამხრეთ-აღმოსავლეთით, ზღვის პირას მდებარეობს, გონკონგის პირდაპირ) რკინის გზის ლიანდაგი აუყრიათ და ტელეგრაფით კავშირი კანტონსა და ში-ლუნის შორის (მდებარეობს კანტონის აღმოსავლეთით აღმოსავლეთის მდინარეზე) შეუწყვეტიათ. ვეი-ჯოუს (უფრო აღმოსავლეთით, იმავე მდინარეზე) რაიონში გლეხთა შეიარაღებულ რაზმებს ხელთ უგდიათ რამდენიმე მაზრა. ამრიგად, კანტონი სამხრეთის და აღმოსავლეთის მხრით შემორტყმულია გლეხთა შეიარაღებული რაზმებით. იმავე დროს ხო-ლუნის რევოლიუციონურ ჯარის მიერ დაკავებულია აღმოსავლეთის მდინარის ჩრდილოეთი ნაწილი. შეიძლება ითქვას, რომ გუან-დუნის პროვინციის აღმოსავლეთი ნაწილი, თითქმის ხანკოუ-კანტონის რკინის გზის აღმოსავლეთით, ფაქტიურად რევოლიუციონურ ძალების ხელშია.

მნიშვნელობა აქვს გლეხთა შეიარაღებულ რაზმების მოქმედებას ში-ლუნის და გოუ-ლუნის რაიონში. გოუ-ლუნის სამხრეთით ზღვის პირას მდებარეობს გონ-კონგი, ინგლისის კოლონია და საზღვაო ბაზა. ამას წინად ცნობა იყო, რომ გონკონგში მოვიდა ინგლისელების რამდენიმე სამხედრო გემი. და აი ეხლა ამ გონკონგის და კანტონის შუა ამოქმედდენ გლეხთა შეიარაღებული რაზმები. კანტონის დიქტატორ ლი-ტი-სინს ამჟამად მხოლოდ ზღვით შეუძლიან მაშველი ჯარების გაგზავნა სვატოუს დასახმარებლად, რადგანაც ხმელეთით კანტონიდან-სვატოუსაკენ გზები გადაჭრილია გლეხთა რაზმების და ხო-ლუნის რევოლიუციონური ჯარების მიერ. კანტონ-გოუ-ლუნის რკინის გზის ხაზზე გლეხთა რაზმების მოქმედებას და ლიანდაგის აყრას მიზნად, რასაკვირველია ისა აქვს, რომ ზღვით სარგებლობის საშუალება შეუფერხოს ლი-ტი-სინს. ამიტომ მოსალოდნელია, რომ ინგლისის სამხედრო გემები გონ-კონგიდან რაიმე პროვოკაციას მიმართავენ აღნიშნულ გლეხთა რაზმების წინააღმდეგ. მით უმეტეს, რომ ინგლისის გემების გაჩენამ უკვე გამოიწვია ინგლისის საქონლის ბოიკოტი. თვით სვატოუს რაიონშიაც რეაქციონერების საქმე ვერ არის კარგად. აქაც იე-ტი-ნის რევოლიუციონური ჯარი და გლეხთა შეიარაღებული რაზმები სამი მხრით ერტყმიან ამ რაიონს; სვატოუ სრულიად მოწყვეტილია გუანდუნის პროვინციის დანარჩენ ნაწილს და მისი დაცემა დღე-დღეზე მოსალოდნელია.

ჯერ-ჯერობით გუანდუნის პროვინციაში მოქმედ რევოლიუციონურ ჯარების სტრატეგიული მდგომარეობა მტკიცე და ხელსაყრელია, რადგანაც ზურგით მათ უდევს ძიან-სის და ფუკიანის პროვინციები, სადაც რეაქციონერებს არავითარი სამხედრო ძალები არ მოეპოებათ, პირიქით, ამ პროვინციებში თანდათან ძლიერდება გლეხთა რევოლიუციონური მოძრაობა. ამრიგად ზურგი რევოლიუციონურ ჯარებისა უზრუნველყოფილია. უზრუნველყოფილია მათი მარჯვენა ფრთაც, რადგანაც ხანკოუ-უჩანის მხრით კანტონის რეაქციონერებს არავითარი დახმარება არ მოელით. თვით ხანკოუს რაიონში მდგომარეობა ისეთია, რომ აქაურ დიქტატორს ტან-ჩენ-ჩის კანტონისათვის არ სცალიან. როგორც ვიცით, თვით ხანკოუს რაიონს ჩრდილოეთიდან და სამხრეთიდან ემუქრებიან გლეხთა შეიარაღებული რაზმები. ყოველ შემთხვევაში ჩანშას სამხრეთით კანტონისაკენ მიმავალ რკინის გზის მეტი ნაწილი აჯანყებულ გლეხების ხელშია, ე. ი. ერთად-ერთი რკინის გზა, რომლითაც შეიძლება მაშველი ჯარების გაგზავნა გუან-დუნის პროვინციაში.

ი. გედევანიშვილი.

პოლონეთის მთავრობა—პარლამენტის წინააღმდეგ

ვარშავა, 21 სექტემბერი. მიუხედავად ყოველგვარი მოლოდინისა, პრესა ძლიერ თავდაჭერილობას იჩენს სეიმის სესიის მოწვევის გადადების შეფასების დროს. ოპოზიციური პრესა აღნიშნავს მხოლოდ, რომ **მთავრობის მიერ მიღებული გადაწყვეტილება ეწინააღმდეგება კონსტიტუციას.**

პრესა, რომელიც ახლო სდგას მთავრობასთან, ამტკიცებს, რომ ფორმალური თვალსაზრისით მთავრობის მიერ მიღებული ზომა კანონიერი და კონსტიტუციონურია. პეპესის ორგანო „რაბოტნიკი“ ბრალსა სდებს მთავრობას იმაში, რომ მას ეშინია და არ სურს წარადგეს სეიმის წინაშე (ადს).

ვარშავა, 21 სექტემბერი. პრეზიდენტის დეკრეტით სენატის სესია შეწყდა ერთი თვით.

სენატის უხუცესთა საბჭომ წინადადება მისცა სენატის თავმჯდომარეს **ტრომპჩინსკის** განუცხადოს პრეზიდენტს პროტესტი, რომ სესია შეწყვეტილია ჯერ კიდევ სენატის პირველ **სხდომამდე.** უხუცესთა საბჭოს რეზოლიუციაში ხაზგასმითაა აღნიშნული, რომ მთავრობის ასეთი მოქმედება უდრის „მთავრობის მიერ პარლამენტისათვის ომის გამოცხადებას“. (ადს).

ამხ. ლიტვინოვის განცხადება

მოსკოვი, 22 სექტემბერი. საკავშირო დეპეშათა სააგენტოს წარმომადგენელის შეკითხვაზე, რომელიც გამოწვეული იყო საფრანგეთის პრესის ერთი ნაწილის მიერ ლიტვინოვის იმ განცხადების უარყოფით, რომელიც ეხებოდა ვალების საკითხში მიღწეულ შეთანხმებას, ამხ. **ლიტვინოვმა** განაცხადა:

„მე კატეგორიულად ვამტკიცებ და გავალებთ თქვენ განაცხადოთ ამის შესახებ საჯაროთ, რომ საბჭოთა და საფრანგეთის დელეგაციებს შორის ვალების საკითხში მიღწეულია სრული შეთანხმება. საერთო შეთანხმება არაა ხელმოწერილი იმიტომ, რომ საფრანგეთის დელეგაციას ჯერ კიდევ არ მიუღია ჩვენი წინადადებები კრედიტების შესახებ. თუმცა პრინციპიალურად საკითხი კრედიტების შესახებ შეთანხმებულია, მაგრამ არ არის ჯერ-ჯერობით მიღწეული სრული თანხმობა კრედიტების რაოდენობის შესახებ. მაგრამ სულ მალე მოეღება ბოლო ყოველგვარ იჭვებს, როცა საფრანგეთის საზოგადოებრიობა გაიგებს, რომ საბჭოთა მთავრობა მზადაა მახლობელ თვეების განმავლობაში შეიტანოს რომელიმე ბანკში პირველი ნახევარი წლის შესატანი 30 მილ. ოქროს ფრანკის რაოდენობით, რითაც შესაძლებელი იქნება დაწყებულ იქნას რუსული ქაღალდების მფლობელ ფრანგების გასტუმრება დაუყოვნებლივ მას შემდეგ, როგორც კი მოხდება ორივე მთავრობის მიერ რატიფიკაცია საერთო შეთანხმებისა ვალებისა და კრედიტების შესახებ, რის შესახებაც დღეს დაევალა რაკოვსკის განუცხადოს საფრანგეთის დელეგაციას“. (ადს).

შრომის უნიტარული კონფედერაციის ყრილობა

პარიზი, 21 სექტემბერი. შრომის უნიტარულ კონფედერაციის ყრილობაზე ბორდოში დისკუსია ცენტრალური კომიტეტის მოხსენების გარშემო გამართეს ოპოზიციის წარმომადგენლებმა; ეს ოპოზიცია ეკუთვნის **მონატის ჯგუფს** ოპოზიციის ორატორები აკრიტიკებდენ ცეკას მოღვაწეობას და **უმთავრესად მოითხოვდენ იმას, რომ კონფედერაციას არ ჰქონდეს კავშირი კომპარტიასთან.** ისინი აგრეთვე მოითხოვდენ კონფედერაციის წესდებიდან პროლეტარიატის დიქტატურის პრინციპის გამორიცხვას.

მონატის ჯგუფის წარმომადგენლებს პასუხი გასცეს **ბურნეტონმა და კიუნიმ**, რომლებმაც აღნიშნეს, რომ **ის ლოზუნგები, რომლებიც წამოაყენა კონფედერაციამ, იწვევდენ მუშათა მასების ცხოველ გამოძახილს და რომ ამ ლოზუნგებით ჩაიარა მრავალრიცხოვანმა ძლევამოსილმა გაფიცვებმა, რომლებსაც ხელმძღვანელობდენ პროფკავშირები.**

„ოპოზიცია თავს ესხმის კონფედერაციის ხელმძღვანელებს, განაცხადა ბურნეტონმა,—და სახელს უტეხს კონფედერაციას მაშინ, როდესაც უკანასკნელი პოულობს მასებში მძლავრ გავლენას და ხელმძღვანელობას უწევს ამ მასების ბრძოლას. ოპოზიციის ერთადერთი მიზანია—შესძლოს ახლანდელ ცეკას გადაგდება.

ლანდაბიუმ პასუხი გასცა ოპოზიციის მენიშვნებზე კომპარტიასთან თანამშრომლობის შესახებ და განაცხადა, რომ მას უკვირს, როცა პროფკავშირთა ყრილობაზე ისმენს ასეთ გალაშქრებას პოლიტიკურ პარტიის წინააღმდეგ.

„ეს გალაშქრება, სთქვა მან, სრულიად არ გაადვილებს ჩვენს მუშაობას კონფედერაციის ახალ წევრთა მისაღებად“.

სამანდატო კომისიის მოხსენების თანახმად, ყრილობაზე წარმოდგენილია 1.486 პროფკავშირი. ყრილობაზე არჩეულია 625 დელეგატი. (ადს).

ლატვია-საბჭოთა კავშირის ხელშეკრულება

რიგა, 21 სექტემბერი. პრესის წარმომადგენლებთან საუბრის დროს, ლატვიის პრემიერმა **სკუჯენეკმა** განაცხადა, რომ ლატვიის სეიმის საგანგებო სესიის მოწვევა გადადებულია იმიტომ, რომ ამჟამად ლატვიაში არ იმყოფებიან სეიმის ზოგიერთი დეპუტატები. „საკითხი ლატვია-საბჭოთა კავშირის სავაჭრო ხელშეკრულების რატიფიკაციის შესახებ, რომელიც უნდა განეხილა სეიმის საგანგებო სესიას—სთქვა სკუჯენეკმა—არ წარმოადგენს საჩქარო საქმეს. **ყოველ შემთხვევაში, სეიმის უმრავლესობა, დაიცავს საბჭოთა-ლატვიის სავაჭრო ხელშეკრულების რატიფიკაციას“** (ადს).

თეთრგვარდიელები ბულგარეთში

ვენა, 21 სექტემბერი. **ბულგარეთის ნაციონალ-ლიბერალების ორგანო „დამოუკიდებლობა“ ხაზს უსვამს ქვეყნის ეკონომიურ კრიზისის გამწვავებას და უმუშევრობის ზრდას და მოითხოვს, ბულგარეთის მთავრობისაგან ბულგარეთში მყოფ 30.000 რუს ემიგრანტის გადასახლებას, ან დახმარების გაწევას მათთვის სამშობლოში დასაბრუნებლად.** გაზეთი სწერს:

„მთავრობა რუს ემიგრანტებზე ყოველწლიურად ხარჯავს 15 მილიონ ლევს. რუსი ემიგრანტები კონკურენციას უწევენ ბულგარეთის მუშებს და ხელს უწყობენ ხელფასის დაკლებას, ღებულობენ სახელმწიფო პენსიას, პროტექციით ღებულობენ აგრეთვე თანამდებობებს, მაშინ, როდესაც ბულგარეთის ინტელიგენცია იძულებულია გაემგზავროს სხვა ქვეყნებში სამუშაოს საძებრად“ (ადს).

შეერთებული შტატები და მექსიკა

ვაშინგტონი, 21 სექტემბერი. მორგანის საბანკო კომპანიის წევრი **დვაიტ მოროუ** დანიშნულია შეერთებული შტატების ელჩათ მექსიკაში.

ცნობაში, რომელიც ამის გამო გამოაქვეყნა შეერთ. შტატების მთავრობამ, აღნიშნულია, რომ მოროუს დანიშვნა დაკავშირებულია მექსიკაში დაბანდებული ამერიკის კაპიტალის დაცვის საქმეებთან.

მოროუს დანიშვნა წარმოადგენს ახალ ხაზს შეერთებული შტატების საგარეო ურთიერთობის პრაქტიკაში. დღემდე მორგანის კომპანიის წარმომადგენლებს წვრილ-ბურჟუაზიული წრეების წინააღმდეგობის გამო, არ ნიშნავდენ დიპლომატიურ თანამდებობაზე.

მოროუ ცნობილია როგორც კულიჯთან ძლიერ დაახლოვებული პიროვნება.

ზოგიერთი ხმების თანახმად, კულიჯს თავდაპირველად განზრახული ჰქონდა მოროუს დანიშვნა კელოგის მაგიერ სახელმწიფო მდივნად; შესაძლებელია, რომ მისი ელჩათ დანიშვნა მექსიკაში წარმოადგენდეს წინასწარ მზადებას მის სახელმწიფო მდივნად დანიშვნისათვის.

ამბობენ, რომ მოროუ დიდ ყურადღებას აქცევს შეერთებული შტატების და საბჭოთა კავშირის ურთიერთობის პრობლემას (ადს).

ტრაიკოვიჩის საქმის გამოძიება

ვარშავა, 21 სექტემბერი. საგარეო საქმეთა სამინისტრომ გამოაქვეყნა ცნობა სასამართლო გამომძიებლის **ვიტუნსკის** მიერ საბჭოთა მისიის თანამშრომელთა **გუსევისა და შლესსერის** დაკითხვის შესახებ. გუსევი და შლესსერი დაკითხული არიან როგორც მოწმენი ტრაიკოვიჩის თავდასხმის საქმეზე.

„საბჭოთა მისიამ აცნობა საგარეო საქმეთა სამინისტროს,—ნათქვამია ცნობაში,—რომ დიპლომატიური წარმომადგენლობის თანამშრომლები არ ექვემდებარებიან პოლონეთის სასამართლოების იურისდიქციას, მაგრამ თუ მისია ამ შემთხვევაში დათანხმდა გუსევისა და შლესსერის დაკითხვაზე, ეს მხოლოდ იმიტომ, რომ **საბჭოთა კავშირის მთავრობა დაინტერესებულია საქმის გარემოებათა ყოველმხრივი გამოძიებით“.** (ადს).

რუმინეთს სესხი არ მისცეს

ბუქარესტი, 21 სექტემბერი. საზღვარგარეთ მოგზაურობიდან დაბრუნდა ფინანსთა მინისტრი **ბრატიანუ**. პრესის ცნობებით, მისი მოგზაურობის მიზანს შეადგენდა მოლაპარაკების წარმოება რუმინეთისათვის სესხის მოსაპოებლად. ოპოზიციური გაზეთები აღნიშნავენ, რომ **მოლაპარაკება, რომელსაც ბრატიანუ აწარმოებდა ინგლისელ საბანკო წრეებთან, უშედეგოთ დასრულდა.** როგორც „ადევერული“ სწერს, გამოირკვა, რომ რუმინეთის სესხის რეალიზაცია შესაძლებელი იყო მხოლოდ გერმანიაში, რომელიც მოქმედებს როგორც შუამავალი და წარმომადგენს ინგლისის და ამერიკის ბანკებს. (ადს).

ტაუროგენის აჯანყება

არ არის ჩაქრობილი

ბერლინი, 21 სექტემბერი. ლიტვიდან მიღებული ცნობებით, **ტაუროგენის აჯანყება ჯერ კიდევ საბოლოოდ არ არის ჩაქრობილი.** ტაუროგენის აჯანყებულნი გაიხიზნენ ტყეებში და შეადგინეს რაზმები, რომლებსაც გლეხები დიდ დახმარებას და მფარველობას უწევენ. ერთმა ასეთ რაზმმა იურბურგში ტყვედ იგდო პოლიციის რაზმი.

დღემდე დახვრეტილია აჯანყების 20 მონაწილე, მათგან 5 არასრულწლოვანი—14-16 წლ. დაპატიმრებულია და ციხეში მოთავსებული 20 დეპუტატი. (ადს).

უკანასკნელი ცნობები

ფინეთი და საბჭოთა კავშირი

ჟენევა, 21 სექტემბერი. საბჭოთა კავშირის დეპეშათა სააგენტოს კორესპონდენტთან საუბრის დროს ფინეთის გარეშე საქმეთა მინისტრმა ვოიონმაამ სთქვა:

„ფინეთის კანდიდატურა ერთა ლიგის საბჭოში არავითარ შემთხვევაში არ იყო მიმართული საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ. ფინეთის არჩევა აძლიერებს ფინეთის მისწრაფებას აბსოლიუტურ ნეიტრალობისაკენ და უეჭველათ დადებით გავლენას იქონიებს საბჭოთა კავშირთან მოლაპარაკებაზე თავდაუსხმელობის ხელშეკრულების დადების შესახებ. ფინეთის მთავრობა ცდილობს განამტკიცოს ურთიერთობა საბჭოთა კავშირთან. ჩვენ საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ არავითარი განზრახვა არა გვაქვს“. დასასრულ ვოიონმაამ გამოსთქვა თავისი სიმპატიები საბჭოთა კავშირის მიმართ. (ადს).

დემონსტრაცია კლიშში მოსვენებას უკარგავს ბურჟუაზიულ პრესას

პარიზი, 21 სექტემბ. ბურჟუაზიულ პრესას მოსვენებას უკარგავს კომუნისტური პარტიის მიერ 19 სექტემბერს კლიშში წარმატებით ჩატარებული დემონსტრაცია (ადს).

კომუნისტურ ლიტერატურის შეტანისათვის

კოვნო, 21 სექტემბ. „რიტას“-ის ცნობით, 10 სექტემბერს კრეტინგენში გაირჩა საქმე 4 კომუნისტის, რომელთაც ბრალდებოდა მემელში კომუნისტურ ლიტერატურის შეტანა. ერთს მიუსაჯა 6 წლის ციხე, მეორეს 5-ის, ორს კი სამ-სამი წლის (ადს).

ამხ. კორიჩონერი განთავისუფლებულია

ვენა, 21 სექტემბ. კორიჩონერი, რომელიც დაპატიმრებული იყო 17 სექტემბერს კომპარტიის მიერ მოწყობილ კრებაზე წარმოთქმულ სიტყვისათვის, გაანთავისუფლეს 20 სექტემბერს საღამოს. მაგრამ ისევ გრძელდება კვლევა ძიება მის წინააღმდეგ აღძრულ საქმის გამო. (ადს).

პორტუგალელ კომუნისტების აფრიკაში გადასახლება

პარიზი, 21 სექტემბ. ლისაბონიდან მიღებულ ცნობით, პორტუგალიის მთავრობის განკარგულებით აფრიკაში გადაასახლეს კომუნისტ. პარტიის მთელი რიგი მოღვაწენი. მათთან ერთად გადასახლებულია 13 პირი, რომლებსაც მთავრობა ხთვლის „იმ რევოლიუციონურ მოძრაობის ხელმძღვანელებად, რომელიც ეხლა მზადდებოდა“ (ადს).

გერმანიის პოლიტ - მოღვაწეთა პროტესტი

ბერლინი, 21 სექტემბ. გერმანიის პოლიტიკურ მოღვაწეთა ჯგუფმა მიმართა ბენეშს პროტესტით იმის გამო, რომ ჩეხო - სლოვაკიის მთავრობა ფიქრობს რუმინეთს გადასცეს რევოლიუციონერი კაბუში (ადს).

მუდმივი კატორღა

კოვნო, 21 სექტემბ. პრესის ცნობით, სამხედრო სასამართლომ შავლში მუდმივი კატორღა მიუსაჯა ივლისში დაპატიმრებულ კომუნისტს ერშიცკის (ადს).

გადაფრენა აღმოსავლეთ აზიაში

ბერლინი, 21 სექტემბ. ვოლფის სააგენტო იუწყება, რომ მფრინავი **კენნეკე ზოლმსი** და რადიო - ტელეგრაფისტი **ჰერმანი** 20 სექტემბერს კელნიდან აეროპლან „გერმანია“-თი გაფრინდენ აღმოსავლეთ აზიაში (ადს).

ვუკიჩევიჩის წინადადება უარყოფილია

ვენა, 21 სექტემბ. ზაგრების გაზეთ „ობზორის“ ცნობით, სამხრეთ - სლავიის პრემიერმა **ვუკიჩევიჩმა** შეიტანა წინადადება ახლად არჩეულ სკუპშინის (პარლამენტის) დათხოვნისა და ახალი არჩევნების დანიშვნის შესახებ. გაზეთის ცნობით, მეფემ უარყო ეს წინადადება (ადს).

კაპაბლანკა—ალიოხინის მატჩი

ბუენოს-აირესი, 22 სექტემბერი. კაპაბლანკა-ალიოხინის მატჩის მესამე პარტია გადადებული იქნა 41 სვლის შემდეგ, კაპაბლანკა მოწინააღმდეგესთან შედარებით რამოდენიმედ უკეთესს მდგომარეობაშია. კაპაბლანკა თამაშობდა თეთრებით დედოფლის გამბიტს. (ადს).

ამხ. შესტაკოვის დაბრუნება მოსკოვში

მოსკოვი, 22 სექტემბ. 22 სექტემბერს 8 საათსა და 30 წ. მოსკოვის აეროდრომზე ჩამოეშვა აეროპლანი „ჩვენი პასუხი“ მფრინავ შესტაკოვით და მექანიკოს ფუფაევით. აეროდრომზე აეროპლანს დახვდენ: ამხ. უნშლიხტი, იაპონიის ელჩი საბჭოთა კავშირში ტანაკა, ავღანისტანის არმიის შტაბის უფროსი აიპარხი, საბჭოთა კავშირის სამხედრო - საჰაერო ძალთა უფროსი ამხ. ბარანოვსკი და სხვ.

აეროდრომზე თავის მოიყარა დიდძალმა ხალხმა. ამხ. უნშლიხტმა მიიღო ამხ. შესტაკოვის და ფუფაევის პატაკი, რის შემდეგ მიმართა მათ სიტყვით, რომელშიაც აღნიშნა, რომ შესტაკოვის გადაფრენას მნიშვნელობა აქვს არა მარტო საბჭოთა ავიაციის განვითარებისათვის, არამედ იაპონიასთან კულტურული კავშირის განმტკიცების საქმისათვისაც. შემდეგ ამხ. უნშლიხტმა გამოუცხადა შესტაკოვს და ფუფაევს, რომ საბჭოთა კავშირის ცაკი მათ მიღწევებს ადარებს სამხედრო პირობებში შესრულებულ ამოცანას და აჯილდოვებს მათ წითელი დროშის ორდენებით. ამხ. უნშლიხტის შემდეგ მფრინავთ მიესალმა ამხ. ბარანოვსკი. დასასრულ გამოვიდა იაპონიის ელჩი საბჭოთა კავშირში ტანაკა, რომელმაც, სხვათა შორის, სთქვა: „გულწრფელად ვესალმები შესტაკოვს და ფუფაევს იმ სამსახურისათვის, რომელიც გაგვიწიეს ამ მფრინავებმა იაპონიის და საბჭოთა კავშირის დაახლოვების საქმეში“.

მფრინავებს ავღანისტანის მთავრობის სახელით მიესალმა აიპარხიც.

„დობროლიოტის“ გამგეობის თავმჯდომარემ ამხ. კსანდროვმა გამოაქვეყნა გამგეობის დადგენილება შესტაკოვის 1.000 მანეთით, ხოლო ფუფაევის 750 მანეთით დაჯილდოვების შესახებ.

საპასუხო სიტყვა წარმოსთქვა ამხ. შესტაკოვმა, რომელმაც აღნიშნა, რომ საბჭოთა აეროპლანმა მთლიანად გაამართლა იმედი და თავისი ღირსებით საზღვარგარეთულ აეროპლანებზე უკეთესიც გამოდგა. დასასრულ მან განაცხადა: „მე არაფერი მექნია ისეთი, რასაც ვერ შეასრულებდა სხვა საბჭოთა მფრინავი, მე ვცდილობდი მხოლოდ გამემართლებია ის ნდობა, რომელიც გამოიჩინეს ჩემდამი“ (ადს).

თავდაცვა - ავიაქიმის საზოგადოების პრეზიდიუმში

მოსკოვი, 22 სექტემბ. 22 სექტემბერს საღამოს შესდგა თავდაცვა - ავიაქიმის საზოგადოების პრეზიდიუმის სხდომა. სხდომას დაესწრო ამხ. უნშლიხტი. სამხედრო - სარევოლიუციო საბჭოს წევრმა ამხ. ბარანოვმა გააკეთა მოხსენება მოსკოვი - ტოკიო - მოსკოვის გადაფრენის შედეგებზე. ამხ. ბარანოვის შემდეგ ამხ. შესტაკოვმა პრეზიდიუმს წარუდგინა ვრცელი ანგარიში გადაფრენის შესახებ. პრეზიდიუმმა ამხ. ბარანოვის მოხსენების გარშემო მიიღო რეზოლიუცია, რომელშიაც აღნიშნა საბჭოთა ავიაციის ბრწყინვალე გამარჯვება და დაადგინა აღძრას შუამდგომლობა ცაკის წინაშე ამხ. შესტაკოვის დამსახურებულ მფრინავის, ხოლო ფუფაევის დამსახურებულ მექანიკოსის სახელწოდებით დაჯილდოვების შესახებ. ამასთანავე ერთად თავდაცვა - ავიაქიმის პრეზიდიუმმა დაადგინა მისცეს შესტაკოვს პრემია 2.000 მანეთის და ფუფაევს 1.500 მანეთის რაოდენობით. (ადს).

ამხ. უნშლიხტი ამხ. შესტაკოვის გადაფრენის შესახებ

მოსკოვი, 22 სექტემბერი. საბჭოთა კავშირის დეპეშათა სააგენტოს თანამშრომელთან საუბრის დროს ამხ. უნშლიხტმა, ამხ. შესტაკოვის გადაფრენის შესახებ განაცხადა: „ამხ. შესტაკოვმა თავისი გადაფრენით უეჭველად მიაღწია მსოფლიო რეკორდს. მანძილი მოსკოვსა და სპასკოვს შუა, რომელიც უდრის 9.000 კილომეტრს. შესტაკოვმა და ფუფაევმა გაიარეს 8 ნახ. დღეში, ხოლო 11.000 კილომეტრის მანძილი ტოკიოსა და მოსკოვს შორის 11 დღეში. ყოველდღიური საშუალო სიჩქარე უდრიდა 1.000 კილომეტრს, რაც საერთაშორისო რეკორდს წარმოადგენს ასეთ დიდ მანძილზე გადაფრენისათვის“. (ადს).

ტერორი ლიტვაში

ბერლინი, 21 სექტემბერი. რემელესის გერმანიის ორგანიზაციის ცეკამ წინადადებით მიმართა სოციალ-დემოკრატიულ პარტიას, კომპარტიას, პროფესიონალური ორგანიზაციებს, რესპუბლ. დროშის კავშირს და წითელი ფრონტელების კავშირს დაიწყონ შეერთებული მოქმედება ტერორის წინააღმდეგ ლიტვაში.

რემელესი წინადადებას იძლევა მოეწყოს შეერთებული მასიური დემონსტრაციები, გაიგზავნოს დელეგაცია ლიტვის დიპლომატიურ და საკონსულო წარმომადგენლებთან, მოეწყოს ფულის შეგროვება ლიტვის ტერორის მსხვერპლთა სასარგებლოდ და შეიქმნას დახმარების გაერთიანებული კომიტეტი (ადს).

მუშების დაპატიმრება

ვენა, 21 სექტემბერი. არალეგალურ კომუნისტურ მოღვაწეობისათვის დაპატიმრებული 28 მუშიდან, 15 გადაეცა სასამართლოს. 6 მუშა, რომელთა შესახებ გრძელდება სასამართლოს ძიება, განთავისუფლებულია (ადს).

ავსტრიის პარლამენტში

ვენა, 21 სექტემბერი. ავსტრიის ნაციონალური საბჭოს სოციალ-დემოკრატიულმა ფრაქციამ მოითხოვა იურიდიულ კომისიისაგან, რათა ივლისის ამბების შემდეგ დაპატიმრებულთა პატიების შესახებ სოციალ-დემოკრატების მიერ შემოტანილი წინადადება სასწრაფოდ იქნას განხილული. (ადს).

საბჭოთა კავშირში

რუსეთი

ბელგიელ მოსამსახურეთა დელეგაცია ოქტომბრის დღესასწაულზე

მოსკოვი, 21 სექტემბერი. ბელგიელ მოსამსახურეთა დელეგაციამ, რომელმაც ამ რამოდენიმე თვის წინად ინახულა საბჭოთა კავშირი, აცნობა საბჭოთა სავაჭრო მუშაკების კავშირის ცეკას, „რომ დელეგაციამ ბელგიაში შეადგინა სპეციალური კომიტეტი ოქტომბრის რევოლიუციის ათი წლის თავის დღესასწაულის მოსამზადებლად. კომიტეტმა გადასწყვიტა გაგზავნოს მოსკოვში მუშათა სპეციალური დელეგაცია დღესასწაულში მონაწილეობის მისაღებად.

კომიტეტმა ბელგიის მუშათა ყველა ორგანიზაციებს მიმართა მოწოდებით მიიღონ მონაწილეობა ამ დელეგაციის გაგზავნაში. (ადს).

ნორვეგიელ მუშათა დელეგაციის დეპეშა

მოსკოვი, 22 სექტემბ. საბჭოთა კავშირში მოგზაურობიდან სამშობლოში დაბრუნებულმა ნორვეგიელ მუშათა დელეგაციამ ამხ. კალინინს ოსლოდან გამოუგზავნა შემდეგი დეპეშა: „სამშობლოში დაბრუნებისას, ჩვენ გიხდით გადმოგცეთ ჩვენი გულითადი სამძიმარი ყირიმში მომხდარ მიწისძვრის გამო“.

მუშა - გლეხ - ქალთა საკავშირო ყრილობის გამო

მოსკოვი, 22 სექტემბ. პროფკავშირთა ცეკაში შესდგა თათბირი მუშა - გლეხ - ქალთა საკავშირო ყრილობის მომზადებასთან დაკავშირებულ საკითხების გამო. თათბირმა გადასწყვიტა დაიწყოს ფართე კამპანია მუშა - გლეხქალთა ყრილობის ამოცანების გასაშუქებლად პროფკავშირთა და საერთო პრესაში. პროფკავშირთა ცეკას დაევალა დაუყოვნებლივ შეუდგეს ისეთ მასალების შეგროვებას, რომლებიც გააშუქებენ პროფკავშირის წევრ - ქალთა მოღვაწეობას პროფმუშაობის სხვადასხვა დარგში ამ 10 წლის განმავლობაში (ადს).

უმუშევართა საკავშირო აღწერა

მოსკოვი, 22 სექტემბ. საკავშირო პროფსაბჭომ ცირკულიარულად აცნობა პროფკავშირების ყველა ორგანიზაციებს, რომ გადაწყვეტილია პროფკავშირების უმუშევარ წევრთა საკავშირო აღწერის ჩატარება. აღწერის მიზანია — ცნობების შეგროვება უმუშევრობის წინააღმდეგ ბრძოლისათვის საჭირო ღონისძიებათა გამოსამუშავებლად და კავშირების უმუშევარ წევრთათვის დახმარების საქმის გასაუმჯობესებლად.

აღწერა გამოარკვევს უმუშევართა საერთო რაოდენობას, მათ პროფესიონალურ შემადგენლობას, კვალიფიკაციას და აგრეთვე უმუშევართა ოჯახურ შემადგენლობას. აღწერა უნდა ჩატარდეს ყველა პროფკავშირებში, გარდა საბჭოთა და სავაჭრო მოსამსახურეთა კავშირისა, სადაც უმუშევართა აღწერა ჩატარდა თებერვალში (ადს).

თავდაცვის კვირეულის შედეგები

მოსკოვი, 22 სექტემბ. საკავშირო კომპარტიის (ბ) ცენტრ. კომიტეტის აგიტპროპის სხდომაზე მოსმენილ იქნა მოხსენება თავდაცვის კვირეულის შედეგების შესახებ. მოხსენებიდან გამოირკვა, რომ ომის საშიშროებასთან დაკავშირებულ საკითხების გარშემო ფართე აგიტაცია სწარმოებდა, როგორც პრესით, ისე ზეპირად. აგიტაცია იმდენად დიდი იყო, რომ მან თავდაცვის კვირეულში ჩააბა ქალაქისა და სოფლის მშრომელთა მრავალ მილიონიანი მასა. ადგილებზე წარმატებით ჩატარდა ნებაყოფლობით შემოწირულებათა შეგროვება ფონდისათვის „ჩვენი პასუხი ჩემბერლენს“. შემოწირულებათა აკრეფა ჩატარდა, როგორც ქალაქებში, ისე სოფლების დიდ ნაწილში (ადს).

საკავშირო საჰაერო ფრენის გამოცდები

მოსკოვი, 22 სექტემბ. საკავშირო თავდაცვა - ავიაქიმის ხელის შემწყობი საზოგადოების პრეზიდიუმმა გადასწყვიტა, ოქტომბრის შუა რიცხვებში მოსკოვში მოაწყოს მესამე საკავშირო საჰაერო ფრენის გამოცდები.

პროლეტარულ დახმარების მსოფლიო კონგრესი

მოსკოვი, 22 სექტემბ. მთელ რიგ ნაციონალურ ორგანიზაციათა თანხმობით, რემელსის ცეკამ თავის თავზე აიღო ინიციატივა პროლეტარულ დახმარების მსოფლიო კონგრესის მოსაწვევად ბერლინში. კონგრესი მოწვეული იქნება განსაკუთრებით მძიმე ეკონომიური ბრძოლის შემთხვევაში (ადს).

ყირიმში მცხოვრებთა ჯანმრთელობის გამორკვევა

მოსკოვი, 22 სექტემბ. მიწისძვრასთან დაკავშირებით, ყირიმში მცხოვრებთა ჯანმრთელობის გამოსარკვევად, ჯანმრთელობის სახ. კომისარიატმა ყირიმში გაგზავნა ექიმების ჯგუფი, რომელიც უმთავრესად იმუშავებს ნევროპსიქიურად დაავადების გამოსარკვევად (ადს).

რუსეთ - ბრიტანეთის პურით ვაჭრობის საზოგადოების დელეგაცია

მოსკოვი, 22 სექტემბ. ლონდონიდან მოსკოვში ჩამოვიდა რუსეთ - ბრიტანეთის პურით ვაჭრობის საზოგადოების დელეგაცია. დელეგაციაში შედიან: საბითუმო შესყიდვის ინგლისური საზოგადოების დირექტორები, რომელთაც მეთაურობს პურით ვაჭრობის ინგლისური ფირმის „კოუელ უოლლესი“-ს დირექტორი, და გემთა საზოგადოების „სმერზ უაიტის“ დირექტორი (ადს).

მადელენოს გადაფრენა ევროპის გარშემო

მოსკოვი, 22 სექტემბ. იტალიელი მფრინავი მადელენო, ახლო ხანში აპირებს ევროპის გარშემო გადაფრენას. საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე გადაფრენის ხაზში მოექცევა მდ. დონი და რ. ს. ფ. ს. რ. ცენტრალურ რაიონის მდინარეთა სისტემა. იტალიიდან გამოფრენილი მადელენო, საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე დაეშვება განიჩესკში. მოსკოვში და ლენინგრადში.

იტალიის საზღვაო ატაშემ — კაპიტანმა **ფრუგტ კუჯიამ** და იტალიანური საავიაციო ფირმის წარმომადგენელმა — **ხავოა არუტტიმ** ინახულეს საკავშირო თავდაცვა - ავიაქიმის ხელის შემწყობი საზ-ება და მიიღეს მისი თანხმობა აღნიშნულ გადაფრენისათვის დახმარების აღმოსაჩენად საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე. (ადს).

მოსკოვისაკენ

ყაზანი, 22 სექტემბ. დილის 4 საათსა და 30 წუთზე კურგანიდან გამოფრენილი მფრინავი შესტაკოვი, 12 საათსა და 20 წუთზე დაეშვა სარაპულში.

2 საათსა და 10 წუთზე შესტაკოვი გაფრინდა ყაზანში, სადაც დაეშვა 3 საათსა და 30 წუთზე ადგილობრივი დროით. მოსკოვისაკენ გადაფრენა დანიშნულია 22 სექტემბერს დილით. (ადს).

ახალი ბიძგები სევასტოპოლში

სიმფეროპოლი, 22 სექტემბ. გუშინ სევასტოპოლში აღნიშნული იყო ნიადაგის რყევა, რომლის ძალა აღწევდა 4 ბალამდე. ზოგიერთ სახლებში ჩამოინგრა ჭერი. დანარჩენ ქალაქებში ბიძგები არ ყოფილა. ყირიმის სამხრეთ ნაპირის გაერთიანებულ აგარაკების კომისიამ გამოარკვია, რომ აგარაკების ზარალი აღწევს დაახლოვებით 4.548 ათასს მანეთს (ადს).

ისაევიჩის წერილი

კიევი, 22 სექტემბ. უცხოეთის უკრაინულ გაზეთის უკანასკნელ ნომერში მოთავსებულია ცენტრალურ რადისა და ესერების პარტიის ცეკას ყოფილ წევრის — **ისაევიჩის** წერილი.

თავის წერილში ისაევიჩი აცხადებს, რომ ის ყოველგვარ კავშირს სწყვეტს უკრაინის თეთრ ემიგრაციასთან, ღრმა აღშფოთებას გამოსთქვამს იმის გამო, რომ ანტანტა საბჭოთა კავშირზე გასალაშქრებლად ემზადება და აცხადებს, რომ ყოველი პატიოსანი უკრაინელი მოქალაქე დღევანდელ მომენტში უნდა დადგეს საბჭოთა კავშირის დამცველთა მხარეზე (ადს).

პურით ვაჭრობის რუსეთ-ბრიტანეთის საზოგადოების დელეგაცია

მოსკოვი, 22 სექტემბერი. გოლაიტლიმ, რომელიც მეთაურობს პურით ვაჭრობის რუსეთ - ბრიტანეთის საზოგადოებას მოსკოვში ჩამოსულ დელეგაციას, საბჭ. კავშ. დეპ. სააგენტოს თანამშრომელთან საუბარში განაცხადა შემდეგი:

„დელეგაცია ჩამოვიდა მოსკოვში წმინდა სავაჭრო საქმეებზე. ვფიქრობ, რომ ის არანორმალური დამოკიდებულება, რომელიც არსებობს ჩვენს მთავრობებს შორის, ვერ იქონიებს გავლენას იმ კარგ ურთიერთობაზე, რომელიც უკვე დიდი ხანია არსებობს ინგლისისა და რუსეთის კოოპერატიულ მოძრაობას შორის. პურით ვაჭრობის რუსეთ - ბრიტანეთის შერეული საზოგადოება დღემდე დიდი წარმატებით მუშაობდა.

ჩვენ მუშაობა დავიწყეთ ძლიერ მცირე მასშტაბით, მაგრამ წარსულ წელში უკვე შევიტანეთ ინგლისში ამ საზოგადოების საშუალებით 500.000 ფუთი პური. ამ წლის საიმპორტო მუშაობა უკვე დაიწყო, მაგრამ რა თქმა უნდა ბრუნვის რაოდენობის ამ თავითვე სწორად განსაზღვრა ჯერ-ჯერობით შეუძლებელია.

იმ მიზნით, რათა ახლოს გაეცნოს საბჭოთა მეგობარ - კოოპერატორების მუშაობას, დელეგაცია ფიქრობს ინახულოს ნიჟნი-ნოვგოროდი, ლენინგრადი, უკრაინა, კავკასია და შავი ზღვის ნავთსადგურები. ჩვენ ვიმედოვნებთ, რომ ამ მგზავრობის გამო მნიშვნელოვნად გაძლიერდება ჩვენი მეგობრული და სავაჭრო დამოკიდებულება საბჭოთა კოოპერაციასთან. (ადს).

წითელი ფლოტის მანევრები

ამხ. ვოროშილოვის განცხადება

ოდესა, 22 სექტემბერი. პრესის წარმომადგენლებთან საუბარში ოდესის მანევრების მიზნების შესახებ ამხ. **ვოროშილოვმა** განაცხადა:

„ჩვენი მანევრები, მათ შორის ოდესის მანევრებიც, პირველ ყოვლისა არის სასწავლო საქმეში მიღწეული წარმატების შემოწმება მიმდინარე წლის განმავლობაში. გარდა ამისა მანევრებზე წითელ არმიელები და მეთაურთა შემადგენლობა ღებულობენ საჭირო გამობრძმედას. შეიარაღებულ ძალთა ინდუსტრიალიზაცია მოითხოვს უდიდეს შეთანხმებულ მოქმედებას, რაც შეიძლება მიღწეული იქნეს მხოლოდ ბეჯითი სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობით.

ოდესის მანევრები ყველაზე უკეთ შეამოწმებენ ამ მუშაობას. წითელი საჰაერო ფლოტი პირველად იქნება წარმოდგენილი ოდესის მანევრებზე მნიშვნელოვანი ძალებით. მსროლელი, საარტილერიო და კავალერიის ნაწილები ოდესის მანევრებში შეუთანხმებენ თავის მუშაობას საზღვაო და საჰაერო ფლოტის მოქმედებას.

ამჟამად ჩვენი მტრებიც კი აღიარებენ, რომ წითელი არმია არაა მრავალრიცხოვანი საბჭოთა კავშირის სიდიდესთან შედარებით. ეს მართალიცაა. სწორედ ამიტომ ჩვენს შეიარაღებულ ძალებს უყურებთ მხოლოდ როგორც მომავალი შეიარაღებული ფრონტის მოწინავე რაზმს.

ომი, რომელსაც ჩვენს წინააღმდეგ ამზადებენ კაპიტალისტები, მოითხოვს როგორც შეიარაღებული ძალების გადიდებას, ისე ყველა მშრომელების ძალების დაჭიმვას. მშრომელებმა იციან, **რომ მათი ბედი დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორ უნარს გამოიჩენენ სასტიკ ბრძოლაში პროლეტარული სახელმწიფოს არსებობის დასაცავად. აი, ამიტომ მიიღეს წელს ქალაქმა და სოფელმა წითელი არმიის ყველა მანევრებში ცხოველი მონაწილეობა,—მათ კარგად ესმოდათ, რომ წითელი არმიის სამხედრო მომზადების საქმე—მათი საკუთარი საქმეა.** მე ეჭვი არ მეპარება, რომ ოდესის მუშები და გლეხებიც მიიღებენ უშუალო მონაწილეობას მანევრებში და მით შესაძლებლობას მოგვცემენ შევამოწმოთ ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი მხარე საბჭოთა კავშირის თავდაცვის საქმეში—წითელი შეიარაღებული ძალებისა და საბჭოთა კავშირის მშრომელი მასებისა და საზოგადოებრიობის ურთიერთ მოქმედება“. (ადს).

ამხ. უნშლიხტის აზრი

მოსკოვი, 22 სექტემბერი. ს. ს. რ. კ. სამხედრო და საზღვაო კომისარის მოადგილემ ამხ. უნშლიხტმა, საკავშირო დეპეშათა სააგენტოს თანამშრომელთან საუბარში ოდესის მანევრების ამოცანების შესახებ განაცხადა, რომ ოდესის მანევრებს განსაკუთრებული მნიშვნელობა ეძლევა, ვინაიდან **ამ მანევრებში მონაწილეობას ღებულობენ არა მარტო წითელი არმიისა და ფლოტის ნაწილები, არამედ სამოქალაქო მოსახლეობის ფართო მასებიც,** რომელთაც თავდაცვა - ავიაქიმში მონაწილეობის დროს გამოჰყვეს მატოციკლისტების და კავშირის გამბმელთა მთელი პოლკები, ბატალიონები და ცალკე რაზმები. მანევრებს სამოქალაქო მოსახლეობის მონაწილეობით აქვს არა მარტო აღმზრდელობითი ხასიათის მნიშვნელობა, არამედ შესაძლებლობას მისცემს მასებს განამტკიცოს თავისი ცოდნა პრაქტიკულად, მისცემს საბრძოლო გამოცდილებას მშრომ. და კიდევ უფრო მჭიდროდ დააკავშირებს მათ წითელ არმიასა და ფლოტთან.

კერძოდ მანევრებზე მოეწყობა საჰაერო ქიმიური თავდაცვა ავიაქიმრაზმების მონაწილეობით. **უეჭველია, რომ თავდაცვა-ავიაქიმი შესძლებს საბჭოთა კავშირის ფართო მშრომელთა მასების ყურადღების მიპყრობას მანევრებისადმი ქვეყნის თავდაცვის იდეის პროპაგანდის გაძლიერებისა და სამხედრო ცოდნის პოპულიარიზაციის მიზნით.** (ადს).

ოდესაში

ოდესა, 22 სექტემბერი. აქ ჩამოვიდა საესკადრო ნაღმოსანზე ამხ. **ვოროშილოვი.** ამავე დროს ოდესაში მინერალური წყლებიდან აეროპლანით მოფრინდება ს. ს. რ. კ. რევოლიუციონურ სამხედრო საბჭოს წევრი ამხ. **ბუბნოვი** და ჩრდილოეთ-კავკასიის სამხედრო ოლქის ჯარების სარდალი ამხ. **უბორევიჩი.**

მანევრებზე დასასწრებლად ჩამოვიდა აგრეთვე ამხ. **ბუდიონი.** (ადს).

საკავშირო ცაკის მეორე სესია

მოსკოვი, 22 სექტემბ. საკავშირო მეოთხე მოწვევის ცაკის მეორე სესია დანიშნულია 1927 წ. 15 ოქტომბერს ლენინგრადში.

სესიის დღის წესრიგი: საბჭოთა კავშირის საგარეო და საშინაო მდგომარეობა ოქტომბრის რევოლიუციის ათი წლის თავისათვის;

სამეურნეო განვითარების შედეგები 10 წლის მანძილზე და საბჭოთა კავშირის სახალხო მეურნეობის შემდეგი განვითარების პერსპექტივები;

საბჭოთა კავშირის კულტურული მშენებლობის შედეგები 10 წლის მანძილზე;

კანონები, მიღებული საკავშირო მეოთხე მოწვევის ცაკის პირველ და მეორე სესიის შუა პერიოდში (ადს).

სპარსელ ვაჭრების დეპეშა ამხ. ჩიჩერინს

მოსკოვი, 21 სექტემბ. გარეშე საქმეთა სახალხო კომისარმა ნიჟნი - ნოვგოროდიდან მიიღო შემდეგი შინაარსის დეპეშა:

„სპარსეთის ვაჭრები, რომლებმაც წარმატებით დაასრულეს თავიანთი სავაჭრო საქმეები ნიჟეგოროდის მეექვსე ბაზრობაზე, მხურვალე სალამს გიგზავნიან თქვენ იმ შრომისთვის, რომელიც გასწიეთ სავაჭრო და მეგობრული კავშირის განმტკიცების საქმეში საბჭოთა კავშირსა და სპარსეთის შორის“.

დეპეშას ხელს აწერენ სპარსელ ვაჭრების წარმომადგენლები (ადს).

ამიერ-კავკასიის ფედერაციაში

აზერბეიჯანი

გრიგალი

ბაქო, 22 სექტემბ. 21 სექტემბერს საღამოს ბაქოზე გადაიარა ძლიერმა გრიგალმა, რომელიც ხმელეთზე აღწევდა 9 ბალს, ზღვაზე კი 11-ს. გრიგალმა გამოიწვია მატარებლების წესიერ მიმოსვლის შეფერხება. მატარებლები დაგვიანებით მოვიდა. ადგილი ჰქონდა შემადგენლობათა გაწყვეტას. მსხვერპლი არ არის. რეიდზე გრიგალის გამო დროებით შესწყდა დატვირთვის ოპერაციები (ადს).

განძის აღმოჩენა

ბაქო, 22 სექტემბ. ლენქორანის მაზრაში გლეხებმა აღმოაჩინეს განძი, რომელიც შესდგება რგვალ და უსწორო ფორმის ღია-ყვითელ ლითონის ფულისაგან, ფულის ორივე მხარეზე გამოხატულია სახეები. ერთ ფულზე შემჩნეულია ინიციალები, რომლებიც ჩვეულებრივად გვხვდება ქრისტიანულ ჯვარცმაზე.

ჩამოსულმა სპეციალურმა კომისიამ შეაგროვა 232 ფული და თეთრ ლითონის (როგორც ჩანს ვერცხლის) ნაჭერი.

საგანძურის მნახველები ამტკიცებენ, რომ იქ იყო აგრეთვე სხვადასხვა სიდიდის და ფორმის სამაჯურები და რაღაც მოწითალო - ყვითელ ლითონის ნაჭრები. ეს ნივთები ჯერ ვერ იპოვეს (ადს).

პარტიული ცხოვრება

იმიჯნებიან ოპოზიციონერებისაგან

საქართველოს კომ. პარტიის (ბ) ფოთის ორგანიზაციას პარტიის წევრებმა ამხ. ნესტორ კაკულიამ, კონდრატი ჭედიამ, იოსებ ცხადაიამ და ბესარიონ სიჭინავამ მიმართეს განცხადებით, რომელშიაც იმიჯნებიან ოპოზიციისაგან და აცხადებენ, რომ ხსნიან თავის ხელმოწერას „83“-ის განცხადებიდან.

ამხ. კაკულია თავის განცხადებაში სწერს: „მე ხელი მოვაწერე „83“-ს განცხადებას მხოლოდ იმიტომ, რომ ამ განცხადებაში იყო რამოდენიმე მუხლი, რომლებშიაც გამოთქმულია სურვილი, რომ ც. კ. და ც. ს. კ. პლენუმზე გამორკვეული ყოფილიყო ოპოზიციასთან სადაო საკითხები. პოლიტიკურად კი ოპოზიციის შეხედულებებს მე არ ვიზიარებდი და არ ვიზიარებ. საკ. კ. პ. (ბ) ც. კ. და ც. ს. კ. უკანასკნელ პლენუმის გადაწყვეტილებების გამო, რომლებსაც მე სავსებით ვემორჩილები, ჩემს მოვალეობად მიმაჩნია მოვხსნა ხელმოწერა „83“-ის განცხადებიდან“.

ამხ. ვ. სიჭინავა, პარტიის წევრი 1918 წლიდან, აღნიშნავს თავის განცხადებაში [illegible] ჩემთან მოვიდა ორი კომუნისტი „83“-ის განცხადებით; მათ მითხრეს, რომ ეს განცხადება მოითხოვს პარტიის მთლიანობასა და ხელი მომაწერიეს მასზე.

როგორც გამოირკვა, ოპოზიციას თავის განცხადებით შეაქვს პარტიაში ფრაქციული მუშაობის ელემენტები და მიჰყავს პარტია გათიშვისაკენ.

მე, როგორც მუშა, ვიყავი და ვიქნები ლენინის პარტიის წევრი, მე არ ვიცნობ სხვა პარტიას და ვხსნი ჩემ ხელისმოწერას „83“-ს განცხადებიდან“.

ამხ. კ. ჭედია და ი. ცხადაია თავის განცხადებაში აღნიშნავენ, რომ მათ მიტომ მოაწერეს ხელი „83“-ის განცხადებას, რომ ისინი შეცდომაში შეიყვანეს სხვა ამხანაგებმა. (ადს).

რას უნდა აკეთებდეს საორგანიზაციო თათბირი

საქ. კომ. პ. (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა 1926 წლის მარტში წინადადება მისცა საქ. კომ. პ. (ბ) სამაზრო და საოლქო კომიტეტებს გადაეკეთებიათ სამაზრო კომიტეტებთან არსებული საორგანიზაციო კოლეგიები საორგანიზაციო თათბირებათ და დაექვემდებარებია ისინი კომიტეტის საორგანიზაციო განყოფილებებისათვის.

ცეკას ეს დირექტივა გამოწვეული იყო პარტიის წინაშე დასმულ ამოცანების ცხოვრებაში გატარების საჭიროებით. იმ ამოცანების, რომლებიც მოითხოვდენ ხელმძღვანელ აპარატის დაახლოვებას პარტ-მასასთან.

იმ აქტივს, რომელიც მონაწილეობას ღებულობს საორგანიზაციო თათბირების მუშაობაში, დავალებული აქვს პარტკომის მიმდინარე დირექტივების დამუშავება, და კონტროლის გაწევა უჯრედების და კომფრაქციების მუშაობისათვის

მაგრამ, მიუხედავათ იმისა, რომ ცეკას მიერ საორგანიზაციო კოლეგიების რეორგანიზაციის შესახებ დირექტივის მოცემის დღიდან განვლო 1 ნახევარმა წელმა, მიუხედავათ იმისა, ცეკა იძლეოდა დამატებით განმარტებას საორგანიზაციო თათბირების მუშაობის შესახებ. **ამ თათბირების პრაქტიკული მუშაობის შემოწმებამ აღმოჩინა, რომ ცეკას მიერ მოცემული ხაზი ნაწილობრივ დამახინჯებულია.**

მაგალითად — ახალციხის სამაზრო კომიტეტის საორგანიზაციო განყოფილებასთან არსებული თათბირი ამტკიცებს პარტიაში მიღებულთა სიას, ქუთაისის, ლეჩხუმის, ბორჩალოს და დუშეთის კომიტეტების საორგანიზაციო თათბირები—**აკეთებენ პრეზიდიუმის საქმეს: ნიშნავენ მუშაკებს, ამტკიცებენ თემკომების მდივნებს და სხვ.**

თბილისის კომიტეტის საორგანიზაციო განყოფილებასთან არსებული საორგანიზაციო თათბირი (ოქმი № 1) იხილავს კომიტეტის ბიუჯეტს, ამტკიცებს საორგანიზაციო განყოფილების გეგმას, მაშინ როდესაც ეს ორგანო წარმოადგენს **მხოლოდ სათათბირო ორგანოს** იმ განყოფილებასთან, რომლის გეგმასაც ის ამტკიცებს.

დუშეთის კომიტეტის საორგანიზაციო თათბირი **პირდაპირ ითვისებს კომიტეტის პრეზიდიუმის ფუნქციებს. ის ამუშავებს და ამტკიცებს კომიტეტის პლენუმის დღის წესრიგს.**

რაჭის კომიტეტის საორგანიზაციო განყოფილებასთან არსებული საორგანიზაციო თათბირი თავის თავს უწოდებს „სამაზრო კომიტეტის საორგანიზაციო კოლეგიის გაფართოებულ თათბირს“ (ოქმი № 4)!!!

ცეკას დირექტივების ასეთი დამახინჯება პარტკომების საორგანიზაციო განყოფილებასთან არსებულ სათათბირო ორგანოს — საორგანიზაციო თათბირს ხდის. კომიტეტის „მცირე პრეზიდიუმათ“ და იწვევს კომიტეტის პრეზიდიუმის ფუნქციების არევას, არღვევს პარტიული ხელმძღვანელობის მწყობრ სისტემას.

საორგანიზაციო განყოფილებებთან არსებულ საორგანიზაციო თათბირების მუშაობის აქ აღნიშნული ნაკლი აუცილებლათ აღმოფხვრილი უნდა იქნეს. საორგანიზაციო თათბირების მუშაობა უნდა **სწარმოებდეს განსაზღვრული გეგმით.** მათი მუშაობა უნდა მდგომარეობდეს მხოლოდ პარტკომების და სხვა მაღლამდგომ ორგანოების დირექტივების დამუშავებაში ამა თუ იმ ორგანიზაციის პირობების მიხედვით. საორგანიზაციო თათბირების მეორე ამოცანას შეადგენს, დაბლა მდგომ პარტორგანოების მუშაობისათვის კონტროლის გაწევა და მათთვის ხელის შეწყობა ყოველდღიურ მუშაობის ჩატარებაში.

ა. გ—ი.

ებრაელთა შორის მუშაობა

(ქ. ფოთი)

დიდი ხანი არ არის მას შემდეგ, რაც ქალ. ფოთის კომკავშირის ორგანიზაციამ ებრაელთა შორის მომუშავეთ გამოჰყო ენერგიული მუშაკ. ამხ. ისრო ვანცოვსკი.

კომკავშირის იდეური გავლენით ბევრი ებრაელი ახალგაზრდა ჩამოშორდა ძველ ჩვეულებებს და ჩაება ორგანიზაციულ მუშაობაში.

ბავშვთა კომუნისტურ ორგანიზაციის დახმარებით დაარსებული იქნა ებრაელ ბავშვთა პიონერ კოლექტივი. ამასთან ერთად ებრაელ ბავშვებისათვის გახსნილ იქნა სკოლა, სადაც სწავლობს ყველა ებრაელი პიონერები.

უწინ თუ ებრაელების ბავშვები ქუჩებში ხეტიალსა და ლაზღანდარობაში ატარებდენ დროს, დღეს ყველა ჩაბმულია ბავშვთა კომორგანიზაციაში.

ამასთან ერთად რამდენიმე ებრაელი ახალგაზრდა ჩაეწერა კომკავშირში.

გ. ხორავა.

კომკავშირში

ჩვენი კულტურული და სამეურნეო მუშაობა

(სოფ. მელაურის ა. ლ. კ. კ. უჯრედი)

ჩვენი სოფლის ახლად აშენებული სკოლის შენობა არის ოთხ-ოთახიანი. პირველ ორ ოთახში წარსულში მიმდინარეობდა მეცადინეობა, დანარჩენ ორ ოთახში ცხოვრობდა მასწავლებელი სამოსწავლო წლის პერიოდში. სამოსწავლო წლის პერიოდის შემდეგ ეს ორი ოთახი დატოვებული იქნა მასწავლებლის მიერ. ამათგან ერთი ოთახი ითხოვა ამ სოფელში არსებულმა ა. ლ. კ. კ. უჯრედმა სამკითხველოს მოსაწყობად. სკოლის საამშენებლო კომისიამ საზოგადოების თანხმობით სიხარულით გადასცა ოთახი ა. ლ. კ. კ. უჯრედს.

უნდა აღინიშნოს, რომ უჯრედმა სკოლის საამშენებლო კომისიას დიდი დახმარება გაუწია სკოლის აგების საქმეში, როგორც ფიზიკური ძალებით, ისე მატერიალურადაც. ხსენებულმა უჯრედმა სამკითხველოს სასარგებლოდ გამართა საღამო, რომელმაც დასტოვა 110 მანეთი მოგება. ეს თანხა სავსებით მოხმარდა სამკითხველოს: ოთახს გააკრეს შპალიერი და გამოწერილ იქნა გაზეთები. იყიდეს მაგიდა, სკამები, საწერკალამი და სხვა მრავალი ასეთი.

ამავე უჯრედმა განიზრახა 1927 წ. ხვნა-თესვის დასაწყისს დაემუშავებინა კოლექტიურად საყანე მიწა სამკითხველოს სასარგებლოდ, რისთვისაც უჯრედმა გამოჰყო სამი კაცისაგან შემდგარი კომისია. უჯრედმა ქ. სამტრედიის აღმასკომის შუამდგომლობით მიწათა სექციისაგან მიიღო ორი ქცევა მიწა და საწნელე ტყე მის შესაკავებლად. უჯრედმა ეს ადგილი კოლექტიურად შემოღობა დასთესეს სიმინდი, რომელიც სამჯერ იქნა გათოხნილი უჯრედის წევრების მიერ მართლაც, ყანა ისეთი კარგი გამოვიდა, რომ გლეხებს იმ ადგილას ისეთი ყანა არ ახსოვთ. ასეთმა მუშაობამ ამ უჯრედის სახელი ძლიერ მაღლა ასწია უპარტიო გლეხების თვალში.

ქ. ბებეშიძე.

ერთი-მეორის შემშური უჯრედები

(გეზათ - გულუხეთი, ხონ. მ.)

დიდი გეზათ - გულუხეთის თემში არსებობს ახ. ლ. კ. კ. ორი უჯრედი. წევრების რაოდენობა 50-მდე აღწევს. გაზაფხულზე უჯრედებმა გადასწყვიტეს მიწის საერთო ძალით დამუშავება აიღეს მიწა სამუშაოდ, მაგრამ სიზარმაცე გამოიჩინეს.

მიწის ნაკვეთი დღესაც დაუმუშავებელია, რადგან უჯრედები ერთი - მეორეს შესჩერებიან. გლეხობას არ მოსწონს. სხვა თემებში მიწის კოლექტიურად დამუშავება დიდ ნაყოფს იძლევა. ჩვენთან კი კომკავშირის ორ უჯრედმა ვერ შესძლო ამ შედარებით ადვილი საქმის გაკეთება.

დ. შავდია.

ომის საფრთხე და ოპოზიცია

I.

ოპოზიცია თავის მრავალ გამოსვლებში ანვითარებდა იმ აზრს, რომ ჩვენზე თავდასხმას ამზადებენ იმიტომ, რომ ჩვენ დავსუსტდით, მაშინ ,როდესაც კაპიტალისტები გაძლიერდენ. ოპოზიციონური ბელადების ასეთი თვალსაზრისი, სავსებით ეთანხმება მათ საერთო ლიკვიდატორულ შეხედულებებს ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის აღმშენებლობის საკითხებში, მათ მტკიცებას, რომ ნეპი არის სრული უკან დახევა, რომ იზრდება ბურჟუაზიული და წვრილბურჟუაზიული ელემენტების პოლიტიკური და ეკონომიური ხვედრითი წონა. საგულისხმოა მხოლოდ ის, რომ ოპოზიცია სცდილობს ეს აშკარა პორაჟენცული თვალსაზრისი დაფაროს საზოგადოდ კაპიტალიზმის სტაბილიზაციის ულტრა მემარცხენული უარყოფით. ერთი მხრით, „ჩვენ დავსუსტდით, კაპიტალისტები უფრო გაძლიერდენ“, და ამავე დროს, მეორე მხრით, ამხ. ზინოვიევმა თავის სიტყვაში ივლისის პლენუმზე განაცხადა, რომ ინგლისის გაფიცვა და ვენის აჯანყება კითხვის ქვეშ აყენებს კაპიტალისტურ სტაბილიზაციას, ე. ი. სხვა სიტყვებით, კომინტერნის უკანასკნელი სამი კონგრესის და კომინტერნის აღმასკომის უკანასკნელი პლენუმების რეზოლიუციები ამ ხაზით საფუძვლიანად უნდა იქნას გადასინჯული.

მაგრამ არც ლიკვიდატორულ წუწუნს იმაზე, რომ ჩვენ დავსუსტდით, ხოლო კაპიტალისტები გაძლიერდენ, არც კაპიტალიზმის სტაბილიზაციის ულტრამემარცხენულ უარყოფას ოდნავადაც არ ძალუძს ახსნას მოვლენათა ნამდვილი მდგომარეობა. აქ საჭირო არ არის შევჩერდეთ იმის მტკიცებაზე, რომ სიმართლეს არ შეეფერება ოპოზიციონური თეზისი იმის შესახებ, რომ თითქოს ჩვენ ეხლა უფრო სუსტი ვართ, ვიდრე სამი წლის წინედ ვიყავით. არა ნაკლებ შემცდარია კაპიტალიზმის სტაბილიზაციის უარყოფა ოპოზიციის მიერ. ეს უარყოფა გამომდინარეობს კაპიტალიზმის ბუნების სრული შეუცნობლობიდან და მისი სტაბილიზაციის ცნების სრულიად არა მარქსისტული გაგებიდან. პროცესი კაპიტალიზმის განმტკიცებისა „მსოფლიო მეურნეობის ომის შემდგომი საერთო დეზორგანიზაციის ფარგლებში“, უეჭველია არსებობს. ომის საფრთხე გამომდინარეობს სწორედ იქიდან, რომ ერთდროულად იზრდება და მტკიცდება როგორც კაპიტალისტური მსოფლიო, ისე საბჭოთა კავშირი. სწორედ კაპიტალიზმის ზრდა იწვევს „სულ ახალ და ახალ, სულ უფრო და უფრო მწვავე წინააღმდეგობას კაპიტალისტური სისტემის შიგნით, და ამასთან ერთად უაღრესად ანვითარებს იმპერიალისტურ ტენდენციებს.

ამიტომ ეგრედ წოდებული „რუსეთის“ და „ჩინეთის“ საკითხები ყველაზე უფრო მწვავე საკითხებია საერთაშორისო კაპიტალიზმისათვის“. სწორედ საბჭოთა კავშირის ზრდა ამტკიცებს მას. როგორც მსოფლიო რევოლიუციონური მოძრაობის მომწყობი ცენტრის მდგომარეობას, ადიდებს მის მიმზიდველ ძალას დასავლეთის მუშებისათვის, აძლიერებს მის გავლენას აღმოსავლეთში. მეორე მხრით, მხოლოდ იმიტომ, რომ არსებობს სტაბილიზაციის ერთგვარი მინიმუმი, რომელიც არ არსებობდა ჯერ კიდევ სამი-ოთხი წლის წინედ, კაპიტალიზმს შეუძლია განიზრახოს სამხედრო ინტერვენციის მოწყობა ჩვენს წინააღმდეგ. საბჭოთა კავშირის ზრდა და კაპიტალიზმის შედარებითი, მაგრამ მაინც სტაბილიზაცია — აი, საიდან გამომდინარეობს ჩვენი საერთაშორისო მდგომარეობის გამწვავება და ომის საფრთხე.

კაპიტალიზმი ახალ ბაზრებს ეძებს

კაპიტალიზმის სტაბილიზაცია თავის გამოხატულებას უპირველეს ყოვლისა, ჰპოულობს წარმოების ზრდაში. თუ მსხვილი მრეწველობის პროდუქციის მოცულობას 1913 წელში[1]) 100-ად ჩავთვლით, მაშინ 1927 წლის პირველი ოთხი თვისათვის ჩვენ მივიღებთ შემდეგ სურათს:[1])

	იანვარი	თებერვ.	მარტი	აპრილი
შეერთ. შტატები, ამომღებითი (добыв) მრეწვ.	159,3	148,5	164,8	137,7
„ „ „ გადამმუშ. მრეწვ.	138,6	142,2	168,3	160,0
ინგლისი	99,1	99,1	99,1	—
გერმანია	113,0	113,0	113,3	111,7
საფრანგეთი	124,1	127,1	129,2	122,3

ამასთანავე, ეს აღდგენა განსაკუთრებული ინტენსიობით გრძელდებოდა შემდეგ გერმანიაში. მიმდინარე წლის მაისში თუჯის წარმოება 40,5 პროცენტით გაიზარდა წარსული წლის საშუალო თვიურ წარმოებასთან შედარებით, ხოლო ფოლადის წარმოება 33,9 პროცენტით გაიზარდა. არა ნაკლებ ძლიერია იქ წარმოების სხვა დარგების ზრდა. ასე, მაგალითად, კერძოდ, ისეთი დარგი, როგორიცაა საფეიქრო მრეწველობა, ამჟამად იქ უკვე განიცდის კვალიფიციურ მუშა-ხელის ნაკლებობას.

მაგრამ არსებითი არის მრეწველობის არა მარტო რაოდენობითი ზრდა ყველა დიდ ქვეყნებში ინგლისის გარდა, არსებითია ის, რომ ამ რაოდენობით ზრდასთან სდევს ღრმა ხარისხობრივი გაუმჯობესება, ეს ზრდა სწარმოებს კაპიტალისტური მრეწველობისა და მთლიანად კაპიტალისტური მეურნეობის ტეხნიკური რეკონსტრუქციის საფუძველზე. ეს პროცესი ნათელ გამოხატულებას ჰპოულობს სხვადასხვა სახის ნედლეულის და ნახევარ ფაბრიკატების წარმოების არათანაზომიერ განვითარებაში. ყველაზე უფრო სწრაფად იზრდება იმ ნედლეულის წარმოება, რომელიც საჭიროა მრეწველობის ახალი დარგებისათვის. ეს ჩანს შემდეგი ცხრილიდან[2]). თუ ქვემოთჩამოთვლილი ნედლი მასალების მსოფლიო წარმოებას 1913 წელში მივიღებთ 100-ად, მაშინ ეს წარმოება 1925 წელში შეადგენს:

ბამბა—124, სელი—94, მატყლი—93, ხელოვნური აბრეშუმი—660, ნედლი ყაუჩუკი—383, ნახშირი—98, ლიგნიტი—143, ნავთი—277, თუჯი—97, ფოლადი—119, სპილენძი—140, ალუმინიუმი—287[3])

ყველაზე უფრო დიდ ზრდას გვიჩვენებს ხელოვნური აბრეშუმი, ყაუჩუკი (საავტომობილო მრეწველობა), ლიგნიტი, ნავთი, სპილენძი (ელექტრონის მრეწველობა), ალიუმინიუმი, მათი ზრდა განსაკუთრებით ნათლად სჩანს წარმოების „ძველი“ დარგების, (როგორც მაგ. ნახშირი, თუჯი და სხ.). მეტად მნიშვნელოვანი ჩამორჩენის ფონზე.

ტეხნიკური რეკონსტრუქციის პროცესი თავის არსებით ისეთია, რომ შეუძლებელია მისი სწორ და საერთო სტატისტიკურ ციფრებში გამოხატვა. ამიტომ აქ უნდა დავკმაყოფილდეთ მხოლოდ კერძო დასკვნებით გერმანიის უკანასკნელი აღწერის ცნობების თანახმად, ელექტრომოტორების სიძლიერე გერმანიის მრეწველობაში 1907 წლიდან 1925 წლამდე 663,5 პროცენტით გაიზარდა, ამასთანავე, მამოძრავებელთა სიძლიერის საერთო ზრდა უდრის 183,7 პროცენტს. ეს ზრდა უმთავრესად მოხდა ომის შემდეგ[4]). ეს ციფრები მეტად თვალსაჩინოდ ახასიათებენ გერმანიის მრეწველობის პროცესს და ელექტროფიკაციის ტემპს.

ჩვენ მოვიყვანთ ზოგიერთ ცნობებს, რომელნიც ახასიათებენ კაპიტალისტური მრეწველობის ტეხნიკურ და საორგანიზაციო მიღწევებს მრეწველობის ცალკე დარგებში. თუჯის თვიური გადადნობა ერთ ღუმელში შეადგენდა (ათას ტონობით):

	გერმანია	საფრანგ.	ინგლისი	ჩრ.-ამერ. შეერ. შტ.
1913	4,5	—	2,6	—
1922	4,8	4,5	3,3	15,8
1926 (აგვ.)	10,3	5,2	3,5	15,2

ყველაზე სუსტად მიდის წინ ინგლისი, რომლის ლითონის მრეწველობა ქვანახშირის მრეწველობასთან ერთად არის ინგლისის მრეწველობის ყველაზე უფრო ჩამორჩენილი და დახავსებული ნაწილი. სავსებით განსაკუთრებულია წინსვლის ტემპი გერმანიაში, რომელმაც 1922 წლიდან 1926 წლამდე თუჯის გადადნობა თვიურ ღუმელში გაადიდა 4,8-დან 10,1 ათას ტონამდე, ე. ი. ორჯერ მეტად.

გერმანიის ლითონის ჩამომხსმელ მრეწველობაში რაციონალიზაციამ ლითონის ჩამოსხმა მხოლოდ ერთი წლის განმავლობაში, 1925 წ. სექტემბრიდან 1926 წ. სექტემბრამდე გაადიდა 26 პროცენტით, ამასთანავე მუშების რიცხვი შემცირა 11 პროცენტით და ყოველი მათგანის დღიური ნაყოფიერება გაადიდა 44 პროცენტით.

ქვა-ნახშირის მრეწველობაში ნახშირის ამოღება მექანიკური წესით სწარმოებს 50 პროცენტით, წინააღმდეგ ომამდე არსებული 5 პროცენტისა. კალიუმის მრეწველობაში წარმოება გაიზარდა, მიუხედავად იმისა, რომ მთელი ქარხნების ორი მესამედი ტეხნიკური მოწყობილება იგივე რჩება.

აუცილებელია აღინიშნოს, რომ თანამედროვე მრეწველობის რაციონალიზაციასა და რეკონსტრუქციასთან ერთად სწარმოებს თავისებური გასამხედროების პროცესი. ეს გასამხედროება მდგომარეობს არა მარტო იმაში, რომ იზრდება სამხედრო ქარხნების რიცხვი და დატვირთვა. მნიშვნელოვანია ის, რომ სულ უფრო და უფრო ადვილი ხდება მშვიდობიანი ხანის მრეწველობის მობილიზაცია და გადაყვანა სამხედრო ნიადაგზე.

ეს შეეხება ლითონის მრეწველობასაც და უფრო მეტად ქიმიურ მრეწველობას, რომელსაც ძალიან ადვილად და მინიმალური ხარჯების გაღებით შეუძლია ლაქებისა და ხელოვნური განოყიერების წარმოებიდან გადავიდეს მომშხამველი გაზების წარმოებაზე. ქიმიური მრეწველობა კი, ერთ-ერთი მოწინავე მრეწველობაა. მისი პროდუქცია 1913 წლიდან 1924 წლამდე გაიზარდა 40 პროცენტით, ამასთანავე საწარმოო აპარატი გამოყენებულია მხოლოდ 50—60 პროცენტით. ამას ეკუთვნის აგრეთვე ისეთი დარგებიც, როგორც მაგ., საავტომობილო, საავიაციო, რომელნიც მინიმალური ხარჯების გაღებით შეიძლება გადაყვანილ იქნან სამხედრო ნიადაგზე.

ტეხნიკურ რეკონსტრუქციას თან სდევს კაპიტალისტური მრეწველობის კონცენტრაციის ზრდა. ფაქტები ამ დარგიდან საკმაოდ ცნობილია ყველასათვის. საკმაოა მოვიგონოთ, რომ უკანასკნელი წლების განმავლობაში შეიქმნა ისეთი უდიდესი ტრესტები, როგორიც არის ფოლადის და ქიმიური ტრესტი გერმანიაში, ქიმიური ტრესტი ინგლისში, ევროპის ფოლადის კარტელი და სხ.

მაგრამ წარმოების ზრდა, რაციონალიზაცია და ტეხნიკური რეკონსტრუქცია ძალიან ამწვავებს და არ შეუძლია არ გაამწვავოს კაპიტალისტური მეურნეობის შინაგანი წინააღმდეგობა. მანქანათ შენების მრეწველობის საწარმოო აპარატის დატვირთვა 70 პროცენტზე ცოტა მეტს შეადგენს. ქიმიურ მრეწველობაში 50-დან 60 პროცენტამდე. ლითონის მრეწველობის დატვირთვა ინგლისში შეადგენს 41 პროცენტს, ხოლო საფეიქრო მრეწველობაში—45 პროცენტს.

ბუნებრივია, რომ ასეთი მდგომარეობა კაპიტალიზმის წინაშე კვლავ მწვავედ სვამს პროდუქციის გასაღების, ბაზრების მოპოების პრობლემას, ბაზრების განაწილების პრობლემას, რომელიც კაპიტალისტურ საზოგადოებაში მხოლოდ ომით შეიძლება გადაწყდეს.

ბრძოლა ბაზრებისათვის აიძულებს ბურჟუაზიას შეტევა აწარმოოს მუშათა სამუშაო ხელფასისა და საარსებო დონის წინააღმდეგ, თვითღირებულების შემცირებისა და კონკურენციის უნარის გადიდებისათვის მსოფლიო ბაზარზე.ეს შეტევა სწარმოებს როგორც სამუშაო ხელფასის შემცირებისა და სამუშაო დღის გადიდების ხაზით, ისე მუშათა რაოდენობის შემცირების ხაზით. უმუშევართა რიცხვი, მიუხედავად მდგომარეობის ერთგვარი გაუმჯობესებისა ზოგიერთ ქვეყნებში, კერძოდ გერმანიაში, მიუხედავად მაღალი კონიუნქტურისა, რომელიც საეჭვოა, რომ დიდხანს გაგრძელდეს, ეს რიცხვი ამა წლის ზაფხულში მხოლოდ 200 ათასით არის ნაკლები წარსული წლის ზაფხულთან შედარებით და შეადგენს 4 მილიონს, რაიც უდიდეს რიცხვს წარმოადგენს მთელი ევროპისათვის. კაპიტალისტების ბრძოლას სამუშაო დღის გადიდებისა და სამუშაო ხელფასის დაკლებისათვის აგრეთვე არ შეუძლია არ გამოიწვიოს ძლიერი კონფლიქტები კაპიტალსა და შრომის შორის. ინგლისის გაფიცვა ასეთი კონფლიქტების მხოლოდ დასაწყისი იყო.

თუ კაპიტალიზმის შედარებითი სტაბილიზაცია დაკავშირებულია კლასობრივ წინააღმდეგობათა გამწვავებასთან კაპიტალისტურ სახელმწიფოთა შიგნით, იგი კიდევ უფრო მეტ გამწვავებას იწვევს კაპიტალისტურ სახელმწიფოებს **შორის.** ბრძოლა გასაღების ბაზრებისა, კაპიტალის გამოყენების სფეროებისა, დიდი საზღვაო და რკინისგზისათვის უფრო გამწვავებულია, რაც მეტ საქონელს ამზადებს კაპიტალისტური მრეწველობა, რაც უფრო ძლიერია როგორც საქონლის, ისე კაპიტალის ექსპორტის მოთხოვნილება. წარმოდგენა, რომლიდანაც გამოდის ოპოზიცია და რომლის მიხედვითაც კაპიტალიზმის სტაბილიზაცია ნიშნავს მის წინააღმდეგობათა შენელებას, არის სოციალ-დემოკრატიული წარმოდგენა, რომელსაც არაფერი აქვს საერთო არც მარქსიზმთან და არც ლენინიზმთან. სტაბილური მდგომარეობის ერთგვარი მინიმუმი აუცილებელი წინასწარი პირობაა იმპერიალისტური აქტიობის სრული განვითარებისათვის.სტაბილური მდგომარეობისს სწორედ ამ მინიმუმს მიაღწია ეხლა კაპიტალიზმმა. ამ ფაქტის მიჩქმალვა ოპოზიციის მიერ ააშკარავებს, რომ ოპორტიუნისტულ შინაარსისაა მისი მემარცხენული ფრაზები იმის შესახებ, რომ კაპიტალიზმის სტაბილიზაცია კითხვის ქვეშ არისო. ფაქტის ასეთი მიჩქმალვა ბადებს მხოლოდ შემცდარ, დამღუპველ ტაქტიკას.

ინგლისის იმპერიალიზმის როლი

ყველაზე უფრო აგრესიული პოზიცია იმპერიალისტურ სახელმწიფოებს შორის უჭირავს ინგლისს. იგი ამჟამად დახავსებულ კაპიტალიზმის კლასიკურ ქვეყანას წარმოადგენს. მას სწრაფად წამოეწიენ უფრო ახალგაზრდა კაპიტალისტური ქვეყნები, მათ შორის ვერსალის ზავისაგან განადგურებული გერმანიაც, რომელიც თანდათან იმაგრებს ზურგს, და იგი, ინგლისი, სულ უფრო და უფრო ჰკარგავს თავისი წონას მსოფლიო წარმოებაში და საქონლის ბრუნვაში. ინგლისის ადგილი ქვანახშირის მსოფლიო ამოღებაში შემცირდა 24,2 პროცენტიდან 1913 წელში 21 პროცენტამდე 1925 წელში (ე. ი. გაფიცვის წინ). მისი წილი თუჯის მსოფლიო გადადნობაში დაეცა 13,1 პროცენტიდან 1913 წელში 8,3 პროცენტამდე 1925 წელში. და ბოლოს, მისი წილი ბამბისა და მატყლის მსოფლიო მოხმარებაში 1925 წელში 15 პროცენტით შემცირდა ომამდე არსებულ ხანასთან შედარებით. საფეიქრო საქონელი კი ინგლისის მთელი ექსპორტის **მესამედს** შეადგენს.

ინგლისის დასუსტება მსოფლიო წარმოების პროცესში დაკავშირებულია მისი როლის დაცემასთან მსოფლიო საქონლის ბრუნვაში. ყოველ წლობით იზრდება მისი სავაჭრო ბალანსის პასივი. 1924 წელში ეს პასივი შეადგენდა 324 მილიონ გირვანქა სტერლინგს, 1925 წელში—385 მილ. გირვ. სტერლ. და 1926 წელში—477 მილ. გირვ. სტერლინგს. მისი ექსპორტის მდგომარეობისათვის განსაკუთრებით დამახასიათებელია დიდბრიტანეთის ძირითადი საექსპორტო ინდუსტრია—საფეიქრო მრეწველობა.

მდგომარეობა კი ინდუსტრიის ამ დარგში ასეთია: 1913 წელში ინგლისიდან გატანილ იქნა 6750 მილიონი კვ. იარდი ბამბის ქსოვილები, 1925 წელში—4.434 მილ. კვ. იარდი და 1926 წელში—3.834 მილ. კვ. იარდი.

ინგლისისათვის სულ უფრო და უფრო უიმედო ხდება ბრძოლა მხოლოდ წმინდა ეკონომიური ზომებით. ინგლისს არ შეუძლია დათანხმდეს „ღია კარების“ პოლიტიკაზე, რომელსაც ქადაგებს შეერთებული შტატების ძლიერი საწარმოო კაპიტალიზმი. ინგლისი სცდილობს, რომ არაეკონომიური, სამხედრო ზეგავლენით, პოლიტიკური ზეგავლენით შეინარჩუნოს თავისი პოზიციები მსოფლიო ბაზარზე. აქედან მისი მაქსიმალური აგრესიულობა სხვა იმპერიალისტურ ქვეყნებთან შედარებით. ინგლისის ბურჟუაზია ხედავს, რომ რაც ხანი გადის, მით უფრო უარესდება მისი მდგომარეობა. ამიტომ იგი სცდილობს რაც შეიძლება დააჩქაროს ომი.

როცა ინგლისი აწარმოებს ბრძოლას თავისი საქონლისათვის ბაზრის მოსაპოვებლად, დედა-მიწის ერთ მეექვსედ ნაწილის მანძილზე იგი ხვდება საგარეო ვაჭრობის მონოპოლიას, რომელიც შემოღებულია პროლეტარული სახელმწიფოს მიერ. მისი ვაჭრობა უდიდეს ზარალს განიცდის ჩინეთში, სადაც რევოლიუცია კომინტერნის იდეური ხელმძღვანელობით ვითარდება. ამიტომ მისი იმპერიალისტური აგრესიულობა პირველ რიგში მიმართულია საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ.

ამ იმპერიალისტური აგრესიულობის ფესვები იმყოფება არა მარტო ვაჭრობისა და სამრეწველო ექსპორტის საკითხებში. ინგლისის კაპიტალიზმის დაცემა ყველაზე უფრო ნათელ გამოსახულებას ჰპოულობს იმ ფაქტში, რომ მრეწველობის ხვედრითი წონა ინგლისის სახალხო მეურნეობაში სულ უფრო და უფრო ეცემა. საგულისხმოა ის ფაქტი, რომ 1926 წელში, გაფიცვის წელში, როცა ისეთი დარგები, როგორიცაა ქვა-ნახშირის, ლითონის, მანქანათშენების, გემთშენების, საფეიქრო მრეწველობა, ან სრულიად შეჩერებული ან თითქმის შეჩერებული იყო, სწორედ ამ წელში 1500 საქციო კომპანიის (რომელნიც შედიან ჟურნალ „Economist“-ის სტატისტიკაში) საშუალო დივიდენდი უფრო მეტი იყო, ვიდრე 1925 წელში. 1925 წელში ეს დივიდენდი შეადგენდა 10,8 პროცენტს, ხოლო 1926 წელში 11,3 პროცენტს.

როგორ იყო ეს შესაძლებელი? უპირველეს ყოვლისა, იმის გამო, რომ მიუხედავად საწარმოო კატასტროფისა თვით ინგლისში, ინგლისის მრავალი კომპანიები, რომელთა წარმოებები იმყოფება ინგლისის ფარგლების გარეშე კვლავ იღებდენ ძალიან დიდ მოგებას. ინგლისის ბურჟუაზიამ საზღვარგარეთ დააბანდა 50 მილიარდი მანეთი.

მოგება ამ მილიარდებიდან დიდ როლს თამაშობს მისთვის.

ინგლისის ბურჟუაზიის წმინდა შემოსავალი სამრეწველო ექსპორტიდან 1925 წელში შეადგენდა არა უმეტეს 100 მილიონი გირვ. სტერლინგისა. მაშინ როდესაც შემოსავალი საზღვარგარეთ დაბანდებული კაპიტალისაგან, საბანკო საკომისიო მოგებიდან და სხ. 420 მილიონ გირვ. სტერ. აღემატებოდა. ეს ორი ციფრი წარმოადგენს გასაღებს ინგლისის პოლიტიკის გაგებისათვის. რევოლიუციონურ მოძრაობის ზრდა აღმოსავლეთში, პირველ რიგში ჩინეთში, არა მარტო და არა იმდენად უმზადებს საფრთხეს ინგლისის ვაჭრობას. ეს საფრთხე ელის ინგლისის კაპიტალს, რომელიც დაბანდებულია იქ ქარხნებში, ფაბრიკებში, რკინის გზებში, სახელმწიფო სესხში, საბანკო წარმოებებში. რომ შეენარჩუნებია ჩინეთში დაბანდებული კაპიტალი და უზრუნველეყო თავისი ბატონობა ინდოეთში, ინგლისის კაპიტალიზმმა პირველმა დაიწყო სამხედრო ინტერვენცია ჩინეთში მაგრამ ჩინეთის რევოლიუც. განადგურებისათვის აუცილებელია საბჭოთა კავშირის დამხობა.აქ არის მეორე წყარო იმ იმპერიალისტური აგრესიულობისა, რომელიც ინგლისის იმპერიალიზმის მიერ არის გამართული ჩვენს წინააღმდეგ.

დაბოლოს, მესამე წყარო. ინგლისის კაპიტალიზმის დასუსტება მსოფლიო საწარმოო პროცესში, ინგლისის მრეწველობის დახავსება აუცილებელს ხდის შემდგომ კონფლიქტებს, ბურჟუაზიისა და მუშათა კლასს შორის. ინგლისის კაპიტალისტები საუცხოვოდ აძლევენ თავის-თავს ანგარიშს იმ გარემოებაში, რომ საბჭოთა კავშირს უდიდესი მიმზიდველობითი ძალა აქვს ყოველი მუშისათვის, რომ თვით ფაქტი საბჭოთა კავშირის არსებობისა უდიდეს როლს თამაშობს კომუნისტურ პროპაგანდაში, ინგლისის პროლეტართა გარევოლიუციონერების პროცესში. ყოველ ეჭვს გარეშეა, რომ ის როლი, რომელიც საბჭოთა პროფკავშირებმა ითამაშეს ინგლისის დიდი გაფიცვის დროს, იყო ერთ-ერთი უმთავრესი უშუალო მიზეზი იმისა, რომ კონსერვატორების მთავრობამ გასწყვიტა ურთიერთობა ჩვენთან. იმისათვის, რომ მოსტეხოს „ხერხემალი“ საკუთარ მუშათა მოძრაობას, ინგლისის ბურჟუაზიისათვის აუცილებელია დაამხოს საბჭოთა კავშირი.

მაგრამ პირდაპირ ომი საბჭოთა კავშირთან ინგლისის ბურჟუაზიას არ შეუძლია, ან თითქმის არ შეუძლია მთელ რიგ პოლიტიკურ და გეოგრაფიულ პირობათა გამო. ამიტომ მისი ამოცანა ეხლანდელ მომენტში მდგომარეობს იმაში, რომ შექმნას ბურჟუაზიული სახელმწიფოების მთლიანი ფრონტი ჩვენს წინააღმდეგ რამდენად შესძლებს იგი ამის მიღწევას? ამაზე შემდეგ.

ი. ვ—ი.

---

[1]) „План. хоз. № 4, 1927 г.

[1]) „План. хоз. № 4, 1927 г.

[2]) Wirfschatskur. d „Frankf Zeitung“ 1927, II

[3]) «Мировое хозяйство и мировая политика» № 2—3, გვ. 74.

სახალხო მეურნეობის ინდუსტრიალიზაციის სესხი

1 ოქტომბრიდან იწყება ხელის მოწერა ინდუსტრ. სესხზე.—თვითეულ საბჭოთა მოქალაქემ უნდა მიიღოს მონაწილეობა ამ სესხის განაღდებაში.—ობლიგაციებ[illegible] შეიძლება ცალ-ცალკე და კოლექტიურად.—ფულის გადახდა დაშვებულია ერთდროულად და ნაწილ-ნაწილადაც.—ყოველ 325 ობლიგაციაზე ხვდება თითო ობლიგაცია, მისი შემოსავალი და მოგება არ იბეგრება არავითარი გადასახადით.—პროცენტების მიღება ობლიგაციიდან სწარმოებს ყოველ ექვს თვეში ერთ[illegible]

ინდუსტრიალიზაციის სესხის მიზანი

საკავშირო ცაკის მოწოდება

მოსკოვი, 22 სექტემბ. საკავშირო ცაკმა მოკავშირე რესპუბლიკების ცენტრ. აღმას. კომიტეტების ყველა თავმჯდომარეებს მიმართა წერილით, რომელშიაც სხვათა შორის ნათქვამია:

„სამეურნეო აღმშენებლობის მოთხოვნილებები გვავალებენ მთლიანად გამოვიყენოთ სახელმწიფო შინაური სესხის შესაძლებლობანი; ამიტომ, საჭიროა მეტი ყურადღება ექცეს მიქცეული ინდუსტრიალიზაციის სესხის რეალიზაციას.

სესხის რეალიზაცია უმთავრესად დამოკიდებულია მუშა-მოსამსახურეთა და ქალაქის ინტელიგენციის კოლექტიურ მოთხოვნილებაზე. ამასთან დაკავშირებით, ყველა აღმასკომებმა და საბჭოებს უნდა მიეცეს დირექტივა, რათა საფინანსო ორგანოებმა აღნიშნულ მაქსიმალური ღონისძიებანი იხმარონ სესხის რეალიზაციის კამპანიის ჩასატარებლად და აღმასკომებთან დამხმარე კომიტეტების დაარსებლად. ადგილობრივ დაწესებულებათა ხელმძღვანელები მოვალენი არიან ყოველგვარი დახმარება გაუწიონ მუშა-მოსამსახურეთა შორის სესხის კოლექტიურად გასაღების ჩატარებას. განსაკუთრებით, ეს უნდა გამოიხატოს იმაში, რომ დაწესებულებათა ადმინისტრაციამ უნდა იკისროს საკრედიტო დაწესებულებებთან ანგარიშის გასწორება თავიანთ მოსამსახურეების მიერ სესხის კოლექტიურად გამოწერის დროს (ადს).

სახალხო მეურნეობის რეკონსტრუქციის გზით

საბჭოთა კავშირის ინდუსტრიალიზაცია,—უკეთ რომ ვსთქვათ,—ამ ინდუსტრიალიზაციის ტემპის გაძლიერება ამჟამად წარმოადგენს ჩვენს ძირითად მიზანს, რომელსაც შეუძლია გადასწყვიტოს მთელი ჩვენი სახალხო მეურნეობის რეკონსტრუქციის უდიდესი ამოცანა და გაადვილოს ჩვენი ქვეყნის თავდაცვის საქმე. ჩვენი ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის სწრაფი ტემპი, სასოფლო მეურნეობის ინტენსიფიკაციასთან ერთად ხელს შეუწყობს უმუშევრობის შემცირებას, მრეწველობისა და სასოფლო მეურნეობის პროდუქციის გაიაფებას.

ყველა ამ ამოცანების განსაკუთრებული მნიშვნელობა ყოველ ჩვენთაგანს აკისრებს უდიდეს მოვალეობას—ყოველ მხრივ შეუწყოთ ხელი მათ გადაწყვეტას და მაშასადამე „ინდუსტრიალიზაციის სესხის“ გასაღებას.

ჩვენმა სამეურნეო, სახელმწიფო და კოოპერატიულმა ორგანიზაციებმა ენერგიული მონაწილეობა უნდა მიიღონ ამ საქმეში და რაც შეიძლება მეტი ობლიგაციების შეძენას უნდა შეეცადონ. აუცილებელია თავისუფალი თანხების ნაწილი მოთავსებულ იქნას „ინდუსტრიალიზაციის სესხში“, მის ობლიგაციებში, ვინაიდან ჯერ ერთი, ეს იძლევა უშუალოდ მეტ მოგებას, (პროცენტებში), ვიდრე მიმდინარე ანგარიშზე მყოფი თანხები, და მეორე, ეს თანხები სულ ერთია, ისევ დაბრუნდება მრეწველობაში და საერთო ბრუნვაში. საჭიროა მხოლოდ, რომ ჩვენი ორგანიზაციების ხელმძღვანელებმა უარჰყონ ყალბად გაგებული „უწყებრივი“ ინტერესები და განიმსჭვალონ საერთო-სახელმწიფოებრივი ინტერესებით.

ჩვენ ვფიქრობთ, რომ „ინდუსტრიალიზაციის სესხმა“ უნდა დააინტერესოს კერძო ვაჭრებიც, ვინაიდან ეს მათაც აძლევს მათი თანხების სასარგებლო და ლეგალური დაბანდების საშუალებას.

აუცილებელია აღინიშნოს, რომ მე-3 საგლეხო სესხის გასაღებამ, რომელიც ამჟამად სწარმოებს, არავითარ შემთხვევაში არ უნდა შეუშალოს ხელი „ინდუსტრიალიზაციის სესხის“ გასაღებას, ვინაიდან საგლეხო სესხს, რომელიც მიზნად ისახავს სასოფლო მეურნეობის ინტენსიფიკაციას, სხვა კატეგორიის ხელისმომწერლები ჰყავს.

ქ. ჩხენკელი.

სესხის გამარჯვების პირობები

1 ოქტომბრიდან დაიწყება ხელმოწერა ინდუსტრიალიზაციის სესხზე, რომელიც გამოშვებული იქნება სარეალიზაციოდ შინაურ ფულის ბაზარზე 200 მილიონი მან. რაოდენობით. საბჭოთა სახელმწიფო კრედიტის პრაქტიკაში ეს პირველი მიზნობრივი სესხია. ჩვენი ეკონომიური პოლიტიკის უმთავრეს ამოცანას ამჟამად შეადგენს ქვეყნის ინდუსტრიალიზაცია. საბჭოთა კავშირისათვის შექმნილი საერთაშორისო მდგომარეობა, რომელიც კაპიტალისტური სახელმწიფოების შეიარაღებულ თავდასხმას გვიქადის, და ჩვენი ქვეყნის მთელი სახალხო მეურნეობის საწარმოო ძალების განვითარება თანაბრად მოითხოვენ მრეწველობის გაშლას, მისი ტექნიკური ბაზის გაუმჯობესებას და ნაყოფიერების აწევას.

ინდუსტრიალიზაციის სესხი, რომელსაც ნებაყოფლობითი ხასიათი აქვს, მოსახლეობის თავისუფალი თანხების შეგროვების გზით, გახდება დამატებითი წყარო, რომელიც უზრუნველყოფს მრეწველობის წინაშე დასახულ ამოცანების შესრულებას.

უკანასკნელ წლების განმავლობაში საბჭოთა კავშირის სახალხო მეურნეობამ გიგანტური ნაბიჯები გადადგა წინ ყველა დარგში. სახალხო მეურნეობის განვითარებას თან სდევდა მუშათა კლასისა და გლეხობის ფართო ფენების მატერიალური კეთილდღეობის ზრდა (სხვანაირად არც შეიძლება საბჭოთა პირობებში). 1923—24 წ. საშუალო წლიური რეალური სამუშაო ხელფასის შედარება რეალურ სამუშაო ხელფასთან მიმდინარე წლის აპრილში გვიჩვენებს, რომ ამ ხნის განმავლობაში ის ერთნახევარჯერ უფრო მეტად გაზრდილა. მუშათა ბიუჯეტების გამოკვლევებიდან მიღებული ცნობები ადასტურებენ. რომ ამ ბიუჯეტებში ადგილი აქვს გადარჩენილი ფულის (მართალია, არა დიდი რაოდენობით) დაგროვების ტენდენციას, ამასვე მოწმობს გლეხობის ბიუჯეტიც. ერთი სიტყვით, შეიძლება ვაღიაროთ, რომ ამ უკანასკნელ წლებში მშრომელთა მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესების ნიადაგზე მოსახლეობის ფართო მასებში ადგილი აქვს საშუალებების ერთგვარ დაგროვებას ფულადი სახით. უნდა ვიქონიოთ მხედველობაში, რომ რევოლიუციამ არამცთუ ერთბაშად შეამცირა თავისუფალი საშუალებების დაგროვება ჩვენს ქვეყანაში, არამც თუ შესცვალა მისი ფორმები (დაგროვების ნატურალური ფორმების გაძლიერება), არამედ ერთბაშად შესწყვიტა და შეზღუდა არა მშრომელი ჯგუფების დაგროვება და ამ რიგად რევოლიუციის წინადროსთან შედარებით გაადიდა ფართო მასების დაგროვების ხვედრითი წონა. ამ მიზეზების გამო ჩვენი სახელმწიფო კრედიტის პოლიტიკის წარმატება დამოკიდებულია მოსახლეობის ფართო ფენების კეთილდღეობაზე და არა მარტო ეკონომიურად ღონიერი ჯგუფების შეძლებაზე. რამდენადაც საშუალებების დაგროვებას ადგილი აქვს არა მარტო ქალაქისა და სოფლის ბურჟუაზიის წრეებში, არამედ ქალაქისა და სოფლის მშრომელებშიაც,—შეიძლება გადაჭრით ითქვას, რომ მთავარი პირობა ინდუსტრიალიზაციის სესხის 200 მილ. მან. რაოდენობით წარმატებით მოსათავსებლად უზრუნველყოფილია.

ჩატარებული ფასების დაკლების კამპანია, ზოგიერთი კომპეტენტური ავტორების გამოანგარიშებით, ანთავისუფლებს მოსახლეობის რეალური რესურსების ნაწილს 600 მილ. მან. რაოდენობით წელიწადში. ცხადია, ამ თანხის ერთი ნაწილი გადაინახება და ეს დაგროვილი ნაწილი შეიძლება გამოყენებულ იქნეს სახელმწიფო კრედიტის მიერ. მაგრამ ამით არ ამოიწურება ფასების დაკლების მნიშვნელობა. ფასების დაკლება ნიშნავს ფულის სყიდვითი უნარის ზრდას. ფასების დაკლების პოლიტიკამ და მისმა პრაქტიკულმა შედეგებმა ამ უკანასკნელი თვეების განმავლობაში ცხადად დაანახვა გლეხობას, რომ დაგროვება ნატურალურ ფორმებში (ხორბლისა და განსაკუთრებით სამრეწველო საქონლის სახით) სრულიადაც არაა საიმედო და ხელსაყრელი. პირიქით, ფასების დაკლებისა და ფულის სყიდვითი ძალის ზრდის პირობებში, ნატურალური დაგროვება საზარალოა, უკეთეს შემთხვევაში კი—არა საიმედო—ფულად ფორმაში დაგროვება უფრო ხელსაყრელია და ყოველ შემთხვევაში მის რეალობაში არა ნაკლებ შეიძლება იყოთ დარწმუნებული, ვიდრე ნატურალურ დაგროვებაში. ინდუსტრიალიზაციის სესხის ობლიგაციების შეძენა წარმოადგენს ფულადი დაგროვების ერთ-ერთ სახეს. ამიტომ უნდა ვაღიაროთ, რომ ფასების დაკლების პოლიტიკამ და მასთან დაკავშირებულმა ფულის სყიდვითი ძალის ზრდამ შექმნეს საუკეთესო ნიადაგი შინაური სესხების წარმატებით მოსათავსებლად.

სესხების მოსათავსებლად ზემოაღნიშნული ხელსაყრელი ეკონომიური მდგომარეობა დღემდე საკმაოდ არაა გამოყენებული სახელმწიფო კრედიტის მიერ. ჩვენი ფულის ბაზარი არ შეიძლება ჩაითვალოს გაჭედილად სახელმწიფო ფასიანი ქაღალდებით (სესხებით).

ამას პირველ ყოვლისა მოწმობს საბჭოთა კავშირის გრძელვადიანი სახელმწიფო სესხის სიძლიერე. ის მიმდინარე წლის 1 აგვისტოს უდრიდა 700 მილ. მან., რაც საბჭოთა კავშირის ეროვნული შემოსავლის უმნიშვნელო ნაწილს შეადგენს. ის გაცილებით უფრო ნაკლებია მეფის რუსეთის დავალიანებაზე და საბჭოთა კავშირის მთელ რიგ მეზობელ სახელმწიფოთა ეხლანდელ ვალზე, რომელთაც უფრო მცირე ეროვნული შემოსავალი აქვთ, ვიდრე საბჭ. კავშირს. რომ ჩვენი ფულის ბაზარი არ არის გამძღარი ფასიანი ქაღალდებით, ეს იქედანაც სჩანს, რომ კერძო ბაზარზე მოთავსებულ სესხების ობლიგაციებს არ უშვებენ ხელიდან მათი მფლობელები და ამ ობლიგაციებს მტკიცე საკურსო ფასები აქვს. ამ რიგად გამორკვეულად უნდა ჩაითვალოს, რომ ინდუსტრიალიზაციის სესხის მოსათავსებლად დამაკმაყოფილებელ პირობებთან ერთად ადგილი აქვს კიდევ ერთ ხელსაყრელ პირობას. ეს ის, რომ ბაზარი ჯერ არ არის დაფარული სხვა სესხებით.

მაგრამ სესხი სავსებით და სწრაფად მხოლოდ იმ შემთხვევაში მოთავსდება, თუ მისი მიზნების და შეძენის პირობებს დაწვრილებით და თავის დროზე გაიცნობენ ქალაქისა და სოფლის ფართო მასები.

რევოლიუციამდე სესხები არ სარგებლობდენ დიდი პოპულიარობით მუშებისა და გლეხების ფენებში, ისინი მათ თითქმის სრულიად არ იცნობდენ. ცარიზმის დროს მათი ხვედრითი წონა ქვეყნის შიგნით ფულის დაგროვებაში არ იყო დიდი და მათზედაც არ იყო დამყარებული სახელმწიფო კრედიტის პოლიტიკა. ინდუსტრიალიზაციის სესხს მშრომელები მხოლოდ მაშინ გაეცნობიან, კარგად, როცა სესხის გარშემო გაიშლება ფართო საგიტაციო კამპანია და მასში აქტიურ მონაწილეობას მიიღებენ პარტიული, პროფესიონალური და საბჭოთა ორგანიზაციები, როცა ჯეროვანი ყურადღებას დაუთმობს მას ცენტრალური და ადგილობრივი პრესა. აგიტაცია სესხის სასარგებლოდ ისე უნდა მოეწყოს, რომ არ უნდა დარჩეს არც ერთი ქარხანა, და არც ერთი სოფელი, სადაც არ იქნება გაკეთებული მოხსენება სესხის შესახებ. თვითეულმა მუშამ, თვითეულმა გლეხმა უნდა იცოდეს ინდუსტრიალიზაციის სესხის მნიშვნელობა,—ასეთია საგიტაციო კამპანიის ამოცანა. მოსახლეობის ფართო ფენების მონაგარი იქცევა სესხად მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ისინი გაცნობილი იქნებიან სესხის პირობებთან. საგიტაციო კამპანიამ უნდა განმარტოს ის სარგებლობა, რომელსაც ღებულობენ სახელმწიფო და სესხის მფლობელები. მან უნდა გამოიწვიოს მოსახლეობის მოთხოვნილება ინდუსტრიალიზაციის სესხზე და სესხის მიწოდება უნდა მიიყვანოს მოსახლეობის ფართო ფენებამდე.

ამასთანავე ერთად სესხის ობლიგაციების გაყიდვა უნდა მოეწყოს ყველა ადგილებში უკლებლივ. სესხების რეალიზაციის წინა კამპანიების გამოცდილება და ნაკლი მთლიანად უნდა იქნეს მიღებული მხედველობაში. ცენტრალურ საგლეხო გაზეთებში სავსეა სოფლებიდან მიღებული ცნობები სესხის ობლიგაციების შეძენის სიძნელის შესახებ. შემჩნეული ბიუროკრატიზმი და საქმისადმი ფორმალური დამოკიდებულება ობლიგაციების გამყიდველ დაწესებულებებში, განსაკუთრებით კი შემნახველ სალაროებში, აღმოფხვრილ უნდა იქნეს. ობლიგაციების გაყიდვის სწორი ორგანიზაცია უწინარეს ყოვლისა და უმთავრესად დამოკიდებულია საფინანსო ორგანოებზე. მათ უნდა შექმნან მოსახლეობასთან დაახლოვებული კონტრაგენტურის ფართო ქსელი სესხის რეალიზაციისათვის (შემნახველი სალაროები, საფოსტო დაწესებულებები, კოოპერატიული ორგანიზაციები და სხვ.) და ზედმიწევნით ადევნონ თვალყური მის მუშაობას, სანამ სავსებით არ იქნება გაყიდული ობლიგაციები. დაუშვებელია, რომ აპარატის მოუქნელობამ და ორგანიზაციულმა მოუწესრიგებლობამ „უმოძრაო საქონლად“ აქციონ სესხის ობლიგაცია. სესხის ობლიგაციების გაყიდვის ისეთი ორგანიზაცია, რომელიც სწრაფად და პირველ მოთხოვნილებისთანავე მიაწოდებს მოსახლეობას ობლიგაციას,—აუცილებელი პირობაა მისი წარმატებით გავრცელებისათვის.

სახალხო მეურნეობის პირობები ინდუსტრიალიზაციის სესხის მოსათავსებლად ხელსაყრელია. ფართო აგიტაციამ და სესხის ობლიგაციების გაყიდვის სწორმა ორგანიზაციამ უნდა უზრუნველყონ ამ პირობების გამოყენება სესხის სწრაფად და მთლიანად გავრცელებისათვის.

წინასწარი პირობები ინდუსტრიალიზაციის სესხის წარმატებისათვის უკვე არსებობენ. საჭიროა, რომ ფართო საბჭოთა საზოგადოებრიობამ და საფინანსო ორგანოებმა თავისი მუშაობით გაამართლონ ინდუსტრიალიზაციის სესხზე დამყარებული იმედები.

რ. ლ—ნი.

ადგილ. მრეწველობა და ინდუსტრიალიზაციის სესხი

როგორიც არ უნდა იყოს ის სექტორი, რომელიც თბილისის აღმასკომის ადგილობრივ მრეწველობას უჭირავს საბჭოთა კავშირის საერთო მრეწველობაში, ამ სექტორის განვითარება, ისე როგორც ყველა დანარჩენის განვითარება, დამოკიდებულია ჩვენს წინაშე მდგომი ინდუსტრიალიზაციის ძირითადი ამოცანების გადაწყვეტისაგან. საბჭოთა კავშირის გეგმიანი მრეწველობა—მთლიანია, და ყოველი მისი ცალკე ნაწილის წარმატება საერთო წარმატებას წარმოადგენს.

„ინდუსტრიალიზაციის სესხის“ სრული წარმატება,—რომლის დანიშნულებასაც შეადგენს გაგვიადვილოს გადასვლა უმაღლეს ტექნიკურ ნიადაგზე,—ჩვენს საერთო ამოცანას წარმოადგენს. არა მარტო ჩვენ, მრეწველობის მუშაკთ, არამედ საბჭოთა კავშირის ყოველ პატიოსან და შეგნებულ მოქალაქეს არ შეუძლია არ მიიღოს მონაწილეობა ამ საქმეში. რამდენადაც წარმატებით განვახორციელებთ ინდუსტრიალიზაციას, მით უფრო მეტად იქნება უზრუნველყოფილი მთელი საბჭოთა კავშირის მომავალი, მით უფრო გაუმჯობესდება ყოველი მოქალაქის ცხოვრების პირობები. თავდაცვის საკითხები, უმუშევრობის გადაწყვეტის საკითხები—მჭიდროდ არის დაკავშირებული საბჭოთა კავშირის ინდუსტრიალიზაციასთან, მისი მეურნეობის რეკონსტრუქციასთან.

კერძოთ, რაც შეეხება თბილისის აღმასკომის ადგილობრივი მრეწველობის განყოფილების მიერ გაერთიანებულ სექტორს, ჩვენ ვიცით, თუ რამდენად მომწიფდა მისი რეკონსტრუქციის საჭიროება. ჩვენი მეურნეობის ეს ნაწილი ჩვენ მივიღეთ ისეთ მდგომარეობაში, როცა იგი მოკლებული იყო თითქმის ყოველგვარ ტექნიკურ და ფინანსიურ ბაზას. უახლოესი საოპერაციო წლისათვის ჩვენ დიდი სამუშაოები გვაქვს დასახული თბილისის და მისი მაზრის მრეწველობის კაპიტალური მშენებლობის და რეკონსტრუქციის დარგში. ჩვენ უნდა განვახორციელოთ თბილისის აგურის ქარხნების რეკონსტრუქცია და მექანიზაცია, უნდა ავაშენოთ ქარხნები გელათის ქვის დასამუშავებლად, უნდა ავაგოთ ახალი ლუდის სახდელი ქარხანა თბილისში. ერბო-ყველის ქარხანა წალკაში, ხის დამმუშავებელი ფაბრიკა თბილისში, საუტალიზაციო ქარხანა ქალაქის სასაკლაოებთან, უნდა გავაფართოვოთ თბილისის ელექტრო-მექანიკური ქარხანა. ყოველივე ამ სამუშაოებისათვის საჭიროა 3 ნახ. მილიონი მან.

ყველა ამ სამუშაოთა შესრულება შეიძლება მხოლოდ მაშინ, თუ ჩვენი ეკონომიკა მტკიცე ნიადაგზე იქნება დაფუძნებული და ყოველი მშრომელი აქტიურ დახმარებას გაგვიწევს ამ საქმეში.

და ეს აქტიური ხელის შეწყობა სხვათა შორის უნდა გამოიხატოს „ინდუსტრიალიზაციის სესხზე“ ხელის მოწერაში.

საბჭოთა ყოველი მოქალაქის ზრუნვის საგანს უნდა შეადგენდეს ჩვენი სამრეწველო აღმშენებლობის გაძლიერება. ვინაიდან ამისაგან არის დამოკიდებული მისი მომავალი კეთილდღეობა.

ავატკოვი.

სესხის გატარების პრაქტიკული საკითხები

ჩვენი ფინანსიური სესხები

საბჭოთა კავშირი კაპიტალისტური გარემოცვის პირობებში ცხოვრობს და ვითარდება.

ამიტომ, უპირველეს ყოვლისა, უნდა განვამტკიცოთ და გავამაგროთ ჩვენი სამეურნეო ფრონტი. მუშათა და გლეხთა მთელი ძალ-ღონე მიმართული უნდა იყოს ჩვენი ქვეყნის ინდუსტრიალიზაციისაკენ — მხოლოდ ამ შემთხვევაში განვითარდება ჩვენი ქვეყნის საწარმოო ძალები, რაიც უზრუნველჰყოფს საბჭოთა კავშირის მშრომელთა ცხოვრების პირობების გაუმჯობესებას.

სახელმწიფო სესხის გამოშვება აძლიერებს ინდუსტრიალიზაციის ფინანსიურ შესაძლებლობას. სესხის განაწილება მონაზოგის ხარჯზე ხდება. **სესხის ყიდვა სასარგებლოა და ამაგრებს არა მარტო სახელმწიფო ფინანსებს, იგი ამაგრებს აგრეთვე იმ მუშის, გლეხის, მოსამსახურის ფინანსებს, რომელიც ყიდულობს ამ ობლიგაციას.**

ჩვენ ამჟამად გამოუშვით მესამე საგლეხო სესხი — მისი განაწილება მხოლოდ და მხოლოდ სოფლად სწარმოებს.

ამასთან ერთად, ჩვენ გამოუშვით 1927 წლის 12 პროცენტიანი სესხი. ეს არ არის მომგებიანი სესხი — მისი უმთავრესი სარგებლიანობა მდგომარეობს საპროცენტო შემოსავალში, რომელიც მიღებულ იქნება კუპონებით. ეს სესხი განაწილდება დაწესებულებათა, წარმოებათა (იურიდიული პირნი) და საშუალო და დიდი შეძლების პირთა შორის. დაბოლოს, მცირე შეძლების პირთათვის, მუშათა და მოსამსახურეთა ძირითადი მასისათვის ეხლა უშვებთ ახალ 200 მილიონიან სესხს, რომელიც თავის ტიპით 1927 წლის 10 პროცენტიან სესხს უახლოვდება.

ამ სესხისაგან მიღებული თანხა სავსებით მოხმარდება ჩვენი კაპიტალური მშენებლობის განვითარებას.

სესხის სტრუქტურა და მისი რეალიზაციის პირობები ისეთია, რომ იგი სავსებით ხელმისაწვდომია ფართო მასებისათვის.

საბჭოთა კავშირის ყველა მოქალაქენი შეერთებული ძალ-ღონით დაეხმარებიან ჩვენი ფინანსიური ფრონტის გაძლიერებას და ხელს შეუწყობენ ჩვენი სამეურნეო მშენებლობის და ჩვენი ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის საქმეს.

ინდუსტრიალიზაციის სესხი და ფულის ბაზარი

ინდუსტრიალიზაციის სესხი, რომელსაც საბჭოთა კავშირის მთავრობა გამოუშვებს ამ მოკლე ხანში, ჩვენი სახელმწიფო კრედიტის ერთ-ერთი უდიდესი ოპერაცია იქნება; ამასთანავე ეს სესხი იმით განირჩევა წინედ გამოცემული სესხებისაგან, რომ მას აქვს გარკვეული მიზნობრივი დანიშნულება.

ახალი სამრეწველო მშენებლობის განვითარების ტემპის გაძლიერება სახალხო შემოსავლის ზრდასთან დაკავშირებით აუცილებლად მოითხოვს დიდი კაპიტალების დაბანდებას.

თანხები, რომელნიც ამ მიზნისათვის გროვდება საამორტიზაციო ანარიცხების, ბიუჯეტით გადადებული თანხების, და ბანკების მიერ მიცემული გრძელვადიანი კრედიტების სახით, ყოველწლობით იზრდება. კაპიტალური ხარჯების გადიდებაც მშენებლობაში სწარმოებს თვით მოსახლეობის მიერ დაგროვილი თანხების საშუალებით. ამ მიზნისათვის სესხისა და შემნახველი სალაროების საშუალებით გროვდება როგორც ქალაქის, ისე სოფლის მოსახლეობის თავისუფალი და დროებით თავისუფალი თანხები.

მოსახლეობისათვის მეტად მიზანშეწონილია, რომ ამ თავისუფალი თანხებით იყიდოს ახალი სახელმწიფო სესხი, ვინაიდან ეს იძლევა არა მარტო სარგებლობას პროცენტებისა და მოგების სახით, არამედ ქმნის პირობებს სახალხო მეურნეობის შემდგომი განვითარებისათვის.

მოსახლეობის ფართო მასების ჩაბმა ინდუსტრიალიზაციის სესხის განაწილების საქმეში სავსებით უზრუნველჰყოფს ამ ახალი სესხის წარმატებით რეალიზაციას, ვინაიდან ეს მასები უშუალოდ არიან დაინტერესებული საბჭოთა კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარებაში.

სესხის მოგების ტირაჟები

ინდუსტრიალიზაციის სესხი განსაკუთრებით საინტერესოა როგორც მომგებიანი ფასიანი ქაღალდი. მოგებებისათვის გადადებული თანხა ყოველწლიურად შეადგენს **12.000.000 მან.** და ამგვარად სახელობითი კაპიტალის 6 პროცენტს უდრის.. ეს პროცენტი გაცილებით მეტია, ვიდრე დანარჩენი შინაური სესხების პროცენტი, ასე მაგალითად: მეორე საგლეხო სესხის პროცენტი უდრის 5 პროცენტს, 1927 წლის 10 პროცენტიანი სესხი—4 პროც., 1927 წლის სესხი—1,6 პროცენტს და პირველი და მეორე სახელმწიფო მომგებიანი სესხი—1,5 პროცენტს.

ინდუსტრიალიზაციის სესხს ათი წლის განმავლობაში სულ ექნება 38 მოგების ტირაჟი.

ყოველ პირველ 24 ტირაჟში გათამაშებულ იქნება 23.300 მოგება 3.001.500 მან. რაოდენობით. 25—28 ტირაჟში მოგებათა რაოდენობა და მათი საერთო ჯამი მცირდება იმის გამო, რომ სესხის სახელობითი თანხის 20 პროცენტი იფარება. იგივეა გათვალისწინებული სესხის პირობებით 29—32 და 33—38 ტირაჟებისათვის. მაგრამ ყოველ ტირაჟში უცვლელი რჩება ის შეფარდება, რომელიც არსებობს მოგებათა საერთო თანხისა და სესხის ობლიგაციების სახელობითი კაპიტალს შორის. ეს შეფარდება შეადგენს 1,5 პროცენტს და უდრის იმ პირობითი საშუალო შემოსავლის 6 პროცენტს, რომელსაც ობლიგაციის მყიდველი იღებს ყოველწლიურად.

შემოსავალი სესხისაგან

ინდუსტრიალიზაციის სესხის შემოსავლიანობა შესდგება მოგებათა კუპონების პროცენტებისა და კურსის განსხვავებისაგან.

სესხის 25 მანეთიანი ობლიგაციები გაიყიდება 24 მანეთად. ასე, რომ ობლიგაციის მყიდველი მოგების ტირაჟის, ან განაღდების ტირაჟის დროს ობლიგაციაში 24 მან. მაგივრად იღებს 25 მან., ე. ი. 1 მანეთს იღებს კურსის განსხვავებაში.

პროცენტები კუპონებით (6 პროცენ. წელიწადში) შეიძლება მიღებულ იქნას წელიწადში ორჯერ—1მარტში და 1 ოქტომბერში, დაწყებული 1928 წლის 1 მარტიდან. ყოველი ნახევარი წლის კუპონით 25 მან. ობილაგციაში.

შეიძლება მიღებულ იქნას 75 კაპ., ხოლო ობლიგაციის 5 მან. ნაწილში 15 კაპ.

შემოსავალი მოგებათაგან შეადგენს 6 პროცენტს წელიწადში. ამგვარად, სესხის შემოსავალი (კურსის განსხვავების გარდა) შეადგენს 12 მან. ნომინალის ყოველ 100 მანეთზე ან დახარჯული კაპიტალის ყოველ 96 მანეთზე, რაიც წლიურად 12,5 პროცენტს შეადგენს.

სესხის რეალიზაცია

სესხის რეალიზაცია მთელ კავშირში იწყება 1927 წლის ოქტომბრიდან. ობლიგაციების გაყიდვა მოხდება ასეთ ფასებში: 25 მან. ობლიგაცია გაიყიდება 24 მანეთად, ხოლო ობლიგაციის მეხუთედი ნაწილი—5 მანეთიანი გაიყიდება 4 მან. და 80 კაპ. ობლიგაციის ნაწილი გაიყიდება როგორც ნაღდ ფულზე, ისე ნისიად ინდივიდუალური და კოლექტიური ხელისმოწერის წესით.

მოგების შანსები

მოგების შანსები ინდუსტრიალიზაციის სესხში ძალიან დიდია, ვინაიდან მოგებათა რაოდენობა ბევრია. ობლიგაციების საერთო რაოდენობა პირველტირაჟის დროს შეადგენს 8.000.000. მოგებათა საერთო რაოდენობა ყოველ პირველ 24 ტირაჟში შეადგენს 23.300. ამგვარად, ერთი მოგება პირველ ტირაჟში საშუალოდ მოდის 343,3 ობლიგაციაზე.

ვინაიდან ობლიგაცია, რომელსაც მოგება შეხვდება, სხვა ტირაჟებში აღარ იღებს მონაწილეობას, ხოლო მოგებათა რაოდენობა უცვლელი რჩება 6 წლის განმავლობაში, ამიტომ მოგების შანსი ყოველ ტირაჟის შემდეგ იზრდება. მოგების შანსი ინდუსტრიალიზაციის სესხში სამჯერ მეტია, ვიდრე 1927 წლის 10 პროცენტიან სესხში.

მოგებათა პირველი ტირაჟი

ინდუსტრიალიზაციის სესხის მოგებათა პირველი ტირაჟი მოხდება ა.-წ. 28 დეკემბრიდან, მოსკოვში. ამ ტირაჟში გათამაშებულ იქნება 23.300 მოგება 3.001.500 მან. რაოდენობით, მათ შორის: პირველი მოგება—**25.000 მან., 5** მოგება—**10.000 მან., 10 მოგება—5.000** მან., 84 მოგება—**1.000 მან., 3.150 მო**გება—250 მან., 20.050 **მოგება**—100 მან.

ობლიგაციის მყიდველი მოგების გარდა იღებს ობლიგაციის სახელობით ღირებულებას და მის პროცენტებს.

როგორ იწარმოებს სესხის რეალიზაცია

ხელის მოწერის ვადა

საბჭოთა კავშირის ფინანსთა სახალხო კომისარიატმა შეიმუშავა ინდუსტრიალიზაციის სესხის გავრცელების პირობები. ეს პირობები უადვილებენ სესხში მონაწილეობას, როგორც დაწესებულება-წარმოებებს, ისე მუშა-მოსამსახურეებს და გლეხკაცობას.

პირველ ყოვლისა, საჭიროა თვითეულ საბჭოთა მოქალაქემ იცოდეს, რომ ინდუსტრიალიზაციის **სესხის რეალიზაცია საბჭოთა კავშირის მთელ ტერიტორიაზე დაიწყება მიმდინარე წლის 1 ოქტომბრიდან და გაგრძელდება 15 ოქტომბრამდე, ე. ი. ერთნახევარ თვეს.**

ეს იმას არ ნიშნავს, რომ აღნიშნულ ვადამდე სესხზე ხელის მოწერა არ შეიძლება. ჩვენ გვაქვს ცნობები, რომ ინდუსტრიალიზაციის სესხზე ბევრ ქალაქებში და სამრეწველო პუნქტებში უკვე დაიწყო წინასწარი ხელმოწერა და წარმატებით მიმდინარეობს ის. ასე მაგალითად, დიდი შედეგები გამოიღო აღნიშნულ სესხზე წინასწარი ხელისმოწერამ მოსკოვში, ლენინგრადში, ხარკოვში, ოდესაში და დონის ნახშირის მაღაროების ზოგიერთ რაიონებში.

რა პირობებში გაიყიდება ობლიგაციები

აღნიშნულ ერთ ნახევარი თვის განმავლობაში, ე. ი. 1 ოქტომბრიდან 15 ნოემბრამდე ობლიგაციის გაყიდვა შემდეგ პირობებით იწარმოებს. **25 მანეთიანი ობლიგაცია გაიყიდება 24 მანეთად.** ამდენივე პროცენტის დაკლებით გაიყიდება ობლიგაციის ერთი მეხუთედი ნაწილი, ე. ი. **5 მანეთიანი კუპონი ეღირება 4 მან. 80 კაპ.** თუ ობლიგაციის მყიდველმა ერთბაშად გადაიხადა მის მიერ შეძენილ ობლიგაციის მთელი ღირებულება, მას უკვე აღნიშნულ შეღავათის გარდა ეძლევა დამატებითი შეღავათები. ასე მაგალითად, 25 მანეთიან ობლიგაციაში გადაიხდის 23 მან. და 75 კაპეიკს, ობლიგაციის ერთ მეხუთედში კი, ე. ი. 5 მანეთად ღირებულ კუპონში—4 მანეთს და 75 კაპ.

იმისათვის, რომ ფართე მშრომელ მოსახლეობას შეეძლოს აქტიური მონაწილეობა მიიღოს სესხის განაღდებაში, დაწესებულია აგრეთვე ობლიგაციის ღირებულების სხვადასხვა ვადებში გადახდა. თუ ობლიგაციას შეიძენს ერთი პირი და საშუალება არ ექნება ერთბაშად და მთლიანად გადაიხადოს ობლიგაციის ღირებულება, მას ეძლევა ოთხი თვის ვადა, რომლის განმავლობაში ის თანდათან გადაიხდის ამ თანხას. კოლექტიურ ხელის მომწერლებს კი ასეთივე ვადათ ეძლევათ 7 თვე.

კოლექტიურად ხელის მოწერა უნდა მოეწყოს მუშა-მოსამსახურეებსა, თავისუფალ პროფესიის პირთა და შინამრეწველებს შორის. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ობლიგაციის ღირებულების ნაწილ-ნაწილად გადახდა დასაშვებია არა მარტო მაშინ, როცა ხელის მოწერა სწარმოებს მთელ ობლიგაციაზე (25 მანეთი). არამედ მაშინაც, როცა ხელის მომწერელს სურს შეიძინოს მთელი ობლიგაციის ერთი ან რამდინიმე მეხუთედი.

[illegible]უალური მყიდველები

ობლიგაციის ინდივიდუალურ მყიდველებს, რომელთაც სურთ ფულის ნაწილ-ნაწილად გადახდა, იმისათვის, რომ შეიძინონ 25 მანეთიანი ობლიგაცია, შეაქვთ 15 ნოემბრამდე 6 მანეთი. ვისაც ასეთივე წესით სურს ობლიგაციის ერთი მეხუთედის შეძენა, შეაქვს ამავე ვადაში (15 ნოემბრამდე, 1927 წ.) 1 მანეთი და 20 კაპ. ობლიგაციის დანარჩენი ღირებულება ხელის მომწერელს შეაქვს თანასწორი რაოდენობით ექვს-ექვსი მანეთი 25 მანეთიან ობლიგაციაში და 1 მან. და 20 კაპ. ობლიგაციის ერთ მეხუთედ ნაწილში. ეს შეტანა უნდა ხდებოდეს პირველ შეტანის შემდეგ ასეთ ვადებში: მეორე შეტანა—არა უგვიანეს 1927 წლის 5 დეკემბრისა; მესამე შეტანა არა უგვიანეს 1927 წლის 20 დეკემბრისა, 4 შეტანა—არა უგვიანეს 1928 წლის 31 იანვრისა.

ასეთი შეღავათებით დაწესებული ინდივიდუალურ ხელისმომწერლებისათვის.

კოლექტიური მყიდველები

თუ კოლექტიურად ხელის მომწერლები მოისურვებენ ობლიგაციის ღირებულების ნაწილ-ნაწილად გადახდას. მათ შეუძლიან ისარგებლონ შემდეგი შეღავათებით. ობლიგაციის ღირებულების პირველი ნაწილი უნდა შემოტანილ იქნას 1927 წ. 15 ნოემბრამდე. თუ კოლექტივი იძენს, 25 მანეთიან ობლიგაციას, პირველი ნაწილი უნდა შეტანილ იქნას 4 მანეთის რაოდენობით. თუ იგივე კოლექტივი იძენს ობლიგაციის ერთ მეხუთედს. პირველ რიგში მას შეაქვს 80 კაპეიკი. დანარჩენი თანხა უნდა შეტანილ იქნეს შემდეგ ვადებში: მეორე შეტანა არა უგვიანეს 1927 წლის 20 დეკემბრისა, მესამე შეტანა—არა უგვიანეს 1928 წლის 31 იანვრისა; მეოთხე შეტანა—არა უგვიანეს 1928 წ. 29 თებერვლისა; მეხუთე შეტანა არა უგვიანეს 31 მარტისა და მეექვსე შეტანა—არა უგვიანეს 30 აპრილისა.

კოლექტიურ ხელის მოწერის დროს არ ხდება პროცენტების დარიცხვა შეძენილ ობლიგაციაზე, როგორც ამას ადგილი აქვს ინდივიდუალურ ხელის მოწერის დროს.

ვინ მიიღებს მონაწილეობას პირველ ტირაჟში

ობლიგაციის ღირებულების პირველ ნაწილის შეტანის შემდეგ, საპროცენტო შემოსავალი და მოგება, რომელიც შეიძლება შეხვდეს ობლიგაციას, მყიდველის საკუთრებას შეადგენს.

ინდივიდუალური ხელის მომწერლები, რომელთაც ნაწილ-ნაწილად შეაქვთ ობლიგაციის ღირებულება, - მხოლოდ იმ შემთხვევაში შეინარჩუნებენ უფლებას ობლიგაციაზე მოგების პირველ ტირაჟამდე (28 დეკემბერი, 1927 წ.), თუ ისინი შეიტანებენ თავის ვალის მესამე გადასახადსაც, რომელიც, როგორც უკვე ზევით ვსთქვით, უნდა შეტანილ იქნას არა უგვიანეს 1927 წლის 20 დეკემბრისა. კოლექტიურად ხელის მომწერლები კი შეინარჩუნებენ უფლებას ობლიგაციაზე მოგების პირველ ტირაჟამდე,—თუ შეიტანებენ მეორე გადასახადსაც, რომელიც უნდა შეტანილ იქნას, არა უგვიანეს 1927 წლის 20 დეკემბრისა. ობლიგაციის მიღება, ან იმ პროცენტების და მოგების მიღება, რომელიც შეიძლება შეხვდეს ობლიგაციას, მოხდება მხოლოდ მას შემდეგ, რაც გადახდილი იქნება ობლიგაციის სრული ღირებულება. იმ შემთხვევაში, თუ ობლიგაციის მყიდველი, რომელიც ნაწილ-ნაწილად იხდის ფულს, დაწესებულ ვადებში და განსაზღვრულ რაოდენობით არ შეიტანს ფულს ის კარგავს უფლებას ობლიგაციაზე. შეტანილი ფული კი მას უკანვე უბრუნდება შემდეგი წესით: ინდივიდუალურად ხელის მომწერი თავის ფულს მიიღებს 1 თებერვლიდან 30 სექტემბრამდე—ხოლო კოლექტიურად ხელის მომწერლები კი მიიღებენ 1 მაისიდან 30 სექტემბრამდე.

ობლიგაციის გაყიდვა სოფლად

ობლიგაციის გაყიდვა სოფლად სწარმოებს იმავე პირობებში, როგორც ეს დაწესებულია ქალაქის ინდივიდუალურ ხელის მომწერლებისათვის, ე. ი. ობლიგაციები სოფლად გაიყიდება შემდეგი წესით: 24 მანეთად გაიყიდება 25 მანეთიანი ობლიგაცია და 4 მან. 80 კაპ. ობლიგაციის ერთი მეხუთედი ნაწილი.

ობლიგაციის მთელი ღირებულების ერთდროულად გადახდის დროს სოფლის მყიდველს ეძლევა აგრეთვე დამატებითი შეღავათი: 25 მანეთიან ობლიგაციაში ის იხდის 23 მან. 75 კ., ხოლო ობლიგაციის ერთ მეხუთედში 4 მანეთს და 75 კ.

გარდა ამისა, ობლიგაციის მყიდველს სოფლად ეძლევა დამატებითი შეღავათი. თუ სოფლელი მყიდველი ობლიგაციის ფასს ნაწილ-ნაწილად იხდის, ობლიგაციის ნომერი იწერება მის სახელზე გადასახადის პირველ შეტანის თანავე.

სად შეიძლება ობლიგაციის შეძენა

ინდუსტრიალიზაციის სესხის ობლიგაციებს ქალაქებში გაასაღებს ფინანსთა სახალხო კომისარიატის ყველა სალაროები, ცენტრალური ბანკები და მათი განყოფილებანი, ადგილობრივი საკრედიტო დაწესებულებანი (სას.-სამ. კრედიტის საზოგადოებანი, ქალაქის და კომუნალური ბანკი), შრომის შემნახველი სალაროები და ფოსტა-ტელეგრაფის დაწესებულებანი. ამ დაწესებულებათა გარდა საფინანსო ორგანოებს შეუძლიათ დაავალონ ობლიგაციების გაყიდვა სხვა დაწესებულებებსაც, როგორც კონტრ-აგენტებს.

სოფლად ობლიგაციების გაყიდვას აწარმოებს ფოსტა-ტელეგრაფის კანტორები და შემნახველი სალაროები.

საკავშირო მთავრობის დადგე[illegible]

ინდუსტრიალიზაციის სესხის შ[illegible]

კაპიტალურ აღმშენებლობაში დაბანდებული თანხების გადიდების მიზნით ს. ს. რ. კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

1. გამოშვებულ იქნეს სახელმწიფო შინაური სესხი ამ დადგენილებაში აღნიშნულ საფუძველზე.

2. ეს სესხი ს. ს. რ. კავშირის სახელმწიფო სესხთა წიგნში შეტანილ უნდა იქნეს ასეთი სახელწოდებით: „ს. ს. რ. კავშირის სახალხო მეურნეობის ინდუსტრიალიზაციის შინაური ექვს პროცენტიანი მომგებიანი სესხი“.

3. სესხის რეალიზაციისაგან მიღებული თანხები უნდა მოხმადრეს სსრ. კავშირის სახალხო მეურნეობის ინდუსტრიალიზაციას.

4. სესხი გამოშვებულ იქნას 200 მილიონი მან. რაოდენობით, 25 მანეთიანი ობლიგაციების სახით, რომელნიც დანაწილებულ იქნება ას ხამოც ათას სერიად, ხოლო ყოველი სერია 50 ნომრად. სსრ. კავშირის ფინანსთა სახალხო კომისარიატს ეძლევა უფლება სერიათა ამ რაოდენობიდან ოცი ათასი სერია—ოცდა ხუთი მილიონი მანეთის რაოდენობით გამოუშვას ფინანსების მისაწოდებლად მდინარე დნეპრზე ჰიდრო სადგურის (დნეპროსტროი) აშენებისათვის.

5. სესხის ობლიგაციების ნაწილი გამოშვებულ იქნას ყოველი ობლიგაციების ხუთ სხვადასხვა ნაწილად დაყოფით, რომელთა ნომინალური ღირებულება უნდა უდრიდეს 5 მანეთს. ამ ობლიგაციების ცალკე ნაწილები დანომრილი იქნება ერთნაირი ნომრებით, დამოუკიდებლად იქნება გაშვებული ბრუნვაში და იძლევა ამ ობლიგაციის მოგების ერთი მეხუთედი ნაწილის და საპროცენტო შემოსავლის ერთი მეხუთედი ნაწილის მიღების უფლებას.

6. ობლიგაციის გამოშვებითი ფასად დანიშნულ იქნას ოცდა ოთხი მანეთი. სესხის რეალიზაციის უკანასკნელ ვადებს, რეალიზაციის წესებს და შეღავათიან პირობებს აწესებს სსრ. კავშირის ფინანსთა სახალხო კომისარიატი.

7. სესხი გამოშვებულია ათი წლის ვადით, 1927 წლის 1 — ოქტომბრიდან 1937 წლის 1-ოქტომბრამდე.

8. სესხის ობლიგაციებზე დაერიცხება პროცენტები ექვსი პროცენტის რაოდენობით წლიურად. პროცენტების მიცემა სწარმოებს კუპონებით, ყოველი ექვსი თვის განმავლობაში, 1აპრილს და 1 ოქტომბერს, დაწყებული 1928 წ. 1 აპრილიდან.

9. მე-7 მუხლში აღნიშნული ვადის განმავლობაში სწარმოებს მოგებათა 38 ტირაჟი: 1927 წელში ერთი ტირაჟი—28 დეკემბერს, 1928, 1929, 1930, 1931, 1932, 1933, 1934 და 1935 წლებში კი ოთხ-ოთხი ტირაჟი წელიწადში — ყოველი წლის 20 თებერვალს, 20 მაისს, 20 აგვისტოს და 20 ნოემბერს; 1936 წელში სამი ტირაჟი 20 თებერვალს, 20 მაისს და 20 აგვისტოს და 1937 წელში ორი ტირაჟი 20 თებერვალს და 20 აგვისტოს.

10. მოგებათა რაოდენობა და თანხა ტირაჟების მიხედვით ნაწილდება ამგვარად:

1, 2, 3, 4, 5, 6, 7, 8, 9, 10, 11, 12, 13, 14, 15, 16, 17, 18, 19, 20, 21, 22, 23, 24 ტირაჟში გათამაშებულ იქნება.

(ყოველ ტირაჟში):

ყოველი მოგების რაოდ. მანეთობით	მოგებათა რიცხვი	თანხა
25.000	1	25.000
10.000	5	50.000
5.000	10	50.000
1.000	84	84.000
250	3.150	787.500
100	20.050	2.005.000
	23.300	3.001.500

25, 26, 27 და 28 ტირაჟებში გათამაშებულ იქნება (ყოველ ტირაჟში):

ყოველი მოგების რაოდ. მანეთობით	მოგებათა რიცხვი	თანხა
25.000	1	25.000
10.000	5	50.000
5.000	10	50.000
1.000	84	84.000
250	2.450	612.500
100	15.800	1.580.000
	18.350	2.401.500

29, 30, 31 და 32 [illegible]ბულ იქნება (ყოველ ტი[illegible]

ყოველი მოგების რაოდ. მანეთობით	[illegible]	[illegible]
25.000	[illegible]	[illegible]
10.000	[illegible]	[illegible]
5.000	[illegible]	[illegible]
1.000	[illegible]	[illegible]
250	[illegible]	[illegible]
[illegible]	[illegible]	[illegible]

33, 34, 35, 36, 37 და [illegible] თამაშებულ იქნება (ყოვე[illegible]

ყოველი მოგების რაოდ. მანეთობით	[illegible]	[illegible]
25.000	[illegible]	[illegible]
10.000	[illegible]	[illegible]
5.000	[illegible]	[illegible]
1.000	[illegible]	[illegible]
250	[illegible]	[illegible]
100	[illegible]	[illegible]

11. ობლიგაცია, რომელსაც მ[illegible]ბა, დაიფარება და გამორიცხება მ[illegible]დგომ ტირაჟებისაგან, ხოლო პრ[illegible] რიცხვა მასზე სწყდება ტირაჟის [illegible] 9). ამ ობლიგაციის პატრონს მოგ[illegible] (მუხ. 10) ეძლევა ობლიგაციის ნ[illegible]რებულება და პროცენტების მ[illegible]ნობა ტირაჟის დღისათვის.

12. მოგებათა ტირაჟის წეს[illegible] ს. ს. რ. კავშირის ფინანსთა სახალ[illegible]ტი.

13. გარდა იმისა, რომ სესხი და[illegible] ობლიგაციების ტირაჟში გასულ[illegible] მოგება შეხვდა (მუხ. 11), სესხ[illegible]რეთვე ხუთი დაფარვის ტ[illegible] დაფარვის ტირაჟი სწარმოებ[illegible]თხელ დაწყებული 1933 წლ[illegible]შირის ფინანსთა სახალხო კ[illegible] დაწესებულ ვადებში, არა უ[illegible] წლის 1-ოქტომბრისა.

დაფარვის ტირაჟში გას[illegible]ტრონს მისი ნომინალური [illegible]ვა იმ წლის 1 ოქტომბრიდან, [illegible] მოხდა დაფარვის ტირაჟი, [illegible] რომელიც გავიდა დაფარვის [illegible] წილეობას აღარ იღებს მოგ[illegible]რაჟებში.

დაფარვის ტირაჟების წეს[illegible] რ. კავშირის ფინანსთა სახალ[illegible]

14. დაფარვის ტირაჟში გა[illegible]ბის პროცენტების დარიცხვა [illegible] 1 ოქტომბრიდან, რომელ წელს [illegible]ფარვის სათანადო ტირაჟი.

15. სესხის ობლიგაციები, შე[illegible]გან, მოგებანი და ობლიგაციების [illegible]ვის ოპერაციები განთავისუფლებ[illegible] ყოველგვარ საერთო-სახელმწიფო[illegible] ბრივ გადასახადებისაგან.

16. სესხის ობლიგაციები თავისუფლ[illegible]ძლება იქნას გაყიდული და დაგირავებ[illegible]

17. სესხის ობლიგაციები მიიღება ბე[illegible]მწიფო იჯარებისა და მიწოდების დრო[illegible]რეთვე ნაწილ-ნაწილად გადასახადი[illegible]სა და ხაზაუო გადასახად[illegible]ფად; ობლიგაციები მიიღება ს. ს[illegible] ფინანსთა სახალხო კომისარიატ[illegible]ბული კურსით.

18. სახელმწიფოს ქონებათა, [illegible] კომუნალური ქონებათა (მიწის [illegible] წველო დაწესებულებათა და ს[illegible]რებს უფლება ეძლევა სესხის ობ[illegible]ტანონ საიჯარო ხელშეკრულება[illegible] საყოფად, იმ კურსით, რომელიც იქნება ს. ს. რ. კავშირის ფინანს[illegible] კომისარიატის მიერ.

19. ტირაჟში გასული ობლიგაცი[illegible]რი ღირებულების, (მუხ. 11, 13), გაზეთი (მუხ. 10) და აგრეთვე საპროცენ[illegible]ლის მიღებისათვის დაწესებულია [illegible] და დღიდან დაფარვის და მოგებაეებს და ხოლო განვლილი ვადის კუპონ[illegible]დებლად—8 წელი, დღიდან კუპონ[illegible] ვადის დადგომისა. ამ მუხლში აღნი[illegible]დის გასვლის შემდეგ სესხის ობლიგ[illegible] პატრონები ჰკარგავენ კუთვნილი თანხის[illegible]ბის უფლებას.

ს. ს. რ. კავშირის ცენტრალური აღმას[illegible]ბელი კომიტეტის თავმჯდომარე მ. კალინინ[illegible]

ს. ს. რ. კავშირის სახალხო კომისართა საბ[illegible]ჭოს თავმჯდომარის მოადგილე ი. რუძუტაკი.

ს. ს. რ. კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი ა. ენუქიძე.

მოსკოვი, კრემლი. 24 აგვისტო 1927 წელ[illegible]

ობლიგაციის შეძენის პირობები

ინდუსტრიალიზაციის სესხი გამოშვებულია 10 წლის ვადით — 1927 წლის 1 ოქტომბრიდან 1937 წლის 1 ოქტომბრამდე. ობლიგაციის შემძენთ ეძლევათ ყოველწლიური 6 პროცენტი სარგებელი. პროცენტების მიღება ხდება თვითეულ ექვს თვეში ერთხელ.

გარდა ამისა, ათი წლის განმავლობაში 38-ჯერ მოხდება სესხის გათამაშება მოგებაზე. 1927 წ. იქნება მოგების გათამაშების პირველი ტირაჟი, 1928 წლიდან 1935 წლამდე კი ოთხ-ოთხი ტირაჟი ყოველწლიურად, 1936 წელს 3 ტირაჟი და 1937 წელს 2 ტირაჟი.

პირველ 24 ტირაჟში დაწესებულია 23.300 მოგება, რომელთა შორის ერთია 25 ათას მანეთიანი მოგება; 5—ათიათას მანეთიანი მოგება, 10—ხუთიათას მანეთიანი მოგება; 84—1ათას მანეთიანი მოგება; 3.150—250 მანეთიანი მოგება და 20.050—100 მანეთიანი მოგება.

მე-25, 26, 27, 28—ტირაჟში დაწესებულია 18.350 მოგება.; მათ შორის [illegible]თი მოგებაა 25 ათას მანეთიანი; 5 [illegible]გება ათიათას მანეთიანი; ათი მოგ[illegible] ხუთიათას მანეთიანი; 84 მოგება—[illegible] მანეთიანი; 2.450 მოგება—250 მ[illegible]ნი და 15.800 მოგება 100 მანეთიანი.

მე-29, 30, 31 და 32 ტირაჟში დაწ[illegible]სებულია 13.250 მოგება.

მე-33, 34, 35, 36, 37 და 38 ტირაჟში კი—8.200 მოგება.

თვითონ ობლიგაცია ან მისი შემოსავალი, ობლიგაციის მოგება ან გა[illegible]ბანი ობლიგაციების საშუალებებით [illegible]ვისუფალია ყოველგვარ გადასახად[illegible]გან, საერთო სახელმწიფოებრივი [illegible] ადგილობრივი იქნება ეს გადასახ[illegible] სესხის ობლიგაციების გაყიდვა და [illegible] წინდრება თავისუფლად შეიძლება. [illegible]ლიგაციებს ღებულობს სახელმწიფ[illegible] როგორც ბეს, ყოველგვარ იჯარის დამზადების ხელშეკრულების დად[illegible] დროს.

მზადება სესხის განაღდებისათვის თბილისში

საუბარში საბჭოთა კავშირის სახელმწიფო ბანკის თბილისის განყოფილების მმართველის მოადგილემ ამხ. კარმანოვმა ინდუსტრიალიზაციის სესხის რეალიზაციის შესახებ განაცხადა შემდეგი: ამ რამდენიმე დღის წინათ ამიერკავკასიის ფინანსთა სახ. კომისარიატში შესდგა ყველა დაინტერესებულ უწყებათა თათბირი, რომელზედაც განხილულ იქნა ინდუსტრიალიზაციის სესხი რეალიზაციასთან დაკავშირებული საკითხები. ამავე თათბირზე გამომუშავებულ იქნა რეალიზაციის გეგმა.

თათბირი მივიდა იმ დასკვნამდე, რომ შემოდგომა ხელსაყრელი დროა სესხის რეალიზაციისათვის, ვინაიდან დამთავრებულია საზაფხულო არდადეგები, მუშა-მოსამსახურეთა ბიუჯეტი მოგვარებულია და ამ უკანასკნელებს აქვთ შესაძლებლობა შეიძინონ სესხის ობლიგაციები. ამასთანავე, განაღდებულია ყველა ძველი სესხები.

ბანკის თბილისის განყოფილება იწყებს სესხის ირგვლივ კამპანიის ჩატარებას 23 სექტემბრიდან. გამოყოფილია ბანკის თანამშრომე[illegible] მთელი რიგი, რომელნიც ჩაატარებენ მოხსე[illegible]ბებს სესხის მნიშვნელობაზე 156 ადგილკომში. პირველი მოხსენება დანიშნულია 28 სექტემბერს შოფერთა გაერთიანებულ კრებაზე, სადაც იწარმოებს ხელის მოწერა ობლიგაციებზე. ბანკი კამპანიას ატარებს პროფკავშირებთან მჭიდრო კავშირში.

ინდუსტრიალიზაციის სესხის ობლიგაციების შეძენა ხელსაყრელია მუშა-მოსამსახურეთათვის, რადგან ამ სესხს აქვს მრავალი უპირატესობა სხვა სესხებთან. ობლიგაციები შეიძლება განაღდებული იქნეს ყოველ დროს ბანკების მიერ, თუ კი მათი მქონე პირი მოისურვებს ამას. ბანკებს აქვთ მიცემული განკარგულება, რომ ამ მხრივ არ აღმოუჩინონ არავითარი დაბრკოლება მოქალაქეებს.

იმ მოქალაქეებს, რომლებიც შეიძენენ ობლიგაციებს, აქვთ ბევრი შანსები მოგებაზე, რადგან ყოველ 325 ობლიგაციიდან იგებს ერთი ობლიგაცია.

ინდუსტრიალიზაციის სესხის კოტიროვკა

საბჭოთა კავშირის სახელმწიფო ბანკის თბილისის კანტორის ცნობებით, „ინდუსტრიალიზაციის სესხის“ ობლიგაციების კოტიროვკა საბჭოთა კავშირის საფონდო ბირჟაზე მოხდება 15 ნოემბრის შემდეგ, როგორც კი დამთავრდება ინდივიდუალური და კოლექტიური ხელის მოწერა.

ამ მომენტიდან ყველა ბანკები სრულიად თავისუფლად იყიდიან სესხის ობლიგაციებს, გაცემენ სესხს და ობლიგაციებისათვის სპეციალურ, ეგრედწოდებულ ონკოლ მიმდინარე ანგარიშებს.

ჭოთა კავშირის თავდაცვისათვის

ა მათი სამხედრო ტექნიკა

იტალისტებმა

ვეყნების სამხედ- ო ვითარდება და სხვადასხვა ახა- აქვთ მათ. მაგრამ კონებანი არ წარ- როებას საბჭოთა ბინებოდენ, რომ რბაზანი, რომე- ანძილზე. ჩვენ- რ არის საინტე- ი საჭიროა ამ- დაცვის ომის სა- ნააღმდეგ ასეთი ობა შეუძლებელია. უზარმაზარი ზარ- ლდები და სხვე- ის ყველა ქვეყ- შაობენ კარგი და ფის და ტყვია- ზისათვის. უც- ლად ასწავლიან ს. აი, ეს უფრო სა- ისუთვის.

რომ საომარ ას- ადეგი ერთი და ტექნიკა. კაპიტალის- ამხედრო საწყობები ავ ა არა ახლად გამოგო- ს ნიშნავს იმას, რომ პირველ რიგში ხმარე- იქნება ძველი იარაღი. აღის დამზადება კი და- ოხმარების შემდეგ. კა- ოიდარნი არიან ჩვენთ- ალი იარაღით, აქვთ ავ- ალი იარაღის ნიმუშები, მთავარია, მათ ჰყავთ ბევრი ინჟენერი, ტექნიკოსი, მე- კარგი ქარხნები. ეს მისაქცევია, ვიდრე ნტების და გამოგონებანი.

ტექნიკა

სამხედრო სპეცია- ებით არის არმიის ნაირი და საუკეთე- ით და ამ იარაღის რეზზე სწრაფად გადატა-

ნის შესაძლებლობა (ტრანსპორტი, კავშირი). ტექნიკას წარმოადგენს აგრეთვე ჯარის მიერ ყველა საშუალებების მიზანშეწონილი გამოყენება და სხვადასხვა გვარეობის ჯარების მიერ შეთანხმებული მოქმედება ბრძოლის დროს. ამიტომ მთელი სამხ. ტექნიკა წარმოუდგენელია მასების ყოველ მხრივ განვითარებისა და მომზადების გარეშე. უსწავლელი და უცოდინარი ვერ მოიხმარს ტანკს. ამნაირად, ტექნიკა არის მთელი ქვეყნის ყოველ მხრივ და ყველა დარგში კულტურულად მომზადება.

რაში ვართ ჩამორჩენილი და რითი ვართ ძლიერი

ამხ. ვოროშილოვმა განაცხადა, რომ წითელი არმია და ფლოტი ამჟამად შეიარაღებულნი არიან საუკეთესოთ და იმ რაოდენობით, რამდენიც საჭიროა. ჩვენ გავაუმჯობესეთ ჩვენი იარაღი, გამოგონებულია ბევრი ახალი რამ.

მაგრამ ჩვენ მაინც ჩამორჩენილნი ვართ და აი რაში. ჩვენი ზარბაზნები, ტყვიამფრქვევები, შაშხანები და ვაზნები საუკეთესო ხარისხისაა. მაგრამ ყველამ იცის კარგი სროლა? გვაქვს საუკეთესო ტანკები. მაგრამ საჭირო დროს გვეყოფიან ისინი, გვეყოლება ტანკებზე მომუშავე სპეციალისტების საჭირო რაოდენობა? აი, რაშია საკითხის მთელი მნიშვნელობა.

ჩვენი ამოცანაა: ავამაღლოთ მრეწველობა, განვავითაროთ მოსახლეობა. ჩვენი ინდუსტრიალიზაცია, სასოფლო მეურნეობის განვითარება, კოოპერაცია, მასიური სპორტი, ბრძოლა უცოდინარობასთან, ტრანსპორტი, რადიოს განვითარება—აი ჩვენი ძალა, აი ჩვენი იმედი. ყველაფერი ეს გვირგვინდება იმით, რომ ჩვენ მივდივართ სოციალიზმისაკენ, ყველაფერი ეს ჩვენი სახელმწიფოს ხელშია, ყველაფერი უმჯობესდება ტექნიკურად.

ჩვენ სწრაფი ნაბიჯით მივდივართ წინ ამ გზით. ჩვენ ყველაფერი გვაქვს რაც იძლევა შესაძლებლობას უძლიერესი სამხედრო ტექნიკის შექმნისათვის.

ბარათოვი.

ალსანიშნავია, რომ წელს წერა-კითხვის უცოდინართა რიცხვი ძალიან მცირეა. მათ შორის სწარმოებს გაცხოველებული მუშაობა და წრეების დამთავრებისას მათ ეცოდინებათ წერა-კითხვა.

საერთოდ, უნდა ითქვას, რომ ტერიტ. შეკრება ჩვენ ლეგიონში მიმდინარეობს წარმატებით. დრო განაწილებულია სწორად და გონივრულად.

სამხედრო ცოდნის გარდა, ცვალებადი არმიელები შეიძენენ ბევრს ახალს კულტურულ-პოლიტიკურ დარგში. შეკრების დამთავრებისას, ლეგიონი დაუბრუნებს სოფელს კარგად მომზადებულ მოქალაქეებს, რომელნიც შეიტანენ თავის წვლილს სოფლის აღორძინების საქმეში.

ნ. ფურცელაძე.

რკინის გზელები სამხედრო სწავლებაზე

ნავთლუღის პუნქტი

სად. ნავთლუღთან მოთავსებულია რკინის გზელთა ჯარის გარეშე მოსამზადებელი პუნქტი, სადა ცორასზე მეტი 1092 და 1903 წლებში დაბადებული ახალგაზრდა რკინის გზელები სწავლობენ სამხედრო საქმეს.

რკინის გზელთა მომზადებას სამხედრო დარგში აქვს დიდი მნიშვნელობა, ვინაიდან ომის დროს ტრანსპორტს ეკისრება უაღრესად მნიშვნელოვანი როლი. ეს გარემოება კარგათ აქვთ შეგნებული ახალგაზრდა რკინის გზელებს და გულმოდგინეთ სწავლობენ სამხედრო საგნებს.

სამხედრო მომზადება დაიწყო ათეულის სწავლებიდან. რკინის გზელები უკვე გადიან ველად მეცადინეობის პრაქტიკულად ჩასატარებლად. ყოველდღიურად რამოდენიმე საათით რკინის გზელები მწყობრად გადიან ველად და აქ ეცნობიან სამხედრო სპეციალურ საგნებს, აწარმოებენ სროლას და სხვა.

აგრეთვე რკინის გზელები ეცნობიან რკინის გზის საქმესაც, რადგან მათ შემდეგში მოუხდებათ მუშაობა რკინის გზაზე. პუნქტი დაყოფილია სპეციალობის მიხედვით სალიანდაგო, წევის, მოძრაობის და საკავშირო დარგებათ.

პოლიტიკური და საერთო საგანმანათლებლო მუშაობა პუნქტზე სდგას თავის სიმაღლეზე. გამოყოფილია პოლიტიკური ხელმძღვანელი, რომელიც ყოველდღიურად ატარებს პოლიტმეცადინეობას. პუნქტზე მოწყობილია ლენინის კუთხე მრავალი განყოფილებებით, სადაც ტარდება საუბრები, ხმა-მაღალი კითხვა და მოხსენებები.

არსებობს პარტიული და კომკავშირის უჯრედები, რომელნიც აწარმოებენ მუშაობას უპარტიოთა შორისაც. არის აგრეთვე სხვადასხვა საზოგადოებრივ ორგანიზაციების უჯრედები, რომელნიც მუშაობენ დამაკმაყოფილებლად.

საერთოდ, უნდა ითქვას, რომ ნავთლუღის პუნქტი მოკლე ხანში მისცემს რკინის გზას კარგად გაწრთვნილ და მომზადებულ მუშაკებს.

„დ.“ ფერაძე.

1905 წ. დაბადებულთა გაწვევა

გაწვევა ადგილებზე

საქართველოს სხვადასხვა მაზრებიდან მიღებული ცნობების თანახმად, გაწვევა ადგილებზე მიმდინარეობს დიდი წარმატებით. ეს აიხსნება იმით, რომ სამხედრო უწყება ადრევე შეუდგა სამზადისს გაწვევისათვის, დაგზავნილ იქნა საჭირო მითითებები და განკარგულებები, ადგილობრივი ხელისუფლების მიერ ჩატარებულ იქნა დიდი საგიტაციო-საპროპაგანდო მუშაობა, რამაც გამოიღო შესაფერისი ნაყოფი. დიდი დახმარება გაუწია გაწვევას გასულ წლების გამოცდილებამ. წრევანდელი გაწვევა არის მეოთხე რეგულიარული გაწვევა. წელს გათვალისწინებული იყო გასული გაწვევების შეცდომები, მიღწევები და გაწვევას მიეცა ამით სწორი მსვლელობა.

საქართველოს ტერიტორიალურ სამმართველოს უფროსმა გაწვევის შესახებ განაცხადა, რომ ადგილებიდან არ მოდის არავითარი საჩივარი ან უკმაყოფილება გაწვევის ირგვლივ. ეს ნიშნავს იმას, რომ გამწვევი კომისიის წევრები სავსებით გაცნობილნი არიან გაწვევის წეს-რიგს, რის გამოც ადგილი არ აქვს რაიმე შეცდომებს და არა სწორ მოქმედებას.

გასაწვევთა ჯანმრთელობა

საექიმო კომისია დიდის დაკვირვებით სინჯავს ყოველივე გასაწვევ ახალგაზრდას, რათა წითელ ჯარში არ მოჰყვეს ავადმყოფი ან სუსტი აგებულობის არმიელი.

თბილისში ბევრი ახალგაზრდა არაა ჯანმრთელი. გამწვევი კომისია ბევრს ანთავისუფლებს ჯანმრთელობის მხრივ სამხედრო სამსახურისაგან, ბევრი ახალგაზრდა იგზავნება შესამოწმებლად საავადმყოფოებში.

სულ სხვა სურათია მაზრებში. ზოგიერთი მაზრა იძლევა 100 პროცენტს სრულიად ჯანმრთელ გასაწვევებს. იშვიათი შემთხვევაა, რომ გაწვეულთა შორის აღმოჩნდეს ავადმყოფი. და თუ კი არიან ასეთები, ისინიც მალავენ ავადმყოფობას, რომ ამით არ ჩამორჩენ თავის ამხანაგებს.

კენჭის ამოღება

გასაწვევი ახალგაზრდები, რომელნიც ცნობილ არიან გამწვევ კომისიის მიერ სავსებით ვარგისად სამხედრო სამსახურისათვის, საექიმო შემოწმების მიერ გაიშვებიან სახლში კენჭის ამოღებამდე.

კენჭის ამოღება იწარმოებს საქართველოში 25 ოქტომბრიდან და გაგრძელდება 10 დღეს. კენჭის ამოღება საჭიროა იმისათვის, რომ წითელ ჯარის ნაწილებში გაგზავნილ იქნეს არმიელთა საჭირო რაოდენობა. ნაწილში გაიგზავნებიან ის ახალგაზრდები, რომლებსაც შეხვდებათ კენჭი.

კენჭის ამოღების შემდეგ გასაწვევნი გაიშვებიან მოკლევადიან შვებულებაში შინაურ საქმეების მოსაგვარებლად, რის შემდეგაც იწარმოებს მათი ნაწილებში გაგზავნა 10-დან 20 ნოემბრამდე. იმ დღიდან, როდესაც გაწვეულნი დაინიშნებიან ამა თუ იმ ნაწილში, ისინი ჩაირიცხებიან ყოველგვარ კმაყოფაზე და ამავე ხნიდან ისარგებლებენ იმ უფლებებით, რომლებიც მინიჭებული აქვთ სამხედრო მსახურთ.

შრომის გმირების შესახებ

საქართველოს პროფსაბჭოს პრეზიდიუმის უკანასკნელ სხდომაზე მოსმენილი იქნა მოხსენება შრომის გმირების შესახებ.

პრეზიდიუმმა დაადგინა საჩქაროდ იქნეს შემუშავებული საქართველოს ცაკისათვის პროექტი შეღავათების შესახებ, რომლებიც გათვალისწინებულია სრულიად საკავშირო ცაკის 1927 წ. 5 აგვისტოს დადგენილებით.

გარდა ძირითად დებულებაში აღნიშნულ შეღავათებისა, პრეზიდიუმის დადგენილებით შრომის გმირებისათვის დაწესებულ უნდა იქნეს შემდეგი შეღავათები:

გადასახადი კომუნალური სარგებლობისათვის, როგორიცაა: ბინა, წყალი და განათება, 25 პროც-ით ნაკლები უნდა იქნეს იმავე კატეგორიის მუშებისათვის დაწესებულ ნორმებთან შედარებით;

შრომის გმირებს და მათი ოჯახის წევრებს უნდა მიეცეს უფასო საექიმო დახმარება, როგორც დაზღვეულებს;

შრომის გმირების და მათი შვილების სასწავლებლებში მიღება უნდა სწარმოებდეს ფიზიკურ შრომის პირთა უფლებებით.

შრომის გმირები სახელმწიფო და საზოგადოებრივ სასწავლებლებში სწავლის გადასახადისგან განთავისუფლებული უნდა იქნენ.

გარდა ამისა, ისინი სარგებლობენ ყველა იმ შეღავათებით, რომლითაც სარგებლობენ დაქირავებული შრომის პირები და კავშირის წევრები.

ვინაიდან შრომის გმირობის ირგვლივ მრავალ გაუგებრობას აქვს ადგილი, რაც იწვევს პერსონალური შეკითხვების შემოტანას, პრეზიდიუმმა დაადგინა ჩატარებულ იქნეს ახსნა-განმარტებითი კამპანია იმის შესახებ, რომ შრომის გმირებათ შეუძლიათ იყვენ მხოლოდ ისეთი პირები, რომლებსაც მიუძღვით განსაკუთრებული დამსახურებანი. უნდა აღინიშნოს, რომ შრომის გმირის წოდების მიკუთვნება სწარმოებს არა იმ პირთა პერსონალური შუამდგომლობით, რომლებსაც სურთ გახდენ შრომის გმირებათ, არამედ საზოგადოებრივ ორგანიზაციათა შუამდგომლობით.

შრომის გმირობის წოდებათა მიკუთვნების საკითხი უნდა ისმებოდეს ს. პ. კ. ს. პლენუმზე და საბოლოოდ დასამტკიცებლად ტარდებოდეს საქართველოს ცაკში.

უპირატესობათა მიკუთვნების შესახებ შემუშავებულ დადგენილების პროექტი შრომის სახკომმა უნდა შეუთანხმოს სატარიფო - საეკონომიო განყოფილებას და გაატაროს საკანონმდებლო ორგანოებში.

ფასების დაკლება

საქართველოს პროფსაბჭოს პრეზიდიუმის უკანასკნელ სხდომაზე მოსმენილი იქნა ამხ. ათაბეგოვის მოხსენება ფასების დაკლების კამპანიის შედეგების შესახებ საქართველოში.

პრეზიდიუმმა აღნიშნა, რომ დირექტივა 1-ლ ივნისისათვის ფასების 10 პროცენტით დაკლების შესახებ წარმატებით იქნა ჩატარებული ტფილისში. ხოლო პროვინციაში მისი სავსებით ჩატარება არ მომხდარა, რისთვისაც მიღებულ უნდა იქნეს ზომები, რათა აღნიშნული დირექტივა სრულიად იქნეს ჩატარებული პროვინციაში.

გამოირკვა, რომ 1-ლ სექტემბრისათვის 1-ლ ივნისთან შედარებით საბიუჯეტო შენაწყობი გადიდებულია 3 პროცენტზე მეტით; პრეზიდიუმმა აღნიშნა, რომ დაკლებული ფასები არ ჩერდება ერთ დონეზე, ფასები კვლავ მატულობს, რისთვისაც დაევალა სატარიფო განყოფილებას გამოარკვიოს საბიუჯეტო შენაწყობის გადიდების მიზეზები და წამოაყენოს სათანადო ორგანოების წინაშე საკითხი ფასების აწევის შეჩერებისა და მათი შემდეგი დაკლების საჭიროების შესახებ.

პრეზიდიუმმა დაადგინა ეთხოვოს საქ. სახკომსაბჭოს მისცეს კატეგორიული დირექტივა შინავაჭრობის სახ. კომისარიატს, რათა მიმდინარე წლის 1-ლ ოქტომბრისათვის აუცილებლად იქნეს განხორციელებული ფასების 10 პროცენტით დაკლება მაზრებში და ავტონომიურ რესპუბლიკებში.

აუცილებელ საჭიროებათ იქნა ცნობილი წვრილ სადუქნო სესხის (კრედიტის) ფართოდ გატარება უხლოეს თვეებშივე.

ხედრო ლიტერატურა

ვალებთ მიმდინარე წლის პროგრამას, ჩვენ დავინახავთ, ოზულად არის დაყენებული სკოლების უფროს კლა- სწავლებლებში. ცხადია, ლებას სჭირია დიდი დაკ- მოცანის შესრულებას წინ დ სიძნელედ მოგველინება ედრო ლიტერატურის, სამ- ლოების და სამხედრო წ- ა. მართალია, ზოგი რამ ამ ა, გადმოთარგმნილია სახე- ა წესდების ნაწილი, მა- მოთარგმნილი და გამოცე- წილი. გარდა ამისა, ის, და გამოიცა, შეფარდებუ- არულ ჯარის საჭიროება რის მიღებული გასამხედრო კონსპექტივები. სახელგამს აქვს ოდინობე სამხედრო პოპული- რო, მხოლოდ ბროშიურებში ბე- შეფერება თანამედროვე სამხედ- ბის და ტექნიკის მოთხოვნილე- მოცემებს ალბად შემთხვევითი ხა- ა. რადგანაც ისინი არ არიან გად- ებული არმიის შტაბის მიერ და გატარებულნი სამხედრო გამომცემლობის რედაქციაში.

სამხედრო შინაარსის წიგნების ასეთმა გაცალკევებულმა გამოცემამ დაბადა ენის, სტილის და ტერმინების სხვადასხვაობაც. ჯარის წესდებები და სამხედრო სასწავლებლის სახელმძღვანელოები დიდად განსხვავდება ამ მხრივ სახელგამის გამოცემებისაგან, რაც დაუშვებელია.

ასეთია ჩვენი სამხედრო ლიტერატურის მდგომარეობა.

საქმის მნიშვნელობა და სიფართოვე გვიკარნახებს ჩვენ ჯეროვანი ყურადღება მივაქციოთ სამხედრო ლიტერატურის რაოდენობას და ღირსებას. ბევრის და ყველაფრის დაწერა, გადმოთარგმნა არ შეგვიძლია, მაგრამ მნიშვნელოვანის და აუცილებლის გამოცემა სავალდებულოდ უნდა იქნეს ცნობილი ახლო მომავალში.

საჭიროა ჯერ ჯერობით გაერთიანდეს და გაფართოვდეს სამხედრო წიგნ-წესდების გამოცემა. უნდა გაერთიანდეს სამხედრო უწყებების მიერ წესდებებისათვის გაღებული თანხები და სახელგამის სამხედრო შინაარსის წიგნებისათვის გადადებული საშუალებანი. რომ აღარ მოხდეს ტერმინოლოგიის არევა და უვარგისი აღარ გამოიცეს რა, საჭიროა მტკიცე რედაქცია სამხედრო უწყების მიერ.

ლ. ც.

რთო ტერ. შეკრებაზე

(№ ქართ. მსრ. ლეგიონი).

ტყიან, 1903 წელში დაბადე- მოიყვა საერთო ტერი- ლოგაცია ბა ჩვენ ლეგიონ- დაწყებულ სექტემბრიდან სახალისიანათ და რო- ამოცხადდენ ნაწილ- და წარსულ წლებში შემოდ ცოდნის გამო- ყველა ასეულებ- კულ მეცადინეობას. შემდეგ ასეულები მახლობელ გორაზე აწარმოებდნენ სროლას.

მეცადინეობა სწარმოებს ნაშუადღევის სამ საათამდე. დასვენების შემდეგ იწყება კულტურული მუშაობა ლენინის კუთხეებში და კარვებში. ჩამოყალიბებულია უკვე შემდეგი წრეები: სამხედრო, პოლიტიკური, სასპორტო, ჩინეთის რევოლიუციის შემსწავლელი, მომღერალთა, წერა-კითხვის უცოდინარობის სალიკვიდაციო და სხვა.

სამხედრო ქრონიკა

ლიტერატურა შვებულებს

საქ. სახ. კომისართა საბჭომ წინადადება მისცა განათლების სახალხო კომისარიატს გასცეს სახელგამიდან 1-ლ და მე-2-ე ქართ. მსრ. დივიზიების გრძელვადიან შვებულებში მიმავალ წითელარმიელებისათვის 7.749 მანეთის ღირებული ლიტერატურა.

შვებულებს მიეცემათ ისეთი ლიტერატურა, რომელიც საჭიროა სოფლად მუშაობისათვის.

არც ერთი წერა - კითხვის უცოდინარი

გრძელვადიან შვებულებში მიმავალ წითელარმიელებმა ორი წლის განმავლობაში შეისწავლეს საუკეთესოდ წერა - კითხვა. ნაწილებიდან მოსული ცნობების თანახმად შვებულთაგან არც ერთი არ არის წერა - კითხვის უცოდინარი.

კავკასიის არმია მეორე ადგილზე

დამთავრდა წითელი არმიის სპორტიული შეჯიბრი, რომელმაც გამოარკვია დიდი მიღწევები წითელარმიელთა ფიზიკურ მომზადებაში. შეჯიბრში პირველი ადგილი დაიკავა მოსკოვის სამხედრო ოლქმა, მეორე ადგილი კი კავკასიის წითელ დროშოვანმა არმიამ.

გრძელვადიან შვებულებაში

თანახმად ბრძანებისა კავკ. წითელ დროშ. არმიისადმი მიმდინარე წელს გაშვებულ იქნებიან შვებულებაში ის არმიელნი, რომლებმაც დაჰყვეს ყაზარმაში ორი წელი.

მოსამზადებელი მუშაობა გაშვებისათვის დამთავრებულია.

პირველ რიგში 25 სექტემბრიდან 5 ოქტომბრამდე გაიშვებიან სახლში ქვეითი ჯარის, არტილერიის, საკავშირო და საინჟინერო საკადრო ნაწილების არმიელნი.

5-დან 15 ოქტომბრამდე გაიშვებიან სანაპირო დაცვის და საჰაერო ნაწილების არმიელნი.

15-დან 25 ოქტომბრამდე გაშვეულ იქნებიან არმიის შტაბების, დაწესებულებების და ტერიტორიალურ ნაწილების საკადრო შემადგენლობის წითელარმიელნი.

ბათომისაკენ

— ჰოდა იმას ვამბობდი: ევედი კაცი ლისში. მოვნახე კარგი სასადილო დავჯექი. გავიხედე—მომიტანეს სა- ევი ბარათი. წავიკითხე—სულ უცხო ხო სახელები ჰქვია. საჭმელებს. ერ ის კირკაში ქვიებია. მოვითხოვე ეს რ. გევიხედე და დოუკავებია ყა- ლში ლობიე და ქე არ მომიტანა. ინც ჩვენებურად, ძმრით და ყოფილიყო გაკეთებული! მე- მოიმს ლობიო, გადაერენ ზედ ზე- რენ მარილი და ხახვი და მო- რაია იგი მეთქი, ვკითხე. რაია ში არ ბრძანეთო? მერე კირკა- ლობიოს ქვია თქვენში მეთქი? ასეა ტონო! შენ ოჯახ დასაქცევო,—ვუთხა ი, აი მე ძროხას ვაჭამე შინ და იგი მო და, ხარმა ჭამა და სული გავარდა. ჩე- ას ამას ღორი არ ჭამს და შენ მე ლავ აქანეი კაცს მეთქი? წეილე ამ წუ ში, თვარა დავარანცხე პოლზე მეთქი. საქმე დამემართა, კაცო, თბი- —ყვებოდა ხანში შესული კაცი, საც ღია რონოდაში ხალხი შემო ირგვლივ. ხალხი უსმენდა და მა- სიცილით გაყრუებული იყო იქა-

ახლა ბათომში მივალ, იქინე მაინც ო ხეირიანი საჭმელი.

ე კაცო, შესულიყავი ოზურგეთის “ და იქ გაჭმევდენ საჭმელს, ამი ომში რაღას მიხრიგინებ.

ოზურგეთის „ეპოს“ სასადილოში ი საჭმელია მეც ქე ვიცი, მაგრამ პაწე ბათომში მინდა ვსინჯო. თვის ერთ ადგილზე ხარი რომ და ბა, იმას ამოხდება სული.

— შენ კაი მოლაპარაკე ყოფილხარ. ლურჯ ხალათში“ ვერ ჩეეწერები?

— არ მოგწონს ეგება—ჩამოერია ვი- აც ახალგაზრდა.

— რეიზა არ მომწონს. მომწონს კი რა კაია ძალიანი. ოქრობილა ყლენტის ახლფორთეევია მაი ყველაფერი.

— აი რომელი ყლენტია—პროფბიურო ყლენტს ხომ არ ჩივი.

— პროფბიურო ყლენტი კი არაა— რგანოა, ყლენტი მისი თავმჯდომარეა. შვენიერი წრე მოაწყო, სახუმარო პი- სხსაც თითო სწერს, ზოგიერთს იმის- ანას, რომე მოკდები სიცილით.

— ოქრობილა რომ დასწერს, მაი რა საკვირია. აკორტათ აქვს აღებული, მისთანას დასწერს, რომე სიცილით მო- ლავს.

— დასწერს რავა, რომ იტყვის ნაკლებ ა თუ. ამას წინაზე მუცელზე კანი არ შემრჩენია.

სიცილ ხარხარით და სიმღერით და- ლილი რონოდა ისევ აჩქჩქდა ატომ მიდან და მოგვაცილა „ჯანყის ნტაციებამდის ჩვეულებრივ ლაზნებოდა ის, მაგრამ შემდეგ, ბათომისაკენ რომ გადაადგა ბიჯი მთავარ ხაზზე, მძიმე ხვნეშით სწრაფად გასწია ზღვის ნაპირ-ნაპირ.

მრავალჯერ მინახავს ზღვა, ბევრჯერ ჩავმალულვარ მის მარილიან წყალში, მაგრამ თითეული ახალი ნახვა ახალ განცდებით და გრძნობებით მავსებს. რაღაც დიდი სიყვარული მოდის ამ გიგანტიდან, სიდიადე და უსაზღვრო სივრცე გეპატრონება ადამიანს; უცქერი ლურჯ ცას, უცქერი ლურჯ ზღვას და ვერ არჩევს თვალი: ცის კამარა სად ებჯინება მარილმწარე წყალს, ლურჯი ეთერი სად უთმობს არეს ზღვის ლურჯად მობიბინე ტალღებს. საამურია და სიმშვიდის დამმკვიდრებული, წყნარი ლურჯი ზღვა. ნაზი შეხებით ულერსებს ხვეულ ნაპირებს, მოსიყვარულე დედასავით აგორებს ფრთხილად ის ფერად კენჭებს და სულ დუდუნებს, სულ ჩურჩულებს დღე-ღამ, ბუტბუტებს განუწყვეტლივ თეთრი „კრუჟევოთი“ მოქაზმული ნაპირის ტალღა. ბუტბუტებს და არავინ იცის, სასიყვარულო ალერსით გამთბარ ტკბილ ზღაპრებს უთხრობს იგი ნაპირებს თუ სხვა რამ საიდუმლოებს უმღერს. ტკბილია წყნარი ზღვა, ტკბილი და მიმზიდველი. მინდა გაიშალო მის ზედაპირზე, შეეთვისო და შეეზარდო მის მობიბინე კრიალა სახეს. გიწვევს და გეპატიჟება მისი უსაზღვრო სილამაზე: მიმზიდველია ზღვა, როცა ვეებერთელა სარკედ ქცეული გაწოლილია ის უზარმაზარი წყლის მასით უზარმაზარ სიღრმე-სიგრძეზე. მაგრამ ზოგჯერ გაცოფებაც ძლიერი იცის, კრავსავით უწყინარი აფთარზე მეტად გაათირდება. აირეკს ზვირთებს, ზურგზე გრიგალ წყლის მთებს დაიდგამს და შიშით განაბულ ნაპირებს დორბლ-მორეული ესვრის წყლის გორებს. ღვინით გაცოფებულ ვაჟკაცივით ღრიალებს მაშინ იგი, იჭვით შეპყრობილ მიჯნურსავით ახეთქებს ნაპირზე თავს და ღონის სთხრის, აწვალებს კენჭებს, სიმშვიდის დროზე ალერსს შეჩვეულს.

ვაი მას მაშინ, ვინც გიჟ ტალღებს მკლავში მოჰყვება: თავში ჩასცხებს, ტვინს გაუფანტავს, ხახას დააღებს, გაალაპავს, გამობერავს ამღვრეულ მარილ წყალით, ათრევს, აწვალებს და როდესაც გულს მოიჯერებს ზიზღით გაისვრის ნაპირისაკენ. ასეთია ზღვა ცოფიანი, გადარეული, მაგრამ ლამაზი და სივაჟკაცით მომხიბვლელი სიგიჟეშიაც. დღეს ამინდი წყნარია და მზიანი. ზღვაც ნებივრად გაზლაზნილა და წყნარად სუნთქავს. ისვენებს ალბად. წელს მეტის მეტი დაემართა სიგიჟე. წელს მზიანი ცა მასაც მონატრა და რა კი ნახა, მორჩილად გაწვა, გაითბო ზურგი.

ბინდდება. მზე გზას ამთავრებს. [illegible] ცის კამარით საღამოს „ვენის“ [illegible] ბად მიჩოჩავს ზღვისაკენ. გაწითლებია სახე, მუქად გაბერილა, გამრგვალებულა. გამოიხედა უკანასკნელად და მისცა თავი ზღვის მოჩრილ ტალღას. განებივრებულ ასულსავით ნელ-ნელა შესცურა, წყნარად დაყვინთა, ჯერ ქოჩი ჩაჰყო, შემდეგ სხეული და დაბოლოს სულ მიიმალა. ჩაიძირა. ჩაყვინთა მზემ. იმისათვის, რომ განიბანოს და დილით ისევ მთებში დაჭყიტოს თვალი აზიზ ბავშვსავით.

ღია რონოდის მოაჯირს გადამდგარი, ზღვით მოხიბლული ვერც კი ვგრძნობ, როგორ ვიტოვებთ სადგურს სადგურზე და ვადგებით ბათომს, აჭარისტანის დედა-ქალაქს.

აჭარისტანი, ბათომის ოლქი წინედ, ავტონომიური რესპუბლიკაა ეხლა. ბეგებისა და სტრაჟნიკების სათარეშო მოედანი წინათ, განვითარებისა და წინსვლის კუთხეა ეხლა. ხოჯების მსუქანი ლუკმა წინათ, კულტურისა და განათლების გზაზე შემდგარია ეხლა. საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ, მას შემდეგ, რაც ფუხარა ხალხი თვით შეიქნა თავის საქმის ბატონ-პატრონი, აჭარისტანი საზღაპრო ნაბიჯით მიდის წინ. ვითარდება და უმჯობესდება ბათომიც, თუმცა ერთხანს შენელებული იყო მისი მაჯის ცემა. ბათომი დღეს შენდება და ივსება ახალ ქარხნებით და ფაბრიკებით. აჭარის წყალს ბათომის ხათრით იღებენ ბორკილს მახუნცეტთან, მისი ხათრით აჭრავენ კბილში და ელექტრო დენით აავსებენ დასაბამიდან თავისუფალ მთის მდინარეს. ბათომის ხათრით ღრღნიან იქ კლდეებს და გაღრღნილ კლდეში, როგორც საქონელს სასაკლაოზე ისე შერეკენ დამორჩილებულ აჭარის წყალს. შედენეს კიდეც. განზრახვა მაქვს მახუნცეტის გზას გავკრა ქუსლი, ბათომისაკენ ამიტომ ვქენი პირი. იტალიიდან მოდის ხალხი ამ სადგურის სანახავად. ჩვენ აღარ უნდა ვნახოთ? აჭარისტანის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეს ამხ. ი. ბრეგვაძესთან მიგვასწავლეს: მახუნცეტში წასვლაში ხელს შეგიწყობთო. ვეწვიეთ მას მთავრობის სასახლეში.

რევოლიუციამ წარმოშვა ახალი ხალხი. რევოლიუციამ მოღვაწის ახალი ტიპი ჩამოასხა: გამძლე, ფოლადის ნებისყოფით, დაუღალავი, თავაზიანი და საქმის მოყვარული, სალონებს გარეშე აღზრდილი, ქოხებიდან და მუშათა უბნებიდან გამოსული, გუვერნიორების და ძიძათა მზრუნველობის აცდენილი, გიმნაზიის კედლებ უნახავი, მაგრამ ცხოვრების, მძიმე ცხოვრების სკოლა გავლილი და ამ სკოლაში გამოფოლადებული.

ახალია ეს ტიპი. რევოლიუციის პირმშო, რევოლიუციის დახელოვნებული ოსტატი. მას არა აქვს განსაზღვრული [illegible] საკვალიფიკაციო კომისიების დასკვნით. მას არა აქვს დიპლომი უნივერსიტეტების და აკადემიების, სამაგიეროდ მას აქვს ყველაზე უფრო გამოსადეგი დიპლომი—დიპლომი რევოლიუციის მებრძოლის და ამიტომ არის, სადაც საქმე ეხება რევოლიუციას, სადაც საქმეა მის მოპოებაზე ან აღებულის შენარჩუნება-განმტკიცებაზე, იქ უკეთეს ოსტატს, მომპოებელს, განმტკიცებელს, მშრომელს, ვერ იპოვის რევოლიუცია. ქაღალდის დიპლომები საცოდავად ფართხალებენ იქ, სადაც ეს უდიპლომო კაცები სასწაულებს ახდენენ. გიმნაზია-უნივერსიტეტებში გამოტვირთული ტვინები ვერას ახერხებენ იქ, სადაც ეს რევოლიუციის კაცები ერთის მიმოხედვით ერკვევიან და გამოსავალს პოულობენ, და ზოგჯერ გორდის კვანძის გასაჭრელად შეკრებილ მთელი გუნდის უნაყოფო ფიქრებს და თავის ტეხას ერთის მოქნევით ამ კაცების მიერ გაჭრილი კვანძი სწყვეტს და მიგრენისაგან ანთავისუფლებს დიპლომებით დატვირთულ თავითა პატრონებს.

ეს კაცები შვილებია რევოლიუციის, ვეტერანები, მასთან შეზრდილი მძიმე სკოლაში გამოწრთვნილი და გამოწაფული. ეს კაცები ცხოვრების გზაზე ბავშვობიდანვე საკუთარ ტვინის კარნახით მოძრაობდენ და მის ხვეულებში უფრო ერკვევიან, ოღრო-ჩოღროებს უფრო იოლად გამოიცნობენ.

ახალმა კლასმა, ახალმა ძალამ წარმოშვა ახალი ტიპი, ახალი მოღვაწეები, რადგან ახალი საქმის მშენებლებად ძველი მშენებლები მას აღარ გამოადგებოდა მთლიანად.

და აი, როდესაც რედაქციის ოთხ კედელს გასცილდები, როდესაც ფეხს გადგამ იქ, სადაც სდუღს და იჭედება ცხოვრება, სადაც უშუალოდ შენდება ის, რისთვის თავი გასწირა არა ერთმა თაობამ, იქ შეხვდებით ასეთ კაცებს, იქ ახალი ქვეყნის სამჭედურში ტრიალებენ ისინი და სჭედენ, უკეთ ხელმძღვანელობენ ახალ ჰედვას, ახალ ნაკვეთების ახალ ფორმებში ჩაყალიბებას. ნუ გაიკვირვებთ, როცა ზოგჯერ სამხედრო, რომ კარს შეუღებთ, წითელი დროშის ორდენებით გადალესილი ვაჟკაცის გული თუ შეგეფეთათ.

წინეთ, ძლიერი ქარტეხილების შეჯახებათა და შავ ვეშაპთან ბრძოლის ხანაში, როცა ტალღა რევოლიუციის მოედავა ქვეყანას, ეს ვაჟკაცები ზეკაცური გამბედაობით გზას უკვლევდენ გამწმენდ ტალღას მშრომელთ გულისკენ დიდი ბელადის მეთვალყურეობით მიმართავდენ ისინი იმ ტალღებს, ისე, რომ წაელეკათ დამპალი ხანის აყროლებული საბუნაგოები, რომ ძირშივე აღმოეფხვრათ ბოროტების მომყვანი თესლი, მიმართავდენ და მიმართეს კიდეც. როცა აზვირთდა ხალხის მასა, როცა მშრომელმა თავის მჩაგვრელებს „წითელი მამალი მიუგზავნა სახურავის ქვეშ“ და ქალაქებში მუშები ქარხნებს დაეპატრონენ,—ეს ვაჟკაცები დიდი ბელადის კარნახით და მისი გაძღოლით მშრომელთა ძალაუფლების ჩამოყალიბებას ხელმძღვანელობდენ. როდესაც შემდეგ, საბჭოთა ქვეყანას გარს შემოერტყა რევოლიუციის მიერ გარიყულთა ცოფიანი რაზმები, მაშინ ისინი მოწინავე პოზიციებზე ჯერ პარტიზანულ წითელ გვარდიას, მერე კი წითელ დივიზიებს მიუძღვებოდენ ფიცხელ ბრძოლებში და აკადემია დამთავრებულ გენერლებს აძლევდენ სამხედრო სტრატეგიის გაკვეთილებს.

მრავალი მათგანი დაეცა მაშინ ბრძოლის ველზე, მრავალი მათგანი ფიზიკურად დაზიანდა, ისე, რომ შემდეგ ბრძოლებში აღარ გამოდგა, მაგრამ მრავალი წითელი დროშის ორდენებით გულგალესილი გამოვიდა დიდი ჯახიდან და როცა რევოლიუციამ სხვა ფრონტისკენ გამოიწვია, თამამად ჩადგა ახალ ბრძოლაში.

დღეს, როცა დამთავრდა იარაღით უშუალო ბრძოლა, როცა დაჩუმდა ზარბაზნები და დინამოებით კვლავ ამღერდა ქარხნის ღვედები, ამ ვაჟკაცებს ახალ ფრონტზე—სამეურნეო ფრონტზე ვხედავთ ისევ მედგრებს, ისევ გამჭრიახებს და უნარიანთ.

თავგამოდებით, დაუღალავად მუშაობენ ისინი ამ ახალ ფრონტზე და გულზე წითელ დროშების ორდენებს შრომის ორდენებს უმატებენ წითელ ბანტებში გამოხვეულთ.

მუშაობენ ისინი, იბრძვიან. წითელ ორდენებს კი გულიდან არ იცილებენ. რადგან იციან, რომ ისინი რევოლიუციის ოსტატები დღეს ახალ ჩუმ, მაგრამ ხელჩართულზე უფრო სასტიკ და ულმობელ ბრძოლაში იმყოფებიან.

როდესაც ჩვენ ამხ. ი. ბრეგვაძესთან შევაღეთ კარი, როდესაც ის პირმცინარი, თავაზიანი და წითელი დროშის ორდენებით გულ აყვავებული შემოგვეგება, მიხვდი მაშინ, რომ ის რევოლიუციის ერთ ერთი ამ ოსტატთაგანია.

და არც მოვსტყუვდი. მე არ ვიცნობ მის ბიოგრაფიას, არ ვიცი სად დაიბადა, სად გაიზარდა ის, მაგრამ ის კი ვიცი, რომ სამოქალაქო ომების დროს ის ვეფხვივით იბრძოდა მტერთან და მხნედ მიუძღოდა წინ ნაწილებს. ხოლო ეხლა არა ნაკლებ მხნედ იბრძვის ახალ ფრონტზე, სამეურნეო მშენებლობის მძიმე ფრონტზე.

ამიტომ იყო, რომ ასე თამამად ვსთხოვეთ მას ხელი შეეწყო ჩვენთვის, გვენახა აჭარისტანის აღმშენებლობის თვალმარგალიტი—აჭარისტანის ჰიდრო-სადგური.

სიამოვნებით მიეგება ჩვენს განზრახვას ამხ. ბრეგვაძე, მაგრამ წინასწარ თავის ქარხანაში წაგვიყვანა.

ვლ. ბერაძე.

საბჭოთა საქართველო

დეპეშები

ვენეროლოგიური დისპანსერი

ოზურგეთი, 21 სექტემბერი. 1 ოქტომბერს ცენტრალურ სამაზრო საავადმყოფოსთან გაიხსნება ვენეროლოგიური დისპანსერი. საშუალებები გაღებულია ცენტრის მიერ. (ადს).

სასოფლო - სამეურნეო გადასახადის აკრეფა

ახალციხე, 21 სექტემბერი. 1927—28 წ. სასოფლო - სამეურნეო გასახადის ასაკრეფად წინასწარი მუშაობა უკვე დამთავრდა. გადამხდელთა შორის მეურნეთა რაოდენობა აღწევს 83.704 კაცს, რაც სავსებით ეთანხმება უკანასკნელ დემოგრაფიულ აღწერას. მიწათმოქმედების გარეშე შემოსავალი ნავარაუდევია 207.975 მანეთამდე. დაბეგვრისაგან განთავისუფლებულია 3.346 მეურნე, ანუ 25 პროც.

მთელ მაზრაში სასოფლო-სამეურნეო შემოსავალი შეადგენს 2.574.830 მანეთს. შარშანდელთან შედარებით წელს აკრეფილ იქნება 1.134.744 მანეთით მეტი.

გასამხედროება

ახალციხე, 21 სექტემბერი. ახალციხის მაზრაში 9 წლედების ორი უკანასკნელი ჯგუფის მეცადინეობის პროგრამაში შეტანილია სამხედრო გაკვეთილები.

1905 წელში დაბადებულთა გაწვევა

ონი, 21 სექტემბერი. 1905 წელში დაბადებულთა ჯარში გაწვევა წარმატებით მიმდინარეობს. შესაკრებ პუნქტებზე ახალწვეულები ორგანიზაციულად მოდიან ადგილობრივ ხელისუფლების წარმომადგენლების თანხლებით.

აჭარისტანი

ქალაქის ელსადგურის გაფართოება

ბათომი, 21 სექტემბერი. 1-ლ ელექტროსადგურზე სწარმოებს 150 ცხენის ძალის დიზელის დადგმა. ახალი დიზელის (მეოთხე) დადგმის შემდეგ სადგურის სიძლიერე აყვანილი იქნება 690 ცხენის ძალამდე, რაც შესაძლებელს გახდის ელექტრო-ენერგიაზე აუცილებელი მოთხოვნილების დაკმაყოფილებას. დიზელი დაიდგმება და ამუშავდება ოქტომბრის 10 წლის თავისათვის. (ადს).

ქალაქის წყალსადენის შეკეთება

ბათომი, 22 სექტემ. ნიაღვრისაგან დანგრეულ წყალსადენის შეკეთება სწრაფი ტემპით სწარმოებს. წყალგამტარში მდინარის გაუწმენდელი წყალის გატარების მაგიერ, 21 სექტემბერს შესაძლებელი გახდა გაწმენდილი წყალის გაშვება.

წყალსადენის შეკეთება დაჯდება 60.000 მანეთი (ადს).

სამხრეთ-ოსეთი

ჯავა-როკის გზა

ცხინვალი, 21 სექტემბერი. ჯავა-როკის გზაზე განახლდა მუშაობა, რომელიც დროებით შეწყვეტილი იყო კრედიტების ამოწურვის გამო. მუშაობა დაიწყო ერთბაშათ 600 კაცმა და თუ კარგი ამინდი იქნა, ახლო მომავალში დამთავრდება მიწის სამუშაობა გზის საბოლოო პუნქტამდე — სოფელ როკამდე უღელტეხილთან. (ადს).

წერილები

მოვსპოთ მავნე ზნე-ჩვეულებები

კულტურული ჩამორჩენილობა საუკეთესო ნიადაგს წარმოადგენს სოფლად ყოველგვარი ცრუმორწმუნეობის გასავრცელებლად. სწორედ ამიტომ არის, რომ სოფლად ჯერ კიდევ გავრცელებულია მუშაობა, მკითხაობა, საეკლესიო დღეობების გადახდა, მიცვალებულების დასაფლავების დროს ქელეხების გამართვა და მრავალი სხვა, რაც აურაცხელ ზიანს აყენებს გლეხობის კეთილდღეობის საქმეს.

საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ, როდესაც გლეხობის კულტურული დონის ამაღლებას და ცრუმორწმუნეობის წინააღმდეგ ბრძოლას განსაკუთრებული ყურადღება მიექცა, სოფლად ძალზე შემცირდა ზემოხსენებული მავნე ზნეჩვეულებების შემთხვევები, მაგრამ სავსებით აღმოფხვრილი ის ჯერ კიდევ არ არის.

განსაკუთრებით დიდ ზარალს აყენებს მშრომელ გლეხობას ქელეხების გადახდა და საეკლესიო დღესასწაულები, მაგრამ საბედნიეროდ გლეხობის უმრავლესობამ უკვე შეიგნო ეს მავნებლობა და საერთო კრებებზე გამოაქვთ დადგენილებები საეკლესიო დღეობების გაუქმების შესახებ.

გლეხობის ასეთი ნაბიჯი უსათუოდ ყურადღების ღირსია. სოფლის საბჭოებმა და პარტიულმა ორგანიზაციებმა აგიტაცია-პროპაგანდის საშუალებით ყველა სოფლებში უნდა დაარწმუნონ მშრომელი გლეხობა, რომ საეკლესიო დღეობები გამოგონილია სამღვდელოების მიერ მხოლოდ მშრომელთა გონების დასაჩლუნგებლად.

საეკლესიო დღესასწაულებისა და ქელეხების გადახდა, გარდა იმისა, რომ ის დიდი ზარალს აყენებს გლეხის ბიუჯეტს, ხშირად თავდება ჩხუბით, აყალმაყალით და უბედურ შემთხვევებითაც.

ყველაზე უწინ ამ მავნე ზნეჩვეულებების მოსპობა სცადა გურიის მოსახლეობამ. ჯერ კიდევ 1905 წლის რევოლიუციის დროს გლეხობას საერთო კრებებზე გამოჰქონდა დადგენილებები ქელეხების და საეკლესიო დღეობების მოსპობის შესახებ და ეს დადგენილებები კიდევაც ტარდებოდა ცხოვრებაში, მაგრამ რევოლიუციის დამარცხების შემდეგ შეუძლებელი გახდა მისი განხორციელება.

ამჟამად, საბჭოთა ხელისუფლების დროს გლეხობამ ერთხელ და სამუდამოდ უნდა მოუღოს ბოლო ამ მავნე და ეკონომიურად გამანადგურებელ ჩვეულებებს.

ს—ნი.

კოოპერაციის მუშაობა სართიჭალის რაიონში

საქართველოს გასაბჭოებამდე სართიჭალის რაიონის სოფლებში აქა-იქ არსებობდა კოოპერატივები, მაგრამ ისინი სანახევროდაც ვერ აკმაყოფილებდენ მოსახლეობის მოთხოვნილებებს.

1922 წელს თბილისის მუშკოოპმა აქ დაარსა რაიონული მთლიანი მუშათა კოოპერატივი და რაიონის სოფლებში გახსნა სავაჭრო განყოფილებები. კოოპერაციის მუშაობა იმდენად გაძლიერდა, რომ კერძო ვაჭრები იძულებული გახდენ სამუდამოდ აეკრათ გუდა-ნაბადი.

1926 წ. სექტემბერში მუშკოოპი გაუქმდა და მისი სავაჭროები გადავიდა სართიჭალის რაიონულ მთლიანი მომხმარებელი საზოგადოების გამგეობის ხელში, რომელიც დაარსებულ იქმნა მუშკოოპის ლიკვიდაციის შემდეგ.

პირველ ხანებში მუშაობა მოისუსტებდა, მაგრამ 1927 წლიდან კოოპერაცია თანდათანობით გაძლიერდა. არსებობს განყოფილებები: პატარძეულში, ხაშმში, უჯარმაში და მალხაზოვკაში, რომლებიც აერთიანებენ 1,599 წევრს. საპაიო თანხა უდრის 4.987 მან.

პირველ სექტემბრისათვის საქონელზე საშუალოდ დაკლებული იყო ფასები ცხრა პროცენტით. თვიური ბრუნვა უდრის 25.000 მან.

კოოპერატივის რწმუნებულთა ყრილობა ეწყობა სამ-თვეში ერთხელ, სადაც გამგეობა აბარებს ანგარიშებს ამომრჩეველთ თავის მუშაობის შესახებ.

გამგეობის თაოსნობით ჩამოყალიბებულია კოოპერატიული წრეები სართიჭალაში და ხაშმში. რაიონში ვრცელდება 60-მდე გაზეთი „ჩვენი კოოპერაცია“, ამრიგად კოოპერაციის მუშაობის გაძლიერებამ სასურველი შედეგები მოგვცა.

მომავალში საჭიროა გაიხსნას სავაჭრო განყოფილება სოფ. მულანლოში, წითელი სასადილო სართიჭალაში და გაუმჯობესდეს პურის გამოცხობის საქმე.

ზ. გარე-კახელი.

წერილებიდან

კიკნაველეთის თემი, ქუთ. მაზრა

საჭიროა ყურადღება მიექცეს

ამ დღეებში კიკნაველეთის თემის აღმასკომის თავმჯდომარეს და აღმასკომის მდივანს ურთიერთ შორის მოუვიდათ ჩხუბი რის მოწამენიც იყვნენ ადგილობრივი გლეხობა, ასეთი მოქმედება კიკნაველეთის თემაღმასკომის თავმჯდომარის პირველი არ არის, ამიტომ ქუთაისის სამაზრო ხელისუფლებამ ამ გარემოებას უნდა მიაქციოს ყურადღება.

ნაპერწკალი.

საგარეჯოს რაიონი

მოჯამაგირეთა შორის მუშაობა

მას შემდეგ, რაც საგარეჯოს რაიონის მიწა-ტყის კავშირის ადგილკომის პ. მგ. მდივნათ აირჩიეს ამხ. ივ. დრიძე, მუშაობა საგრძნობლად გაუმჯობესდა. მოჯამაგირეთა შრომის დაცვას მიექცა მეტი ყურადღება. სისტემატიურად იწვევა მოჯამაგირეთა კრებები, სადაც კეთდება მოხსენებები სხვადასხვა საჭირბოროტო საკითხებზე. მიწა-ტყის კავშირის წევრ გლეხებს გამოუწერათ ჟურნალ-გაზეთები. საგარეჯოს სახ. თეატრში დასასწრებლად ყოველ ფასიან წარმოდგენებზე მოჯამაგირეებს ურიგდებათ უფასო ბილეთები. გამოიცა სპეციალურად მოჯამაგირეთათვის კედლის გაზეთი. ადგილკომმა მანავის სამკითხველოში მოაწყო მოჯამაგირეთა კუთხე.

ალ. ბედიაშვილი.

საგარეჯო, გარე - კახეთი

გაადიდეთ თანამშრომელთა რიცხვი

საგარეჯოს თემის მცხოვრებთა რიცხვი 2.500 მდე აღწევს. ამათ საჭიროებას ემსახურება აღმასკომი, რომელშიაც მსახურებს ორი თანამშრომელი: აღმასკომის მდივანი და საქმის მწარმოებელი. ესენიც ჯერ - ჯერობით გამოუცდელნი არიან და ამის გამო გლეხობას ხშირად მთელი დღის განმავლობაში უხდება ლოდინი საჭირო საქმის შესასრულებლად.

ზრინკა.

—:—

სოფლის ქრონიკა

— **საავადმყოფო.** კავთისხევში დამთავრდა საავადმყოფოს აგება. ამჟამად სწარმოებს მისი მოწყობა.

— **სკოლა.** სოფ. ბზუბზოში (აფხაზეთშია) გლეხებმა ააგეს სკოლის შენობა.

— **ნიგვზის მოსავალი.** თელავის მაზრაში წელს ნიგვზის არაჩვეულებრივი მოსავალია.

ჩაი. ამჟამად იკვლევენ ნიადაგს სამეგრელოში ჩაის ახალი პლანტაციების გასაშენებლად.

— **მეფუტკრეობა.** ზემო - აჭარაში მეფუტკრეობის საქმის გასაძლიერებლად გლეხებს სესხად მიეცემათ 20.000 მანეთი.

— **მესაქონლეობა.** ციხისჯვარში არსებული მესაქონლეობის კურსები დაამთავრა 25 კაცმა.

— **ტყეების გაშენება.** ახალქალაქის და ახალციხის მაზრებში შეუდგენ ახალი ტყეების გაშენებას.

— **მერძევეთა არტელი.** თელეთის რაიონში დაარსდა მერძევეთა არტელი, რომელმაც გადასწყვიტა თავის რძის ნაწარმოების დამამზადებელი ქარხანა.

— **რადიო.** მარტყოფში (თბ. მაზრა) მოეწყო რადიო - მიმღები სადგური.

მუშათა ცხოვრება

ოზურგეთის აბრეშუმის ფაბრიკაში

გასული წლის ოქტომბერში ქ. ოზურგეთში გაშენდა აბრეშუმის სახვევი ფაბრიკა, რომლის ნაწარმოები საღდება საბჭოთა კავშირის ბაზარზე. ქარხანა მოთავსებულია ქალაქის მახლობლად. აქვე ამჟამად შენდება და ახლო მომავალში დამთავრდება მუშათა საცხოვრებელი ბინები.

ფაბრიკა შესდგება ორ მთავარ განყოფილებისაგან: სართავი და სახვევი განყოფილება. სართავ განყოფილებაში სწარმოებს აბრეშუმის პარკუჭების ხარშვა და ხვევა, რის შემდეგ მასალა გადაიცემა მეორე განყოფილებაში გასასინჯად და ასაწონად. ამის შემდეგ აბრეშუმი იფუთება პატარა შეკვრად და ნაწილი ამ შეკვრების გადადის სახვევ განყოფილებაში აბრეშუმის სრულად დასამზადებლად დანარჩენი კი დაუხვეველი აბრეშუმი იგზავნება თბილისის აბრეშუმის სართავ ქარხანაში.

დაუხვეველი აბრეშუმი გადააქვთ სართავ განყოფილებაში, სადაც აშრობენ, ახვევენ კოჭებზე და გადასცემენ საბრუნავ დაზგებზე, სადაც კეთდება კოჭები და ამნაირად დამზადებული აბრეშუმი იგზავნება მოსკოვის აბრეშუმის ტრესტში.

სართავ განყოფილებაში მუშაობს 100 მუშა ქალი. მუშაობა რთულია, მაგრამ საინტერესო. ქარხნის გამგე ამხ. ილარიონ კალანდაძე და მისი თანაშემწე ამხ. ბაბაევი არ ზოგავენ თავის ძალას აბრეშუმის ხარისხის გაუმჯობესებისათვის და შრომის ინტენსივობის ასაწევად. მუშებიც დიდის პატივისცემით ეპყრობიან ხსენებულ ამხანაგებს.

ქარხანაში მუშაობა სწარმოებს ორ ცვლად. მუშათა საერთო რიცხვი უდრის 459. ყველა მათგანი ქალები არიან.

შრომის დისციპლინა საერთოდ სათანადო სიმაღლეზე სდგას. მაგრამ ხანდახან მაინც აქვს ადგილი სიმულიაციას. ამ მოვლენას ქარხკომმა უკვე მიაქცია ყურადღება და მუშა ქალთა დახმარებით მიიღო ზომები ამ ნაკლის გამოსასწორებლად.

ქარხანა ამჟამად ამზადებს 50 ფუთ დახვეულ აბრეშუმს. მალე დამთავრდება ქარხნის ორი ახალი განყოფილება, რომელშიც დაიდგება 72 ტაზტი. ნედლი მასალით ქარხანა უზრუნველყოფილია. ქარხნის ეზოში შენდება დაზგების ასამუშავებელი 75-დან 150 ცხენის ძალიანი ელექტრო სადგურები.

შედგენილია პროექტი წყალსადენის გამოსაყვანად „გურიელის წყლიდან“. ეს წყალსადენი გამოყენებული იქნება საორთქლე მანქანისათვის და სართავ დაზგებისათვის. ამჟამად ქარხნისათვის საჭირო წყალს ურმით ეზიდებიან, რაც იწვევს ბევრ ზედმეტ ხარჯებს და აფერხებს წარმოებას. საქ. ს. მ. უ. ს. საამშენებლო განყოფილებამ საჩქაროდ უნდა მოაგვაროს წყალსადენის გამოყვანის საკითხი

რაც შეეხება მუშებში კულტმუშაობას, უნდა ითქვას, რომ იგი მოისუსტებს. წიგნთსაცავი არ არის საკმაოდ მომარაგებული ქართულ წიგნებით. სულ 40 წიგნი ირიცხება სამკითხველოში. კლუბიც დღემდე არ არსებობს. ქარხკომის სიტყვით, ახლო მომავალში შეუდგებიან კლუბისათვის შენობის აგებას.

გარდა ამისა, როგორც მუშები ამბობენ, პირველ იანვრიდან დღემდე მხოლოდ ორჯერ ყოფილა საწარმოო კომისიის სხდომა. ეს დიდ ნაკლად უნდა ჩაითვალოს საწარმოო კომისიის მუშაობაში.

საერთოთ მუშებში პროფესიონალური მუშაობა მოისუსტებს. ქარხკომმა გადამჭრელი ზომები უნდა მიიღოს საწარმოო კომისიების და მუშებში კულტურულ მუშაობის გასაცხოველებლად.

რ. არზუმანოვი.

—:—

თავაშვებული სახლის პატრონი

(საბინაო პროკურორის საყურადღებოდ)

მდგმურების ყოველგვარი გაჭირვება და მით უმეტეს სიკვდილი, სიხარულით ავსებს ზოგიერთ სახლის პატრონებს.

ამ მხრივ ყველას გადააჭარბა ბელინსკის ქუჩაზე მდებარე № 48 სახლის პატრონმა, არჩილ ზაქრაძემ, რომელიც იმავე დროს საბჭოთა მოსამსახურეთაც ითვლება.

მის სახლში სცხოვრობდა რკინისგზის საშემოსავლო ნაწილის მოსამსახურე შალვა ხაინდრავა, რომელიც ჭლექით გარდაიცვალა ცემში. ცხედარი ჩამოსვენებულ იქნა ბელინსკის ქუჩაზე № 48 და 15 ამა სექტემბერს დაასაფლავეს. გარდაცვალებულის დედა და და თავზე ადგეს ავადმყოფს და შემდეგ მიცვალებულს.

ამ მდგომარეობით, ისარგებლა სახლის პატრონმა, შეცდომაში შეიყვანა ადმინისტრატიული განყოფილება და სცდილობდა განსვენებული შალვა ხაინდრავას დედის და დის გამოსახლებას.

ადმინისტრატიულმა განყოფილებამ მალე შეიტყო გაუმაძღარი სახლის პატრონის ხრიკები და სასწრაფო განკარგულება მისცა პირველ უბნის მილიციის უფროსს, რათა ბინა დარჩეს ხაინდრავას დას და დედას.

სახლის პატრონი მაინც არ ისვენებს. ემუქრება გაჭირვებაში და მწუხარებაში მყოფ მდგმურებს. ნუ თუ ასეთი პირები დასაშვები არიან სამსახურში. ნუ თუ არ არსებობს საშუალება მათი თავხედობის ასალაგმავად?

შალვა ხაინდრავას დედას და დას არავითარი საშუალება არა აქვთ სხვა ბინის შოვნის. ისინი იმყოფებოდენ განსვენებულის კმაყოფაზე და ეს ბინაც მათ დარჩებათ არსებული კანონის მიხედვით, მაგრამ საჭიროა სახლის პატრონის თავდასხმისაგან მათი დაცვა.

აღშფოთებული.

—:—

სამგლოვიარო საღამო

სამშაბათს, 20 სექტემბერს, საღამოს 7 საათიდანვე გემოკვების კავშირის (ყოფ. მუშათა ცენტრ.) კლუბში აუარებელმა ხალხმა მოიყარა თავი. ბაღის შესასვლელი კარები წითელი დროშებით და შავი არშიებით იყო მორთული. მშრომელი მასა იხსენებს პროლეტარიატის ბელადების, 26 კომუნარის ტრაგიკულად დაღუპვას.

8 საათიდან, სკამები ყველას დაეკავებინა და აუარებელი ხალხი კიდევ ფეხზე იყო გაჩერებული. საზაფხულო სცენა სისხლის ფერი დროშებით იყო მორთული. სცენაზე იდგა ორი კათედრა. პირველზე ეწერა 1918, ხოლო მეორეზე 1927 წელი. [illegible] პირველი შეხედვითვე მიხვდებოდა, რომ დღეს არის ინგლისელების მიერ ვერაგულად დახოცილ კომუნართა 9 წლის თავი.

სამგლოვიარო კრება მოკლე სიტყვით გახსნა ამხ. ვანო სტურუამ, რის შემდეგ ვ. ფალიაშვილის დირიჟორობით შესრულებულ იქნა სამგლოვიარო ჰიმნი. შემდეგ სიტყვა წარმოსთქვა ამხ. უისოვსკიმ, რომელმაც გააცნო დამსწრეთ 26 კომუნარის საზიზღარი მკვლელობის ამბავი.

მეორე სიტყვა წარმოსთქვა ა.-კ. ცაკის თავმჯდომარემ ამხ. აღამალი-ოღლიმ, რომელიც შეეხო დაღუპულ კომუნართა დიად ღვაწლს მშრომელთა მონობისაგან განთავისუფლებისათვის.

უკანასკნელად კომუნარების ხსოვნის აღსანიშნავად საკუთარი ლექსი წაიკითხა კალინინის სახელობის ქარხნის მუშამ—შაქრო ნავთლუღელმა, რომლის შემდეგ კრება დაიხურა ინტერნაციონალით.

კრების შემდეგ უჩვენეს კინო „9 იანვარი“. ხალხი კმაყოფილი დაიშალა.

მუშკორი ლადო.

—:—

აგვიკლეს ღორებმა

მე-11-ტე უბანში, რუსთაველის ქუჩაზე № 24-ში სცხოვრობს მოხუცი ქალი ვინმე ალათია, რომელსაც მოშენებული ჰყავს ღორები. ამავე უბნის მილიციამ რამოდენიმეჯერ წინადადება მისცა მოქ. ალათიას, რომ მოეშორებია ღორები და მოესვენებია მცხოვრებლები, მაგრამ ალათიამ ყურადღებაც არ მიაქცია მილიციის წინადადებას.

ღორებმა აიკლეს რუსთაველის ქუჩის მცხოვრებლები. 19 სექტემბერს მოქ. ალათიას ღორებმა მეზობლის საქათმოდან მოიტაცეს ქათამი, რასაც შედეგათ მოჰყვა მეზობლებს შორის ჩხუბი და აყალ-მაყალი.

ეს პირველი შემთხვევა არ არის. თითქმის ყოველ დღე მეორდება ასეთი მაგალითები.

დროა მილიციამ მიაქციოს ყურადღება მოქ. ალათიას თავაშვებულობას.

მეზობელი.

ამხ. ორჯონიკიძის სახ. მუშათა კლუბში

20 სექტემბერს, ორჯონიკიძის სახელობის კლუბში, 1918 წელს ინგლისელების მიერ ბაქოს 26 კომუნარის დახვრეტის შესახებ მოხსენება გააკეთა ამხ. ვ. ვაშაკიძემ, რომელმაც ვრცლად გააცნო დამსწრეთ ინგლისის მთავრობის პოლიტიკა ამიერ - კავკასიაში და დაწვრილებით, მუსავატების ესერების და მენშევიკების საქციელი 1918 წელს. მომხსენებელი შეეხო საერთაშორისო მდგომარეობას და აღნიშნა, რომ ბურჟუაზიული სახელმწიფოები კბილებს ილესავენ საბჭოთა კავშირის და საერთოდ მუშათა კლასის წინააღმდეგ. ისინი აწყობენ ათასნაირ პროვოკაციებს და სცდილობენ მთელ მსოფლიოში ერთად - ერთი პროლეტარული სახელმწიფო ჩაითრიონ მომავალი იმპერიალისტურ ომში.

ამიტომ, მომხსენებელი მოუწოდებს დამსწრეთ ჩაებან თავდაცვა - ავიაქიმის საზოგადოებაში და გააძლიერონ საბჭოთა კავშირის თავდაცვა.

მოხსენების შემდეგ სასულე ორკესტრმა შეასრულა „ინტერნაციონალი“.

დასასრულ მოცეკვავე ეთარიანის ხელმძღვანელობით გაიმართა ცეკვა, რომელშიც მონაწილეობას ღებულობდენ ბავშვები 5-დან 14 წლამდე.

საღამო საუცხოვოდ ჩატარდა.

მუშკორი—ლევ. გუნია.

—:—

ვინ შესცდა?

(წერილი ქუთაისიდან)

ქუთაისში ს. მ. უ. ს. ტრესტების სავაჭრო კანტორაში მიმდინარე წლის მარტში მოხდა შტატების შემცირება და თანამშრომლების გადაჯგუფება. ამ საქმის გამო დაინიშნა კომისია, რომელსაც დავალებული ჰქონდა შემცირების წესიერად ჩატარება.

დათხოვნილთა რიცხვში, სხვათა შორის, მოჰყვა საქმის მწარმოებელი მ. ქამაროვას ქალი, რომელმაც უკანონოდ ჩასთვალა სამსახურიდან თხოვნა და საჩივარი შეიტანა შრომის სასამართლოში.

შრომის სასამართლომ, ქამაროვას ქალის სამსახურიდან დათხოვნა სცნო უკანონოთ და დაადგინა—მიეცეს მას 2 თვის ჯამაგირი და აღდგენილი იქნას თავისი უფლებებში.

ამგვარად, ვიღაცის დაუდევრობის გამო, წარმოებას მოუხდა ზედმეტი ხარჯების გაღება, რაც ყოვლად დაუშვებელია.

ვინ შესცდა? შტატის შემამცირებელი კომისია თუ შრომის სახალხო სასამართლო, რომელმაც დაიცვა პროფკავშირის წევრის უფლებები?

ჩვენის აზრით, შესცდა კომისია, რომელმაც ზედმეტი ხარჯები მიაყენა ჩვენს წარმოებას.

ასეთ მოვლენებს მომავალში მაინც უნდა მიექცეს სათანადო ყურადღება.

ლ. ირაკლიშვილი.

ავაშენოთ ბავშვთა კერა

არასოდეს მუშათა რაიონებში არ ყოფილა სწავლა - განათლების იმდენი მსურველი, რამდენიც არის დღეს. ყველა მშობელი სცდილობს თავისი შვილი დროით მიაბაროს სკოლაში, რათა ბავში არ ჩამორჩეს სწავლას. ლენინის უბანში ამჟამად არსებობს 4 საბავშო კერა, სადაც ირიცხება 300-მდე ბავში, მაგრამ ბავშთა რიცხვი იმდენად დიდია, რომ ეს კერები ვერ აკმაყოფილებენ მოთხოვნილებას. წელს თვითეულ კერას მისაღები დარჩა 100—150 ბავში. ეს გარემოება დიდ უკმაყოფილებას იწვევს რკინისგზელ მუშებში.

ყველა მშობელს უნდა თავისი შვილი მოათავსოს კერაში, რადგან თუ ბავში კერას არ გაივლის, ისე მას არ ღებულობენ პირველ დაწყებით სასწავლებელში, ხოლო არსებული კერები კი, როგორც ვსთქვით, საკმარისი არ არის.

ამ გარემოებას აუცილებლად ყურადღება უნდა მიაქციოს ლენინის რაიონის ხელმძღვანელმა ორგანოებმა და იშუამდგომლონ განათლების კომისარიატის წინაშე, რათა ბავშთა კერისათვის ლენინის უბანში აშენებული იქნეს სახლი.

ნ. გვრიტიშვილი.

რკ.-გზ. წარმომადგენელთა ყრილობის შედეგები

მოსკოვში დაამთავრა მუშაობა საბჭოთა კავშირის რკინისგზების წარმომადგენელთა ყრილობამ.

ყრილობიდან დაბრუნებულმა ა.-კ. რკ. გზ. წარმომადგენლებმა განაცხადეს, რომ ყრილობის ამოცანა მდგომარეობდა გზებზე ანგარიშთწარმოების და აღრიცხვის საქმის განმარტივებაში.

ყრილობის მუშაობას საფუძვლად დაედო შრომები გზათა კომისარიატის კოლეგიის წევრის ამხ. **გრუნინის** ხელმძღვანელობით გამოყოფილი კომისიისა, რომელმაც 5 თვის განმავლობაში შეისწავლა ეს საქმე გერმანიის რკინისგზებზე, ამასთანავე დეტალურად გამოიკვლია იგი ჩვენს გზებზე და მიღებულ მასალების მიხედვით გამოიმუშავა მთელი რიგი ღონისძიებები.

შედეგად ამ მუშაობას ის მოჰყვა, რომ ყველა რკ. გზებზე არსებული ანგარიშთწარმოების ფორმები საშუალოდ იკვეცება 63,6 პროცენტით, ქაღალდის ხარჯვა—50,6 პროც. და შტატი 28.600 კაცით. აქედან მიღებული საერთო ეკონომია აღემატება 30 მილიონ მანეთს წელიწადში.

ამასთანავე ანგარიშთწარმოების და აღრიცხვის ახალი სისტემის შემოღებით, გზების ადმინისტრატიულ-ტეხნიკური პერსონალი თავისუფლდება ზედმეტ სამუშაოებებისაგან და მას საშუალება ეძლევა უხელმძღვანელოს საქმეს არა ქაღალდებით მიღებულ ცნობებით, არამედ საკუთარი დაკვირვებებით და საქმის უშუალო გაცნობით.

ახალი სისტემით ცალკე გზების უბნების ხელმძღვანელები იღებენ მტკიცე წლიურ ხარჯთაღრიცხვებს და ეძლევათ უფლება უშუალოდ დასდონ ხელშეკრულებები და აწარმოონ შესყიდვები 1.000 მანეთის ფარგლებში. გაფართოებულია სადგურების ადმინისტრაციის უფლებებიც.

ანგარიშთწარმოების ახალი მარტივი ფორმები საშუალებას იძლევა შედგენილ იქნეს ანგარიშები 20—30 დღის განმავლობაში, თვის დამთავრების შემდეგ (წინად საჭირო იყო ამისთვის 2—3 თვე).

ხდება მთელი საანგარიშო აპარატის ცენტრალიზაცია. ანგარიშთწარმოების ცალკე განყოფილებებში სრულიად ისპობა და იქნება ერთი მთლიანი სახელმძღვანელო აპარატი.

ახალი რეფორმა ცხოვრებაში შედის ა. წ. 1 ოქტომბრიდან.

ყრილობის დადგენილებათა ცხოვრებაში გასატარებლად შექმნილია განსაკუთრებული კომისია.

ამხ. სმირნოვის დაბრუნება

გუშინ დილით ბათომიდან თბილისში დაბრუნდა რუს. სახ. კომისართა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე და მიწათმოქმედების სახალხო კომისარი ამხ. **სმირნოვი**, რომელიც გამგზავრებული იყო ჩაქვის ჩაის პლანტაციების დასათვალიერებლად.

ამხ. სმირნოვმა დაათვალიერა ჩაქვის სახალხო მამული, გლეხთა მეურნეობანი, ბათომი და მისი მიდამოები. ჩაქვაში ამხ. სმირნოვი გაეცნო ჩაის დამზადების პროცესებს, ჩაის გადამუშავებას, ჩაქვაში ჩატარებულ აღმშენებლობას, ჩაის მოვლას და სხვა

გლეხთა მეურნეობების დათვალიერების დროს ამხ. სმირნოვს საუბარი ჰქონდა გლეხებთან, რომლებსაც ეკითხებოდა: კმაყოფილი არიან თუ არა ისინი ჩაიზე არსებულ ფასით, აგრონომიული დახმარებით, რამდენად მომგებიანად სთვლიან მაღალ კულტურაზე გადასვლას და სხვა.

ჩაქვაში ამხ. სმირნოვმა მოისმინა სააქციო საზ-ბა „საქართველოს ჩაის" გამგეობის და ინსტრუქტორების მოხსენება ჩატარებული მუშაობის შესახებ.

„საქართველოს ჩაის" მუშაკებთან საუბრის დროს ამხ. სმირნოვმა აღნიშნა, რომ უკანასკნელი წლების განმავლობაში „საქართველოს ჩაის" მეტად დიდ შედეგებისათვის მიუღწევია ჩაის გადამუშავების და გაუმჯობესების საქმეში.

ჩაქვიდან ამხ. სმირნოვი გაემგზავრა აჭარის-წყალის ჰიდრო-ელექტრო სადგურის დასათვალიერებლად.

გუშინ საღამოს ამხ. სმირნოვი გაემგზავრა კახეთში, სადაც გაეცნობა მევენახეობა-მეღვინეობის მდგომარეობას.

გურიის ნავთი

გუშინ 22 სექტემბერს თბილისში დაბრუნდა გურიის ნავთიან ადგილების სამუშაოთა დასათვალიერებლად მივლენილი სამთო-ზედამხედველობის უფროსი ინჟ. **ა. კანდელაკი**, რომელმაც გურიის ნავთიან ადგილებზე წარმოებულ მუშაობის შესახებ ჩვენს თანამშრომელს აცნობა შემდეგი: გურიის ნავთიან ადგილების დამუშავება წარმატებით მიმდინარეობს. უკვე ორი კვირაა ჭა-ბურღილის ამოღება შეჩერებულია. ამ ხნის განმავლობაში სწარმოებდა უკვე გათხრილ ჭა-ბურღილის ამოცემენტება 184 მეტრის სიმაღლეზე. ცემენტის კედლის ამოყვანა დამთავრდება ამ დღეებში, შემდეგ გაგრძელებული იქნება ჭა-ბურღილის თხრა, რის დროსაც ჭაში ჩაშვებული იქნება 26 დიუმიანი მილები.

მეორე ჭა-ბურღილის ამოღება ჯერ-ჯერობით შეჩერებულია. ამჟამად სწარმოებს ამ ჭის ამოსაღებ ადგილის გეოლოგიური გამოკვლევა, რომელსაც ხელმძღვანელობს გეოლოგი **ილინი**. გამოკვლევის დამთავრებისთანავე დაიწყება მეორე ჭა-ბურღილის გათხრაც. პირველი ჭა-ბურღილის მდგომარეობა სავსებით დამაკმაყოფილებელია. უკვე მიღებულ ნიშნების მიხედვით შესაძლებელია ვიფიქროთ რომ ნავთის საშადრევანო ფენები ახლოა.

თავდაცვა ავიაქიმის საზ.-ის გამოკვლევა

საბჭოთა კავშირის მ. გ. ინსპექციის სახალხო კომისარიატის დავალებით, ა.-კ. მ.-გ. ინსპექცია ამჟამად აწარმოებს თავდაცვა-ავიაქიმის ორგანიზაციების ფინანსიურ მდგომარეობის და მათ მიერ თანხების ხარჯვის გამოკვლევას, იმ მიზნით, რომ გამორკვეულ იქნეს მიზანშეწონილად სწარმოებს თუ არა თანხების ხარჯვა.

გამოკვლევის ამოცანას შეადგენს აგრეთვე სამეურნეო ხარჯზე მყოფ ორგანიზაციებისა და რაზმების მუშაობასა და ამ მუშაობის ნაყოფიერებასთან გაცნობა. ამავე დროს გამორკვეული უნდა იქნეს შტატების შესაბამად გაწეული ხარჯები და აგრეთვე სხვა ორგანიზაციული ხარჯები. გამოკვლევის შემდეგ განზრახულია ღონისძიების მიღება აპარატის მუშაობის გასაიაფებლად.

წარმომადგენლობათა გაუქმება

ა.-კ. მ.-გ. ინსპექციამ დაადასტურა „ცენტროპრომბიზოლ"-ის თბილისის განყოფილების ლიკვიდაცია. ამ მიზნით წინადადება მიეცა ვაჭრობის სახალხო კომისარიატს დაუყოვნებლივ დამუშაოს და მ.-გ. ინსპექციას შეუთანხმოს საკითხი ამ განყოფილების ფუნქციების ერთ-ერთ ადგილობრივ ორგანიზაციისათვის გადაცემის შესახებ.

„ტეჟე"-ს თბილისის განყოფილების მიმართ ძალაში რჩება დადგენილება თბილისში მხოლოდ ერთი საბითუმო-საცალო მაღაზიის დატოვების შესახებ.

საჭიროდ არის აგრეთვე ცნობილი დაუყოვნებლივ იქნეს ზომები მიღებული სენაკის გორის და ზუგდიდის ალმასკომის და ქიათურის მუშკოოპის, სურამის, აღბულაღის, სიღნაღის, ზუგდიდის, ახალციხის და ბორჯომის ერთიან მომხმარებელ საზოგადოებათა წარმომადგენლობის სალიკვიდაციოდ.

საქართველოს ცაკში

გაცემული პენსიების და დახმარებების რაოდენობა

გასულ საანგარიშო თვეში (აგვისტოში) სრ. საქართველოს აღმასრულებელი კომიტეტის სოციალურ უზრუნველყოფის განყოფილებამ თავის მთავარ სამმართველოდან დამსახურებულ მეცნიერებს, მწერლებს, მსახიობებს, სხვადასხვა სახის საზოგადოებებს და ომის და შრომის ინვალიდებს პენსიების და დახმარებების სახით დაურიგა ჩვიდმეტი ათას ხუთას ორმოცდა ორი მანეთი და 20 კაპ. (17.542 მ. 20 კ.).

საინვალიდო სახლების შესანახად

თბილისში არსებული საინვალიდო სახლების შესანახად საქ. ცაკის სოციალურ უზრუნველყოფის განყოფილებამ აგვისტოში დახარჯა 1.039 მან. და 82 კაპ.

ომის და შრომის ინვალიდებს

საქართველოს ცაკის სოციალურ უზრუნველყოფის განყოფილების თბილისის ქვედა განყოფილებამ ქალაქ თბილისში და მის მაზრაში მცხოვრებ ომის, შრომის ინვალიდებს და ნივთიერად გაჭირვებულ მდგომარეობაში ჩავარდნილ პირებს გასულ საანგარიშო თვეში (აგვისტოში) პენსიების სახით დაურიგა — 3.300 მანეთი. ერთდროული დახმარების სახით კი 1.700 მანეთი.

გორის აღმასრულებელი კომიტეტის სოციალურ უზრუნველყოფის განყოფილებაში

საქ. ცაკის სოციალურ უზრუნველყოფის განყოფილებაში მიღებული ცნობით, გორის სამაზრო აღმასრულებელი კომიტეტის სოციალურ უზრუნველყოფის განყოფილებამ მაისში, ივნისში და ივლისში პენსიების და დახმარების სახით დაურიგა ომის, შრომის ინვალიდებს და ნივთიერად გაჭირვებულ მდგომარეობაში ჩავარდნილ პირებს 1.353 მანეთი და 51 კაპ.

განათლების სახალხო კომისარიატიდან გადმორიცხულ პენსიონერებს

საქ. ცაკის სოციალურ უზრუნველყოფის განყოფილებამ იმ პირებს, რომლებიც გადმორიცხულია განათლების სახალხო კომისარიატიდან ამ თვეში (სექტემბერში) პენსიების სახით დაურიგა — 2.391 მანეთი და 50 კაპ.

ბრძოლა წყალდიდობასთან

წყალთა მეურნეობის სამმართველოს ინჟ. **მჭედლიშვილმა** წარუდგინა ბათომსა და მის მიდამოებში წყალდიდობის თავიდან ასაცილებლად შემუშავებული გეგმა. გეგმის მიხედვით წყალდიდობის შემდგომში თავიდან ასაცილებლად მიღებული უნდა იქნეს შემდეგი ზომები: აიკრძალოს ტყეების გაჩეხვა მდინარე ბარცხანისა და მეჯინა-სუს სათავეების მიდამოებში. იმ მდინარეების ნაპირებზე, სადაც გაჩეხილია ტყე, გაშენებული იქნეს ახალი ტყეები. მოეწყოს ამ მდინარეების რამდენიმე ხელოვნური შტო, წყალდიდობის შემთხვევაში მისი ძლიერების შესუსტების მიზნით.

ამას გარდა, გეგმით გათვალისწინებულია მდინარე ქოროხის და კორონისწყლის გასწვრივ დიდი არხების გაყვანა, რომელთა საშუალებით საგრძნობლად შემცირებული იქნება აღნიშნულ მდინარეების ძლიერება და ბათომი სავსებით დაცული იქნება წყალდიდობის საშიშროებისაგან. აგრეთვე გაგანიერებული იქნება მდინარეების კალაპოტი და ნაპირები, გამაგრებული იქნება ბუნებრივი სიმაგრეებით (ტყის გაშენებით და სხ.).

საგლეხო სესხი

მესამე საგლეხო სესხის 1927 წ. ობლიგაციების პირველ გვერდზე დაბეჭდილია შვიდ ნიშნიანი ციფრები, ხოლო მეორე გვერდზე რვა ნიშნიანი.

რადგანაც აღნიშნულ ციფრების უთანასწორობას შეუძლია გამოიწვიოს რაიმე ეჭვი და გაუგებრობა ობლიგაციის სინამდვილეში მესამე საგლეხო სესხის მფლობელთა შორის, საქართველოს ფინანსთა სახალხო კომისარიატი განმარტავს, რომ მეორე გვერდზე დაბეჭდილ ნულს არა აქვს არავითარი მნიშვნელობა, და საზოგადოთ, ობლიგაციის ნუმრების აღრიცხვაში არ მიიღება წინ დაბეჭდილი ნულები, არამედ მისაღებია მხოლოდ წინა ნულების შემდეგი ციფრები.

წყალდიდობის შემდეგ

კომისიის დაარსება

უკანასკნელ წყალდიდობის მიერ აჭარისტანის მოსახლეობისა და სახელმწიფოს დაწესებულებებისათვის მიყენებულ ზარალის რაოდენობის გამოსარკვევათ და წყალდიდობის შედეგებთან საბრძოლველ ღონისძიებათა და საშუალებათა გამოსანახათ, აჭარისტანის სახკომსაბჭოსთან დაარსდა საგანგებო კომისია შემდეგი შემადგენლობით: თავმჯდომარეთ—სახკომსაბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ამხ. **ლ. გამყრელიძე**, წევრები: ამხ. **ა. ჟუჟიკაშვილი, ჯინჭარაძე, გოგიტიძე, ბრელიძე, ზ. ლორთქიფანიძე** და ინჟ. **ტეპენკიჩიევი**.

ასეთივე კომისიები დაარსდა აჭარისტანის ყველა სამაზრო აღმასკომებთან. კომისიებს დაევალათ წყალდიდობისა და ნიაღვრებისაგან მაზრების მოსახლეობისათვის მიყენებულ ზარალის რაოდენობის გამორკვევა და მათთვის სასწრაფო დახმარების აღმოჩენა. კომისიებს დაევალათ მჭიდრო კავშირი დაიჭირონ ცენტრალურ საგანგებო კომისიასთან და ყოველ სამი დღის განმავლობაში რეგულიარულათ მიაწოდონ მას დაწვრილებითი ცნობები და მასალები ზარალის და უბედურ შემთხვევების შესახებ.

აჭარის-წყალის ჰიდრო - ელსადგურისთვის წყალდიდობისაგან მიყენებულ ზარალის გამოსარკვევათ და დაზიანებულ ახაგების აღსადგენათ სახკომსაბჭოს მიერ მოწვეულია სპეციალურ-ტეხნიკური კომისია. კომისიაში შედიან: პროფ. **ევდოკიმოვ-რაკოტოვსკი** (თავმჯდომარე), წევრები ინჟ. **მაშევსკი, ავდულიანი** და **ტეპენკიჩიევი**.

ზარალი

ბათომი, 21 სექტემბ. გუშინ აჭარისტანის სახკომსაბჭოს თავმჯდომარის მოადგილის ამხ. **გამყრელიძის** თავმჯდომარეობით შესდგა ცენტრალური რესპუბლიკანური კომისიის სხდომა.

მიწადმოქმედების სახ. კომისარიატის აგრონომიულ კომისიის მოხსენების თანახმად, 4—6 სექტემბრის წყალდიდობისაგან სასოფლო-მეურნეობისათვის მიყენებული ზარალი მთელ აჭარისტანში აღწევს 571.000 მანეთს. აქედან, ხათესები, სამეურნეო ნაშენები და შინაური ხაქონელი დაღუპულია — 478.000 მანეთის ღირებულების. აჭარისტანის საბჭოთა მეურნეობები დაზარალდენ — 13.390 მანეთით. ამრიგად სასოფლო მეურნეობისათვის მიყენებული ზარალი უდრის 491.390 მანეთს. ამაში არ შედის ზარალი, რომელიც მოუვიდა „საქართველოს ჩაის" ჩაქვისა და სალიბაურის მამულებში. ას ზარალს ცალკე იკვლევენ.

გარდა ამისა, უფრო დაზარალებულ გლეხობის (50 კომლის რაოდენობით) გადასასახლებლად საჭიროა 80.000 მანეთამდე. ზარალის საერთო ჯამი, რომელიც მოუვიდა სასოფლო მეურნეობას, ამრიგათ უდრის 571.000 მანეთს.

აჭარისტანის სამრეწველო დაწესებულებანი შედარებით უფრო უმნიშვნელოდ დაზარალდენ, რადგან თავიდანვე იყო მიღებული ზომები წარმოებათა დასაცავად და მასალების შარაგის გადასარჩენად. საქარხნო - საფაბრიკო წარმოებათა საერთო ზარალი აღწევს 34.000 მანეთს. ამაში შედის აგრეთვე ყველა ის ხარჯები, რომელიც მოხმარდა წარმოებათა ქონების დაცვასა და გადარჩენას.

გარდა ამისა, ხე-ტყის დამამუშავებელ ცენტრალურ ქარხანას წყალდიდობამ მიაყენა 3.175 მანეთის ზარალი, ცინკისა და ტყავის ქარხნებს კი 1.800 მანეთის. ამას ემატება აგრეთვე 6.000 მანეთად ღირებული მექანიკური ხე-ტყის საშვები, რომელიც დოლაგანში წაიღო წყალმა.

ამრიგად, მთელი ზარალი, რომელიც მოუვიდა აჭარისტანის მრეწველობას აღწევს 45.000 მანეთს (ადს).

ა.-კ. რკ. გზის საბრუნავი თანხის გადიდება

მოსკოვიდან დაბრუნდა ა.-კ. რკ. გზ. საფინანსო - საანგარიშო განყ. უფროსის თანაშემწე ამხ. **ე. ნუროვი**, რომელიც გამგზავრებული იყო გზათა კომისარიატსა და ა.-კ. რკ. გზებს შორის საფინანსო ურთიერთობის მოსაწესრიგებლად. ამასთანავე ამხ. ნუროვმა ცენტრში წარსადგენად თან წაიღო ა.-კ. რკ. გზ. 1927—28 წლის ხარჯთაღრიცხვა

ამხ. ნუროვმა ჩვენს თანამშრომელს აცნობა, რომ საფინანსო ურთიერთ დამოკიდებულება ამჟამად სავსებით მოწესრიგებულია. გზათა კომისარიატმა აუცილებელ საჭიროდ სცნო ა.-კ. რკ. გზების საბრუნავ თანხის გადიდება 2.500.000 მანეთით.

ეს საშუალებას გვაძლევს გავაუმჯობესოთ გზების ექსპლოატაციისათვის საჭირო მასალების დამზადება.

ამასთანავე მიღწეულია შეთანხმება გზებისათვის 11 ოქტომბრიდან საბანკო კრედიტების გადიდების შესახებ.

საბანკო კრედიტი ა.-კ. რკ. გზებისათვის 1 ოქტომბრიდან გადიდებული იქნება 1.500.000—1.800.000 მანეთამდე.

რაც შეეხება ა.-კ. რკ. გზ. 1927—28 წლის ხარჯთაღრიცხვას, იგი ამჟამად დასამტკიცებლად წარდგენილია უმაღლეს ორგანოებში.

კრედიტები მიღებულ იქნება იმ ანგარიშით, რომ წლის განმავლობაში შესაძლებელი გახდეს:

9.540.000 მგზავრის გადაყვანა, 5.397.000 ტონა ტვირთის გადაზიდვა, 600.000 ცალი შპალის 80 კილომეტრის მანძილზე რელსების და 3.500 სატელეგრაფო ბოძების გამოცვლა; 72 ორთქლმავლის, 79 სახალხო და 5.380 საქონლის ვაგონების კაპიტალური შეკეთება.

საბოლოოდ ხარჯთაღრიცხვა დამტკიცებული იქნება 1 ოქტომბრისათვის.

სარენტო გადასახადი

ა.-კ. ცაკმა და სახკომსაბჭომ მიიღეს დებულება ქალაქის მიწებზე სარენტო გადასახადის შემოღების შესახებ. დადგენილების თანახმად, ადგილობრივ საბჭოებს უფლება ეძლევათ შემოიღონ სარენტო გადასახადი გაშენებულ და გაუშენებელ მიწებზე, რომლითაც სარგებლობენ დაწესებულებები, წარმოებები, ორგანიზაციები და კერძო პირები,—იმ შემთხვევაში, თუ ამ მიწების სარგებლობისათვის ზემო მოხსენებულ დაწესებულებებს არ ხდებათ საიჯარო ქირა კომუნალურ მეურნეობის ორგანოების სასარგებლოდ. სარენტო გამოსაღებიდან თავისუფალნი არიან მიწები, რომლის შემოსავალი იბეგრება ერთიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადით და აგრეთვე ის მიწები, რომელნიც დაკავებულია საბავშვო მოედნებით, შრომის სასახლეებით და სხვ. სარენტო გადასახადის გასაწერ ერთეულად ითვლება მიწის ნაკვეთი (გაშენებული ან გაუშენებელი), რომელიც ერთი ან რამოდენიმე პირის უწყებაში იმყოფება. სარენტო გადასახადი გამოანგარიშებული უნდა იქნეს კვადრატიული მეტრების რაოდენობის მიხედვით.

სამკურნალო რაზმები

ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატის ცნობით, ოქტომბრის პირველ რიცხვებში თბილისში დაბრუნდება 5 საექიმო რაზმი, რომლებიც ივლისის შემდეგ მუშაობენ რესპუბლიკის სხვადასხვა მაზრებში. ამ რაზმებს შორის 2 თვალის საექიმო რაზმია, 2 საბებო და ქალთა სნეულების და ერთი სულით ავადმყოფთა სამკურნალო.

თვალის საექიმო რაზმები მუშაობდენ სიღნაღის, ბორჩალოს, რაჭის და შორაპნის მაზრებში. საბებო და ქალთა სნეულების — ახალქალაქის, ქუთაისის და შორაპნის მაზრებში და სამხრეთ - ოსეთში. სულით ავადმყოფობის სამკურნალო რაზმი მუშაობდა თელავის და ოზურგეთის მაზრებში. წინასწარი მიღებული ცნობებით სამკურნალო რაზმებს დიდი აღტაცებით ხვდებოდენ ადგილობრივი მცხოვრებლები. რაზმები მომარაგებული არიან ყოველმხრივ საჭირო იარაღებით და წამლეულობით და ავადმყოფებს უწევენ უფასო საექიმო დახმარებას.

ა.-კ. წყალთა მეურნეობის გამოკვლევა

ა.-კ. მ.-გ. ინსპექციამ დაიწყო ა.-კ. წყალთა მეურნეობის გამოკვლევა. გამოკვლევის ამოცანას შეადგენს შემოწმებული იქნეს ირიგაციაზე გაწეულ ხარჯების და საირიგაციო მოწყობილობათა ექსპლოატაციის შედეგები 25-26 და 26-27 წლის განმავლობაში. გამოკვლევამ უნდა გამოარკვიოს მიზანშეწონილად არის თუ არა შედგენილი გეგმები, რამდენად ტარდება ისინი ცხოვრებაში და იძლევა თუ არა სათანადო ნაყოფს გაწეული ხარჯები. შემოწმებული უნდა იქნეს აგრეთვე 5-წლიანი საპერსპექტივო გეგმის შესადგენად წარმოებული მუშაობის მდგომარეობა და აგრეთვე ის, თუ რამდენად შეესაბამება საოპერაციო გეგმების შესრულება პერსპექტიულ გეგმას. გამოკვლევის პროცესში შესწავლილი იქნება აგრეთვე საორგანიზაციო და ოპერატიული მუშაობის საკითხები, კერძოდ კვლევა-ძიების, პროექტების შედგენის, ფინანსებისა და მასალის მიწოდების, მუშა ხელის და ტეხნიკური პერსონალის საკითხები. გამოკვლევის დამთავრება განზრახულია ა. წ. 15 ოქტომბრისათვის.

ტყის გაშენება

თბილისის აღმასკომის სატყეო-სექციამ თბილისის გარშემო მოშიშვლებულ ადგილებზე ტყის გასაშენებლად მოაწყო რამდენიმე სატყეო სანერგე—ერთი ასეთი სატყეო სანერგე მოწყობილია ფუნიკულიორის ზემო სადგურის ორივე მხარეზე, სადაც სწარმოებს სატყეო ნერგების მოშენება და გამოცდა. ამ სანერგეებში სწარმოებს ისეთი ხეთა ჯიშების საცდელი გაშენება, რომლებიც უფრო შეეგუებიან და გაიხარებენ ტყის გასაშენებლად გამოყოფილ რაიონებში, განსაკუთრებით მამადავითი გორებზე, სადაც ნერგების დარგვა სწარმოებს ვერტიკალურად. ამჟამად სანერგეში დამზადებულია ყირიმის ჯიშის 100,000 ძირი ნაძვი. ეს ნერგები სულ ჩაყრილი იქნება მამადავითის გორების ფერდობებზე და ფუნიკულიორის ზედა მიდამოებში.

ა. სუმბათაშვილი-იუჟინის გარდაცვალების გამო

სუმბათაშვილ - იუჟინის სურათი

სუმბათაშვილ-იუჟინის პანაშვიდის მომწყობ კომისიამ მხატვარ დ. გველესიანს დაავალა სუმბათაშვილ - იუჟინის დიდი პორტრეტის დახატვა.

განზრახულია აგრეთვე გამოიცეს სუმბათაშვილ - იუჟინის პორტრეტები ხალხში გასავრცელებლად.

გამოფენა

სათეატრო მუზეუმი კვირას კონსერვატორიის დარბაზში აწყობს მოსკოვის მცირე თეატრის გამოფენას; გამოფენილი იქნება სუმბათაშვილ იუჟინის სურათები სხვადასხვა როლებში და მის მიერ დადგმული პიესების ფოტოგრაფიული სურათები და ესკიზები.

სუმბათაშვილის კუთხე

სათეატრო მუზეუმთან სუმბათაშვილ-იუჟინის მოსაწყობ კუთხის საჭიროებისათვის მასალების შესაგროვებლად სათეატრო მუზეუმი მოსკოვში აგზავნის არსენიშვილს.

საქ. პროფსაბჭოს პლენუმი

ორშაბათს, 26 სექტემბერს, პროფსაბჭოს დიდ დარბაზში გაიხსნება საქართველოს პროფკავშირთა საბჭოს მორიგი პლენუმი.

პლენუმის დღის წესრიგში დასმულია შემდეგი საკითხები:

1) ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატის მოხსენება დაზღვეულთა საექიმო დახმარების შესახებ;

2) სრულიად საკავშირო პროფკავშირთა ცენტრალურ საბჭოს სატარიფო თათბირის შედეგები (მომხსენებელი ამხ. **გოდაბრელიძე**);

3) საფაბრიკო-საქარხნო და ადგილობრივი კომიტეტების გადარჩევის შესახებ (მომხსენებელი ამხ. **ფანცხავა**).

4) საზაფხულო კულტმუშაობის შედეგების შესახებ (მომხსენებელი ამხ. **ფირალიშვილი**).

ავიაქიმში

უჯრედების გადარჩევა

საქ. თავდაცვა-ავიაქიმის გამგეობამ გადასწყვიტა ჩაატაროს თავდაცვა-ავიაქიმის უჯრედების გადარჩევა ოქტომბერში.

ქალთა სექცია

საქ. თავდაცვა-ავიაქიმის საზ-ბამ ამხ. ვ. ჯაფარიძის თავმჯდომარეობით დაარსა ქალთა სექცია.

ავიო. - ლატარია

მცირე საკავშირო ავიო-ლატარიამ საქართველოს მოსახლეობაში დიდი ინტერესი გამოიწვია. ჯერ-ჯერობით მაზრებში გასაღდა 10.00 ცალი ლატარიის ბილეთი.

ვაჭრობის დრო თბილისში

თბილისის საბჭოს სავაჭრო-კოოპერატიული სექციის მიერ გამოყოფილი იყო სპეციალური კომისია, რომელსაც მინდობილი ჰქონდა ვაჭრობის დროის განსაზღვრა თბილისის სავაჭრო დაწესებულებისათვის, კომისიამ სექციის უკანასკნელ სხდომაზე წარმოადგინა თავის პროექტი, რომელიც სექციამ მცირე ცვლილებით დამტკიცა.

ამ პროექტის მიხედვით, — საგალანტერიო და სამანუფაქტურო ვაჭრობა სწარმოებს დილის ათ საათიდან საღამოს 6 საათამდე; გასტრონომიული მაღაზიები, სასადილოები, ყავახანები, რესტორანები იმუშავებენ დილის ცხრა საათიდან ღამის პირველ საათამდე; სახილე, სარძევე, სამწვანილე, და საკანდიტროები მუშაობას დაიწყებენ დილის 6 საათზე და დაამთავრებენ ღამის 10 საათზე, თევზეულობით, ხორცით და საწვირლმანოთი ვაჭრობა იწარმოებს დილის 6 საათიდან 5 საათამდე;

ფურნეები და თორნეები მუშაობას დაიწყებენ დილის ექვს საათზე და გააგრძელებენ ღამის ათ საათამდე; ხოლო ვაჭრობას დაიწყებენ დილის შვიდ საათზე და დაამთავრებენ ღამის ათ საათზე.

ზაფხულობით მუშაობა და ვაჭრობა ზემოხსენებულ დაწესებულებებში დაიწყება ერთი საათით ადრე.

ეს პროექტი დასამტკიცებლად წარედგინება თბილისის საბჭოს.

თბილისის პროლეტარიატი

„თბილისის პროლეტარიატის" ფონდის გასაძლიერებლად შემომაქვს ხუთი მანეთი.

ქუთ. სამ. მიწათმოქ. განყოფ. გამგე **ს. ნამჩევაძე.**

ამხ. ვლადიმერ დემურიის გამოწვევით თვითმფრინავ „თბილისის პროლეტარიატის" ასაგებად შემომაქვს სამი მანეთი და ვიწვევ პარმენ კუკავას, სამსონ ჯობავას, ალექსანდრე ჩხეტიას, ილია ხუხუას, ბეგლარ იოსავას, არტემ ლვამბერიას, იოსებ წერეთელს, ევგენი ეჯიბიას, აკაკი შონიას, ალექსი ჰანტურიას, ალექსი მალანიას და ბიქტორ ჯეჯელავას.

გრიგოლ ხუროძე.

ამხ. ევგენია ჩახუნაშვილის გამოწვევით შემომაქვს სამი მან. „თბილისის პროლეტარიატის" ფონდის გასაძლიერებლად და ვიწვევ ლავრენტი უკანიას და ევგენი ებრალიძეს.

სერგო ბახტაძე.

ამხ. ს. მამულიას გამოწვევით შემომაქვს ათი მანეთი და ვიწვევ შემდეგ ამხანაგებს: ვერა გეჰეკორს, ი. გულორიავას, კ. ცაავას, აპ. ჯიბლაძეს, ბ. ცაავას, ჯავებე ჩიჩუას, ვ. კაჭარავას, ლ. კოკაიას და კ. ჭიჭინაძეს.

პ. ჩარგაზია.

შემომაქვს 1 მანეთი თვითმფრინავ „თბილისის პროლეტარიატის" ფონდის გასაძლიერებლად და ვიწვევ შემდეგ პირებს: ხონიდან—შალიკო ნიკოლოზისძე ჭავჭანიძეს, მირიან იყანეხისძე სალარაძეს, დიმიტრი პარმენისძე კაკაბაძეს; ბათომიდან—ბიჭუნა ნიკოლოზისძე ლორთქიფანიძეს; თბილისიდან— ვახტანგი ვასილისძე წივწივაძეს.

მოწაფე **ზაქრო ბალუსტოვი.**

ამხ. აკაკი დგებუაძის გამოწვევით შემომაქვს თვითმფრინავ „თბილისის პროლეტარიატის" ფონდის გასაძლიერებლად 2 მანეთი და ვიწვევ შემდეგ ამხანაგებს: ბანძიდან: მელიტონ ხუბუნაიას, ტროფიმე გვილავას, ლევან გაბუნიას, მიხა კაჭარავას, პარმენ ბატარაიას, სილიბისტრო კორძაიას და გრიგოლ გახოკიძეს; სენაკიდან: გრიშა თევზაიას და გრიშა მატაბერიას; სუჯუნიდან: სოლომონ მატკავას, ლევან კუციას, კატუშა მარშანიას და არსენა გუგუშვილს; ქ. თბილისიდან: იასონ ბართაიას, ბართლომე პატარიას, ქსენია გაბუნიას, ალექსანდრე ძაძამიას, თეოფილე შენგელიას და დიმიტრი პატარიას.

ერმილე გვილავა.

ამხ. ილია მიქელაძის და კირილე ბალანჩივაძეს გამოწვევით თვითმფრინავ თბილისის პროლეტარიატის სასარგებლოდ შემომაქვს ხუთი მან. და ვიწვევ შემდეგ ამხანაგებს: ქ. ქუთაისიდან — კოწია ვაშაკიძეს, გიორგი ჩხეიძეს; დიდი-ჯიხაიშიდან პეტრე ქუთათელაძეს; ქ. ზუგდიდიდან— კონსტანტინე ბოჯგუას და გორის მაზრიდან—ალექსანდრე გამსახურდიას.

გრიგოლ (გრიშა) ჩაჩიბაია.

ქუთაისის საბჭ. მე-2 აფთიაქის და სავაჭრო ყოფილ საწყობის თანამშრომლებს შემოგვაქვს 15 მანეთი, თანახმად ქუთ. მე-4 საბჭ. აფთიაქის გამოწვევისა.

ი. ჭეიშვილი.

ამხ. რაფიელ კუპუხიძის გამოწვევით შემომაქვს თვითმფრინავ „თბილისის პროლეტარიატის" ფონდის გასაძლიერებლად სამი მანეთი და ვიწვევ შემდეგ ამხან.: ჩაჩიბაია ბიქტორ, (ზუგდიდი), ჰანტურია გალაქტიონ, ჩოჩია ალექსანდრე, ქვაჩა კაჭარავა, გაბელაია მარგარიტა, გაბელაია ბონდო, ნორაკიძე ლავრენტი, ნოდია ფილიმონი, უჟღიანი და ჯონდა ქოიავა.

ლეო თოდუა.

ამხ. ი. გუგუშვილის გამოწვევით შემომაქვს თვითმფრინავ „თბილისის პროლეტარიატის" ფონდის გასაძლიერებლად ორი მანეთი და ვიწვევ შემდეგ ამხანაგებს:

კატიკო ოდიშარია, ნოდია მარო, ლიდა ჰანტურია, მიშა ჩიტაია, დათიკო ბაბილუა, ანტონ ზაქარაია, არტემ ნადარეიშვილი, ერემია გაბულაიას, იოსები ნოდია.

კატუშა მარშანია.

ბლიოშა ნიქაბაძის და კოწია ორჯონიკიძის გამოწვევით შემოგვაქვს სამ-სამი მანეთი თვითმფრინავ „თბილისის პროლეტარიატის" ფონდის გასაძლიერებლად და ვიწვევთ შემდეგ ამხანაგებს: ნიკოლოზ გორგაძეს, ზინა კვინიკაძეს,გრიშა კამკამიძეს, ნინო სულხიანაშვილს, ქსენია ციცქიშვილს, მარო ჩიტაძეს, ილია გუდაძეს, ვალერიან ჭყოიძეს, შალვა მაღრაძეს, ლიდა შატბერაშვილს, არკადი გორგაძეს, რიმმა მჭედლიშვილს, ვალენტინა კოტრიკაძეს, მარუსია კიკნაძეს და ქეთო მაჭავარიანს.

იასონ მხატვრიშვილი და სერგო ლამბაშიძე.

ამხ. ვლ. მანჯგალაძის გამოწვევით შემომაქვს ხუთი მანეთი თვითმფრივან „თბილისის პროლეტარიატის" ფონდის გასაძლიერებლად და ვიწვევ შემდეგ ამხანაგებს:

ქუთაისიდან: არტემ ბარამიძეს, თინა მაჭავარიანს; თბილისიდან: ავქსენტი ჩხაიძეს და ცაგარეიშვილს; ოზურგეთიდან: ალექსი ზოლქვაძეს, ვანო ხარჯალაძეს, კალენიკე ერქომაიშვილს, ტიტე ღლონტს, პროკ. შამატაშვილს, და გიორგი შარაშენიძეს.

ვარლამ ერქომაიშვილი.

ამხ. კონსტანტინე სიმონიას გამოწვევით თვითმფრინავ „თბილისის პროლეტარიატის" ფონდის გასაძლიერებლად შემომაქვს ხამი მანეთი და ვიწვევ:

ლავრენტი ფხაკაძეს, ივანე გაბუნიას, ჟორა ბებურიძეს, აქსენტი ნუცუბიძეს, მიხა დოლიძეს, თ—რე სილ. ნავერიანს, გრიგოლ გუჯეჯიანს, ალექსანდრე ჯაფარიძეს, გრ..შა გარდაფხაძეს და დიმიტრი მახარაძეს.

ბეჩოს ფ.-ტ. დაწესებულების გამგე **აკაკი ფილიპესძე ხართანია.**

დღის შემოვიდა 63—00
სულ შემოვიდა 7.534—71
და ერთი მაჯის ოქროს საათი.

ქრონიკა

დ. კანდელაკის დაბრუნება

21 სექტემბერს გერმანიიდან თბილისში დაბრუნდა განათლების სახალხო კომისარი ამხ. დ. კანდელაკი, რომელიც უკვე შეუდგა თავის მოვალეობის შესრულებას.

ამხ. ფლორინსკის და კანტოროვიჩის ჩამოსვლა

22 სექტემბერს, საქართველოს სამხედრო გზით თბილისში ჩამოვიდან საბჭოთა კავშირის გარეშე საქმეთა სახ. კომისარიატის [illegible] სკანდინავიის ქვეყნების განყოფილებათა გამგე ამხ. **ფლორინსკი** და საბჭოთა კავშირის გარეშე საქმეთა სახ. კომისარიატის უფროსი მდივანი ამხ. **კანტოროვიჩი**. ამხ. ფლორინსკი და კანტოროვიჩი მიემგზავრებიან ბათომში.

ა. ა. ვოლნის ჩამოსვლა

გუშინ, კავკავიდან თბილისში ჩამოვიდა გერმანიის გენერალურ საკონსულოს მდივანი კიევში მოქ. **ა. ა. ვოლნი.**

ა. ა. ვოლნის ჩამოსვლის მიზანია ამიერ-კავკასიის გაცნობა. მას განზრახვა აქვს თბილისიდან გაემგზავროს ბორჯომში, ბათომში და სოჭში.

სვანების მადლობა

კავკ. წითელ - დრ. არმიის სარდალმა ამხ. ლევანდოვსკიმ სვანეთის აღმასკომიდან მიიღო შემდეგი დეპეშა:

„სვანეთის აღმასკომი თავისი და მთელი სვანების სახელით გიძღვნით მადლობას თქვენ და შტაბს იმ საჭირო და სასარგებლო დახმარებისათვის, რომელიც გაგვიწია მესანგრეთა ათასეულმა სვანეთის გზის გაყვანით".

თბილისი - მოსკოვი

გუშინ მოსკოვში გაფრინდა უკრაინის სამოქალაქო ფრენოსნობის დირექტორი ამხ. **ქეზუტია**, რომლის თაოსნობით ამიერ - კავკასიისა და საბჭ. საქართველოს მთავრობების მიერ შეტანილ იქნა სამოქალაქო ფრენოსნობის ხუთი წლის საპერსპექტივო გეგმაში საჰაერო ხაზის მოწყობა თბილისსა და მოსკოვს შორის კავკასიონის ქედით.

ეს მიმართულება ათასი ვერსით ამცირებს მანძილს მოსკოვსა და თბილისს შორის.

უკრაინის საფრენოსნო საზოგადოებამ შესძლო მიმდინარე სეზონში ფასების დაკლება სამგზავრო ბილეთებისა რკინისგზის რბილ ვაგონების ტარიფამდე.

თათბირი

შაბათს, 24 სექტემბერს, დილის 10 საათზე ს. პ. კ. ს. საორგანიზაციო განყოფილებაში (მუშ. სასახლე, ოთახი 6) შესდგება ორგთათბირი, რომლის დღის წესრიგში შეტანილია შემდეგი საკითხები:

1) ფაბქარხკომების გადარჩევის შესახებ, 2) მუშა ხელის მიმდინ. აღრიცხვა, 3) საბარათო კატალოგის გადატანის შესახებ, 4) საინდუსტრიალიზაციო სესხის განაღდების შესახებ.

თათბირი სახ. - სამ. ბანკში

ოქტომბრის პირველ რიცხვებში საქართველოს სას. სამ. ბანკში შესდგება საქართველოს და ავტონომიურ რესპუბლიკათა სასოფლო სამეურნეო საკრედიტო სისტემის ინსპექტორების თათბირი. თათბირზე მონაწილეობას მიიღებენ აგრეთვე ფინანსთა სახ. კომისარიატის, მიწადმოქმედების სახ. კომისარიატის, „სოფლის კავშირი"-ს და სხვა დაინტერესებულ დაწესებულებათა წარმომადგენლები.

თათბირის დღის წესრიგი შემდეგია: 1) დებულებები „კოოპერატიულ კრედიტის", „სასოფლო სამეურნეო საკრედიტო სისტემის" შესახებ და დამოკიდებულება საქ. სასოფლო სამეურნეო კოოპერაციის ცენტრთან. 2) საქართველოს სას. სამ. საკრედიტო სისტემის მდგომარეობა და ღონისძიებები მისი გაჯანსაღებისათვის, 3) აფხაზეთის და აჭარისტანის სას. სამ. საკრედიტო სისტემის მდგომარეობა, 4) წლიურ და თვიურ ანგარიშების და სტატისტიკური ცნობების ფორმების განხილვა და მათი შედგენის ტეხნიკა და 6) მიმდინარე საკითხები.

ხარჯების შემცირება

ცენტრიდან მიღებული დირექტივების თანახმად, საქართველოს ფინსახკომი შეუდგა ადმინისტრატიულ - მმართველობის ხარჯების შემცირებას 20 პროცენტით, რაც მთელ საქართველოში წელიწადში მოგვცემს 200.000 მან. ეკონომიას.

ტრამვაის ახალი ვაგონები

გუშინ ტრამვაის სამმართველომ პირველი და მეორე მარშრუტით სამუშაოდ გამოუშვა მოსკოვიდან მიღებული სამი ახალი ვაგონი №№ 203,204 და 217. ამჟამად გამოშვებულია სამუშაოდ სულ 5 ახალი ვაგონი.

ფასების დაკლება ფართლეულზე

თანახმად ა.-კავკასიის ვაჭრობის სახალხო კომისარიატის დადგენილებისა, აგვისტოს დამლევს ჩატარდა ფართლეულის ფასების დაკლების კომპანია. საქართველოს ვაჭრობის სახ. კომისარიატმა გამოიკვლია ჩატარებულ კამპანიის შედეგები და გამოარკვია, რომ თბილისში დაკლებულია ფასები ჩითზე — 7,4 პროც., მიტკალზე 7 პროც., თეთრეულის ნარმაზე 3,1 პროც., საზამთრო ტანთსაცმელზე 3,3 პროც., საზაფხულო ტანთსაცმელზე 3,9 პროც., ტანთსაცმელის შელებილზე 2,9 პროც., ტანთსაცმელის დაბამბულზე 4,3 პროც., ფერად საქონელზე 2,9 პროც. და აზიურ საქონელზე 2,9 პროც.

„მოჯამაგირის ხმა"

საქართველოს პროფსაბჭოს პრეზიდიუმმა ნება დართო საქ. მიწა-ტყის მუშაკთა კავშირს გამოსცეს თბილისში ქართულ ენაზე გაზეთი „მოჯამაგირის ხმა". გაზეთი უნდა გაიყიდოს არა უმეტეს 3 კაპ. თვითეული ნომერი. კავშირის წევრებს — მუშებს, მოჯამაგირეებს და მწყემსებს გაზეთი უფასოდ უნდა დაურიგონ მიწა-ტყის მუშაკთა კავშირის ადგილობრივმა ორგანიზაციებმა.

თბილისის ალმასკომში

◆ **სტადიონი ლენინის უბანში.** კეთილმოწყობის განყოფილებას დაევალა შეაკეთოს და მოაწყოს ლენინის მუშათა უბანში არსებული ფიზკულტურის სტადიონი.

◆ **დაგეგმვა.** გარეუბნებში ახალი ქუჩების გასაყვანად დაგეგმილი იქნა 15.000 კუბ. საჟენი მიდამო.

◆ **წყალსადენი.** მანგლისის რაიონის 5 სოფელში გამოყვანილი იქნა წყალსადენი.

◆ **ყაზარმები საბავშვო სახლებად.** მანგლისში და დუშეთში არსებული მეფის დროინდელი ყაზარმები გადაკეთებული იქნა საბავშვო სახლებად.

◆ **ახალი აბანო.** დაუქმებულ წოვიანისეულ აბანოს ადგილზე სავსებით დამთავრდა ახალი აბანოს აგება. აბანო იტევს 300—400 კაცს.

◆ **ქუჩების გაფართოება.** თბ. აღმასკომმა დაადგინა შეუდგეს თბილისში არსებულ ვიწრო ქუჩების გაფართოებას. ამ მიზნით კეთილმოწყობის განყოფილებას დაევალა შეიმუშაოს გეგმა.

ჯანსახკომში

◆ **შტატების შემცირება.** ჯანმრთელობის კომისარიატში დამთავრდა შტატების შემცირება. შეამცირეს 31 კაცი, ანუ თანამშრომელთა მთელი რიცხვის 26 პროც.

◆ **ფარმაცევტიული კურსები.** თბილისში იხსნება ფარმაცევტების მოსამზადებელი 4 წლიანი კურსები.

◆ **ქინაქინა.** ჯანსახკომმა დამატებით მიიღო 490 კილო ქინაქინა.

◆ **საექიმო დახმარება.** ჯანსახკომის ცნობით არსდება დაზღვეულთა საექიმო დახმარების საკავშირო ფონდი, საიდანაც დახმარება გაეწევა ყველა რესპუბლიკების დამზღვევ ორგანოებს.

◆ **წყალსადენი.** საკურორტო სამმართველო მომავალ წელს აბასთუმანში გაიყვანს წყალსადენს.

◆ **დაზღვეულთა საექიმო დახმარების ქვეგანყოფილებები** გადავიდა ჯანსახკომის გამგებლობაში.

ხელოვნების ქრონიკა

— **სომხური მუსიკის კონცერტი.** დღეს მუშათა ახალ კლუბში გაიმართება სომხურ მუსიკის დიდი კონცერტი.

— **„აზიის ყვავილი".** ახლო ხანში გამოვა ს. ერთაწმინდელის ახალი პიესა „აზიის ყვავილი" (ჩინეთის ცხოვრებიდან).

ხალხურ სიმღერების კონცერტი. დღეს საბჭოთა და სავაჭრო მუშაკთა კლუბში გაიმართება ქართულ ხალხურ სიმღერების კონცერტი.

— **საგუნდო სტუდია.** ოპერის თეატრთან გაიხსნა საგუნდო სტუდია.

შემთხვევები

ქურდების ჯგუფის შეპყრობა

სისხლის სამართლის მილიციამ შეიპყრო ქურდების ერთი ჯგუფი, რომელშიაც მოყვენ ტიგრან სარქისის ძე ბიბლიშვილი, ტუზა დარჩოს ძე ბუდაღვერდოვი, ნიკოლოზ გრიგოლის ძე ვართანოვი და ბეგა სარქისის ძე ზალიევი. უკანასკნელად მათ ბრალდებათ მოქ. ოგანეზოვის დაბაზანის გაქურდვა.

დაკარგვა

20 სექტემბერს უგზო - უკვლოდ დაიკარგა შმული მოსეს ძე შიმონოვიჩი, რომელიც დროებით ცხოვრობდა სასტუმრო „ბერლინში".

21 სექტემბერს დაიკარგა 3 წლის ბავშვი თამარ აკაკის ძე ქართხაშიძე მცხოვრები ატენის ქუჩ. № 2.

17 სექტემბერს უგზოუკვლოდ დაიკარგნენ სოფ. სოღანლუღის მცხოვრებნი ალი უსეის ოღლი და ალაქვერ ალხირ ოღლი.

◆ სასტუმრო „გრანდ - ოტელ"-ში ვერა მაქსიმოვა - პეტროვას ბინიდან მოიპარეს 200 მან. ნივთები.

◆ **ოქროს საათის მოპარვა.** 21 სექტ. სასახლის ქ. 2 დავით კარლინსკის საათების მაღაზიიდან უცნობმა მუშტარმა მოიპარა მაჯის ოქროს საათი და მიიმალა.

◆ „მუზმრეწვის" მაღაზიიდან (პლეხანოვის გამზირი 96) 21 სექტემბ. ვიღაც უცნობმა მოიპარა გარმონი.

◆ „ზაკტპო"-ს ფეხსაცმელების მაღაზიის გაქურდვის განზრახვისათვის დააპატიმრეს გიორგი კონსტანტინეს ძე ფრანგიშვილი და ათვაზ მანუკის ძე აივაზოვი.

◆ **ვერ მოასწრეს** 21 სექტ. ანნა ვასილის ასულ ფვანიამ თავის ბინაში შეისწრო ორი უცნობი პირი, რომლებიც ტომარაში ალაგებდენ ნივთებს. ატეხილ ხმაურობის გამო ბოროტმოქმედებმა ქვე დასტოვეს ტომარა და მიიმალნენ.

◆ **მუშათა სახახლის მე-5** სართულში 21 სექტ. გაქურდეს დროებით მცხოვრებ ლიუბა უგოძის ბინა.

◆ **ქურდობა.** 21 სექტ. განოვის ქ. 12 გაქურდეს მარო იოსების ასულ ლეკიშვილის ბინა

საორიენტაციო გეგმა

ოქტომბრის რევოლიუციის ათი წლის თავის კამპანიის ჩასატარებლად მუშათა კლუბებში, წითელ კუთხეებში და ბიბლიოთეკებში

პროფკავშირების ამოცანები

ახლოვდება ოქტომბრის რევოლიუციის ათი წლის თავი, საიუბილეო დღესასწაული მუშათა კლასის მიერ ბურჟუაზიული წესწყობილების დამხობისა. განვლო 10 წელმა, რომლის განმავლობაში მუშები უმაგალითო გმირულ ბრძოლას აწარმოებდენ თავისი საბჭოთა სახელმწიფოსთვის, სოციალიზმის აღმშენებლობისთვის, მსოფლიო რევოლიუციის გამარჯვებისთვის.

მთელი საპროფკავშირო კულტმუშაობა, კერძოდ კლუბების, წითელი კუთხეებისა და ბიბლიოთეკების საქმიანობა ამ ორი თვის განმავლობაში უნდა ჩატარდეს ოქტომბრის რევოლიუციის ათი წლის თავის დღესასწაულის მომზადებისა და ჩატარების ნიშნით.

ოქტომბრის ათი წლის თავის ჩატარებისათვის მზადებას ჩვენი კულტმუშაკები უნდა უყურებდენ არა როგორც ჩვეულებრივ კამპანიას; ჩვენს კულტდაწესებულებებს (კლუბებს, წითელ კუთხეებს და ბიბლიოთეკებს) ევალებათ თავი დაალწიონ შექმნილ შაბლონს ამ დღესასწაულის ჩატარებაში, რომელიც უდიდეს მოვლენას წარმოადგენს კაცობრიობის ისტორიაში.

კლუბების, წითელი კუთხეების და ბიბლიოთეკების ძირითად ამოცანას ამ კამპანიაში უნდა წარმოადგენდეს იმნაირად დააყენონ საქმე, რომ არ დარჩეს არც ერთი მუშა ან მოსამსახურე, რომ მას არ განემარტოს ოქტომბრის რევოლიუციის მნიშვნელობა და ჩვენი მიღწევები ამ ათი წლის განმავლობაში. ცხადია, ეს ახსნა - განმარტება უნდა იქნეს მარტივი, მუშა - მოსამსახურეთათვის გასაგები და მისაწვდომი.

ათი წლის დღესასწაულს უნდა მიეცეს მასიური რევოლიუციონური დღესასწაულის ხასიათი მის პოლიტიკურ შინაარს უნდა შეადგენდეს 1917 წლისა და პროლეტარიატის გამარჯვების სურათის გადაშლა საპროფკავშირო მასის თვალწინ.

ძირითადი საკითხები, რომლებიც გაშუქებული უნდა იქნეს ოქტომბრის დღესასწაულთან დაკავშირებით, უნდა იქნეს დაახლოვებით შემდეგი:

1. დიადი ოქტომბრის გადატრიალების ისტორია (ოქტომბრის რევოლიუციის მომზადება და უფრო მნიშვნელოვანი თარიღები 1917 წლიდან).

2. ოქტომბრის რევოლიუციის ათი წლის მიღწევების გაშუქება (მრეწველობის, სასოფლო მეურნეობის, კოოპერაციის, განათლების დარგში).

3. ამასთან ერთად გაშუქებული უნდა იქნეს მიღწევები საბჭოთა კავშირიაა, როგორც ყველა ეროვნებების მშრომელთა კავშირისა.

ამ შემთხვევაში უნდა შევჩერდეთ ეროვნული განთავისუფლების მომენტებზე, რომელიც მოხდა საბჭოთა სახელმწიფოებრივობის საფუძვლებზე, რამაც ახალი ურთიერთობა დაამყარა ეროვნებათა შორის.

კლუბებმა, წითელმა კუთხეებმა და ბიბლიოთეკებმა ფართოდ უნდა გააშუქონ მასების წინ დიდი ოქტომბრის ისტორია და ფართოდ განმარტონ მასებში პარტიის მიმდინარე ამოცანები და ღონისძიებანი ჩვენი აღმშენებლობის ყველა დარგებში, რისთვისაც გამოყენებული უნდა იქნეს საკლუბო მუშაობის ყველა სახეობანი.

კამპანიის მომზადება

ოქტომბრის ათი წლის თავის კამპანიის ჩასატარებლად კლუბებსა, წითელ კუთხეებსა და ბიბლიოთეკებში საჭიროა პროფკავშირთა წევრების მთელი მასა ჩავაბათ როგორც მოსამზადებელ მუშაობაში, ისე თვით კამპანიის ჩატარების საქმეში. კამპანიის მომზადებას საფუძვლად უნდა დაედვას მუშათა მასების თვითმოქმედება. ამ მიზნით საჭიროა ფართოდ გავშალოთ მუშაობა მასების დღესასწაულის ჩასატარებელი გეგმის შემუშავებას და აგრეთვე თვით დღესასწაულის ორგანიზაციასა და ჩატარებაში უახლოესი მონაწილეობის მისაღებად. ამ ამოცანის განხორციელება უნდა იკისროს საკლუბო აქტივმა. კამპანიის გეგმიანი ჩატარების მიზნით კლუბებში გამოყოფილი უნდა იქნეს საგანგებო საიუბილეო კომისიები, რომლებშიაც შევლენ კლუბის გამგეობის, ფაბქარხადგილკომების, პარტკოლექტივის ბიუროს, საკლუბო წრეების წარმომადგენლები და ოქტომბრის რევოლიუციის აქტიური მონაწილენი.

წითელ კუთხეებშიაც არსდება ანალოგიური საიუბილეო კომისიები.

ხსენებული კომისიების მოვალეობას შეადგენს: კამპანიის გეგმის ვრცელი და კონკრეტიული დამუშავება, მთელი წინასწარი მოსამზადებელი მუშაობის ჩატარება, კამპანიის ჩატარებისათვის ხელმძღვანელობის გაწევა და თვალყურის დევნება კამპანიის ჩასატარებელი მუშაობის წარმოებაზე.

კლუბის (წითელი კუთხის) მოსამზადებელი მუშაობა უნდა გამოიხატებოდეს შემდეგ ღონისძიებათა გატარებაში:

1) ჩატარება ლექციებისა, მოხსენებებისა და საუბრებისა 1917 წლ. ოქტომბრის რევოლიუციის შესახებ, 2) მოგონებათა საღამოების მოწყობა ოქტომბრის რევოლიუციის გარშემო, 3) ექსკურსიის მოწყობა რევოლიუციის მუზეუმში და აგრეთვე ოქტომბრის საიუბილეო გამოფენაზე, 4) მოკლევადიანი (არა უმეტეს ერთი თვის ვადიანისა) კურსების მოწყობა დიდი ოქტომბრის ისტორიის შესასწავლად, 5) საკლუბო საღამოების მოწყობა, 6) ხმამაღლა კითხვა და მხატვრული მოთხრობის მოწყობა, 7) სამხატვრო წრეების მომზადება კამპანიის ჩასატარებლად, 8) სახალხო სეირნობის, საჯარო მსვლელობის და სხვ. გამართვა, 9) გამოფენის მოწყობა ჩვენი მიღწევებისა ამ ათი წლის განმავლობაში და აგრეთვე კულტმუშაობის მიღწევების გამოფენა, 10) ბიბლიოთეკისა და სამკითხველოს მუშაობისთვის ხელმძღვანელობის გაწევა, 11) კედლისა და შუქოვან გაზეთების სპეციალური ნომრების გამოშვება. კედლის გაზეთებში ადგილი უნდა დაეთმოს საგანგებო კუთხეს: „როგორ ვემზადებით ოქტომბრისთვის".

ლექციები და საუბრები

მოხსენებები, საუბრები, ლექციები და ექსკურსიები ოქტომბრის რევოლიუციის ათი წლის თავის დღესასწაულის დროს კლუბებსა და წითელ კუთხეებში ორ მიზანს უნდა ისახავდენ:

1. გაუკეთონ საერთო ჯამი მუშათა კლასის მიერ ამ ათი წლის განმავლობაში განვლილ გზას და

2. ნათლად და თვალსაჩინოდ გამოაჩინონ პარტიისა, საბჭოთა ხელისუფლებისა და პროფკავშირების წინ ამჟამად მდგარი ძირითადი ამოცანები.

ლექციების კითხვა ოქტომბრის რევოლიუციის შესახებ და აგრეთვე საიუბილეო ექსკურსიები დაწყებული უნდა იქნეს დაახლოვებით ა.-წ. სექტემბრის 20-დან. კლუბებსა და წითელ კუთხეებში გამართული ლექციები, მოხსენებები და საუბრები დასურათხატებული უნდა იქნეს შუქოვანი სურათებით, კინო - სურათებით, პლაკატებით და სხვ. თემები ლექციებისა და მოხსენებებისათვის უნდა იქნეს შემდეგი:

1) გზა ოქტომბრისაკენ, 2) თებერვლის რევოლიუციიდან — ოქტომბრის რევოლიუციამდე, 3) ოქტომბრის რევოლიუცია, 4) საბჭოთა მრეწველობა ოქტომბრის ათი წლის თავზე, 5) ათი წლის აღმშენებლობა სასოფლო მეურნეობის დარგში, 6) ჩვენი მიღწევები კულტურულ - ყოფაცხოვრებითი დარგში, 7) ლენინი და ოქტომბრის რევოლიუცია.

ექსკურსიებს რევოლიუციის მუზეუმში სარჩულად უნდა დაედვას რომელიმე ჩამოთვლილი თემებიდან.

8) საკავშირო კომპარტია (ბ), როგორც პროლეტარიატის ავანგარდი, 9) საერთაშორისო მდგომარეობა ოქტომბრის ათი წლის თავზე, 10) წითელი არმია ოქტომბრის მონაპოვართა სადარაჯოზე, 11) რა მისცა გლეხობას ოქტომბრის რევოლიუციამ, 12) პროფკავშირები და სოციალისტური აღმშენებლობა, 13) პროფკავშირების როლი ოქტომბრის რევოლიუციაში, 14) საბჭოთა მედიცინის ათი წელი, 15) საბჭოთა ტეხნიკის მიღწევები ოქტომბრის რევოლიუციის 10 წლის თავზე, 16) საბჭოთა კავშირის ელექტროფიკაცია ოქტომბრის ათი წლის თავზე, 17) ლენინი და კულტურული რევოლიუცია, 18) როგორ ანთავისუფლებს საბჭოთა ხელისუფლება მუშა ქალს ყოფაცხოვრების ბორკილებისგან, 14) ექსკურსიები რევოლიუციის მუზეუმში და მოგონებათა საღამოები.

თემები ექსკურსიებისათვის

1) გზა ოქტომბრისაკენ, 2) თებერვლის რევოლიუციიდან — ოქტომბრის რევოლიუციამდე, 3) ოქტომბრის რევოლიუცია.

გარდა ამისა, შეიძლება მოეწყოს ექსკურსიები კულტურულ ყოფაცხოვრებითი მიღწევების გამოფენებზე, რომლებიც მოეწყობა ოქტომბრის 10 წლის თავზე სხვადასხვა ორგანიზაციების მიერ (ჯანმრთელობის და განათლების სახალხო კომისარიატების, პროფკავშირების, კლუბების მიერ და სხვ.).

ოქტომბრის ათი წლის თავის კამპანიის ჩატარების დროს სასურველია გამოყენებული იქნეს მასიური მუშაობის ერთი სახეობათაგანი — მოგონებითი საღამოები. დამსწრეთა დიდ ინტერესს გამოიწვევს მუშების გამოსვლა და მათი მოგონებანი დაპატიმრების, ჩხრეკის, გადატრიალებაში მათი მონაწილეობის შესახებ და სხვ.

ასეთი საღამოების გამართვა უფრო სასარგებლო იქნება ახალგაზრდობისათვის, რომელსაც სრული წარმოდგენა როდი აქვს იმ ამბებზე, რომელნიც უძღოდენ წინ ოქტომბრის რევოლიუციას, და აგრეთვე იმაზე, თუ რამდენად მძიმე იყო ბრძოლა თვითმპყრობელობისა და ბურჟუაზიის წინააღმდეგ.

ოქტომბრის ისტორიის შესასწავლი წრეები

ოქტომბრის რევოლიუციის უფრო ღრმა შესწავლის მიზნით სასურველია მოეწყოს მოკლევადიანი კურსები „ოქტომბრის რევოლ-ციის შესასწავლად". ამ წრეების მთავარ მიზანს უნდა შეადგენდეს ახალგაზრდობის მიერ სერიოზული და დაწვრილებითი შესწავლა ყველა იმ მოვლენებისა, რომელნიც წინ უძღვოდენ 1927 წლის ოქტომბერს, და აგრეთვე დიდი ოქტომბრის ამბებისა. ამნაირად ახალგაზრდობაში განმტკიცებული და განვითარებული უნდა იქნეს უფროსი თაობის გმირული ტრადიციები.

მეცადინეობა აღნიშნულ კურსებზე არ უნდა გრძელდებოდეს ერთ თვეზე მეტი.

საკლუბო საღამოები

საკლუბო საღამოები შესაძლებელია ფართოდ იქნეს გამოყენებული ოქტომბრის ათი წლის თავის კამპანიის ჩატარების დროს, ოქტომბრის დღეებში, ე. ი. ნოემბრის 5, 6 და 7-ს კლუბებმა და წითელმა კუთხეებმა უნდა მოაწყონ არა ნაკლები სამი საკლუბო საღამოსი, რომელნიც თავისი შინაარსით მჭიდროდ უნდა იქნენ ერთმანეთთან დაკავშირებულნი.

ამ საღამოებიდან ერთი მიძღვნილი უნდა იქნეს თვით ოქტომბრის რევოლიუციისათვის (პირობები და ვითარება, რომელმაც მიგვიყვანა ოქტომბრის რევოლიუციამდე, ოქტომბრის რევოლიუციის მნიშვნელობა, მისი მონაწილე გმირები და სხვ.). ოქტომბრის გადატრიალებისათვის მიძღვნილი საღამოს ჩატარების დროს შეიძლება გამოყენებულ იქნეს მუშაობის შემდეგი ფორმები: მოგონებანი, გასცენიურებანი, კინო და სხვ. ყველა ეს ფორმები მუშაობისა მოეწყობა ოქტომბრის გადატრიალებისათვის მიძღვნილ სპეციალურ საზეიმო სხდომების დროს.

მეორე დღე (საღამო) უნდა მიეძღვნას ჩვენი მიღწევების ჩვენებას, რომლებიც გვაქვს ათი წლის ბრძოლისა და მუშაობის შედეგათ. ამ მიზნით კლუბებში უნდა გაიმართოს საღამოები „ჩვენი მიღწევები". ამ საღამოს ძირითადი ფორმებია შემდეგი: გამოფენა, მხატვრული განყოფილება, მასიური თამაშობანი, მუზეუმი, ლატარია, კონკურსი საუკეთესო საწარმოო მუშაკებზე და სხვ. ამავე საღამოებს უნდა შეუფარდდეს სხვადასხვა დაწესებულებების საზეიმო გახსნა, კლუბების საქმიანობის ჩვენება და სხვა.

მესამე დღე-საღამო, სახალისო დასვენების დღე —უნდა დაეთმოს სახალხო საღამოების, მასიურ სეირნობათა, ქუჩებში მსვლელობისა და გართობის მოწყობას.

ერთ-ერთი საღამო-დღესასწაულის დროს— სასურველია ჩატარდეს ლოზუნგით: „ამიერ-კავკასიის ხალხთა ძმური კავშირი" და საღამოს მხატვრულ განყოფილებაში გამოყენებული იქნეს ამიერ-კავკასიის ხალხების ლიტერატურა, მუსიკა და სხ.

ამასთან ერთად სასურველია მოეწყოს „ინტერნაციონალური საღამოები", რომლებსაც მიზნათ უნდა ექნეს საპროფკავშირო მასების ინტერნაციონალური აღზრდა.

მხატვრული საღამოების მომზადება კამპანიის ჩასატარებლად

კლუბის სამხატვრო წრეებმა (დრამატიულმა ცოცხალ გაზეთის, მუსიკალურმა, სასიმღერო, სახვითი წრეებმა) უაღრესად აქტიური მონაწილეობა უნდა მიიღონ დღესასწაულის მომზადებასა და ჩატარებაში, ათი წლის თავის ჩატარების დროს უნდა შევეცადოთ დღესასწაულის დროს წარმოვადგინოთ მუშაობის ყოველი ფორმის მაღალი ღირსება. მუშაობის ფორმების მაღალი ღირსება უნდა გამოიხატებოდეს ყოველი საღამოს დაკვირვებით მომზადებაში და აგრეთვე ყოველი ფორმის მიზანშეწონილობაში, რისთვისაც ანგარიში უნდა გაეწიოს ამა თუ იმ აუდიტორიის მოთხოვნილებასა და კულტურულ დონეს.

კლუბის დრამატიულ (თეატრალურ) წრეების დადგმათა ღირსების გასაუმჯობესებლად სასურველია გაერთიანებული იქნეს კლუბის სხვადასხვა ორგანიზაციები (თეატრალური წრეები, სასიმღერო გუნდები დასხვ.) შეერთებული ძალებით გამოსვლების მოსაწყობად, დადგმების გასამართავად და სხვ. ასე, მაგალითად, თუ რომელიმე კლუბში დრამატიულ წრეს არ ძალუძს განახორციელოს რომელიმე რთული, მაგრამ მაღალი ღირსების პიესის დადგმა, მაშინ საჭიროა შეუერთდეს იგი სხვა რომელიმე დრამატიულ წრეს და შეერთებული ძალებით დასდგან ეს პიესა. გარდა ამისა, კლუბის დანარჩენი წრეებიც უნდა მოერიდონ „ინდივიდუალიზმს" და ახსოვდეთ, რომ არსებობს ასეთი ფორმები მუშაობისა, როგორც, მაგალითად, გაერთიანებული სასიმღერო გუნდი, მასიური ორკესტრი, გაერთიანებული დრამატიული წრე და სხვა.

შედარებით მეტს სიძნელეს წარმოადგენს რეპერტუარის მომზადება მხატვრული ნაწილისათვის. ყოველი კლუბი და წითელი კუთხე დიდის სიფრთხილითა და დაკვირვებით უნდა არჩვედეს პიესებს ოქტომბრის ათი წლის თავის დღესასწაულის დროს დასადგმელად იმ სარეპერტუარო სიიდან, რომელსაც უგზავნის ორგანიზაციებს ს. პ. კ. ს. კულტგანყოფილება.

გარდა პიესების დადგმისა, საჭიროა ფართოდ იქნეს გამოყენებული ადგილებზე ეგრედ წოდებული მცირე საკლუბო თეატრალური ფორმები; გასცენიერებანი, კუპლეტები და სხვ.

საზეიმო მსვლელობისა (კარნავალის) და სახალხო სეირნობათა მოწყობა

ოქტომბრის რევოლიუციის 10 წლის თავის აღსანიშნავი კამპანიის (დღესასწაულის) ძირითად მომენტს შეადგენს დემონსტრაციები, სადღესასწაულო სააგიტაციო და საზეიმო მსვლელობანი, კარნავალი, მასიური სეირნობა და სხ.

კლუბის ყველა წევრებმა აუცილებლად უნდა მიიღონ მონაწილეობა მასიურ დემონსტრაციებში ნოემბრის 7-ს და შეიტანონ მასში ხალისი, სილამაზე და სიცოცხლე.

მუშათა კლუბების დემონსტრაციებში მონაწილეობა უნდა მიიღონ კლუბის ყველა თეატრალურ სამხატვრო წრეებმა. სამხატვრო წრეებმა უნდა მოაწყონ ქუჩაში მსვლელობა დამახასიათებელი ტანსაცმელით, გაასცენიურონ მთელი რიგი ტიპებისა სადღეისო საინტერესო პოლიტიკურ და საწარმოო თემებზე (მაგალითად: ინგლისის მეფის გამოსვლა პარლამენტის სხდომაზე, როდესაც მას თან ახლავს მისი ერთგული ამალა—ინგლისის პროფმოძრაობის ბელადები, გამოხატული უნდა იქნენ ჩინეთის რევოლიუციის ჯალათები—ჩან-ძო-ლინი, ჩან-კაიში, წარმოდგენილი უნდა იქნენ აგრეთვე მენშევიკების, დაშნაკების და მუსავატელი მოღალატენი, რომელნიც მრავალგვარ ვერაგულ ხრიკებს მიმართავენ საბჭოთა ამიერ-კავკასიის წინააღმდეგ და სხვ. საწარმოო თემაზე—შეიძლება ნაჩვენები იქნეს უარყოფითი ტიპები, საბჭოთა კავშირის თავდაცვის თემაზე—დადებითი ტიპები და სხვ. ყველაფერი დამოკიდებულია შემსრულებელთა ნიჭისა და უნარისაგან).

სასიმღერო გუნდები ჩაცმული უნდა იქნენ ფერად ტანსაცმელში, უმთავრესად, ამიერ-კავკასიის რესპუბლიკების ეროვნულ ტანსაცმელებში და შეასრულონ ეროვნული სიმღერები და სხვა.

სააგიტაციო მსვლელობა უნდა დასრულდეს სააგიტაციო კარნავალით.

ყოველმა კლუბმა უნდა მორთოს სადღესასწაულოდ არა ნაკლები 5-6 ავტომობილისა (ან სხვა გადასაზიდი საშუალებისა) და მათზე გამოხატონ უფრო თვალსაჩინო პოლიტიკური, საწარმოო და ყოფაცხოვრებითი მომენტები საიობილეო კამპანიისა.

ამბების გამოხატვა (გადმოცემა) კარნავალის დროს აგებული უნდა იქნეს, უმთავრესად, გარეგან დეკორატიულ გამოსახვაზე, უფრო ნაკლებად გასცენიერება—შესრულებით გამოსახვაზე.

ფრიად სასურველია დღესასწაულის დროს მოეწყოს მასიური სეირნობანი, რომლის დროსაც უნდა მოხდეს ფიზკულტურის წრეების, სასიმღერო გუნდების, მოცეკვავეების, აღმოსავლური მუსიკის, გარმონის დამკვრელთა გამოსვლები და სხვ.

გამოფენა ოქტომბრის რევოლიუციის ათი წლის თავზე

საკლუბო გამოფენის მოსაწყობად გამოყოფილ უნდა იქნეს სპეციალური „ოქტომბრის ათი წლის თავის გამოფენის მომწყობი კომისია". ამ კომისიაში შევლენ კლუბის გამგეობის წარმომადგენლნი, ბიბლიოთეკის გამგე, პარტკოლექტივის წარმომადგენელი და სახვითი წრის ხელმძღვანელი.

შეიძლება მოეწყოს სამი სახის გამოფენა:

1. ლოზუნგები, 2. პლაკატები და ვიტრინები და 3. კედლის გაზეთი.

ლოზუნგები უნდა იყოს მოკლე, მკაფიო და სრული გამომხატველი რომელიმე ცნებისა,. მასალათ ლოზუნგებისათვის შეიძლება გამოყენებულ იქნეს ცალკე—ადგილები ლენინის ნაწერებიდან და სხვ.

პლაკატები და ვიტრინები უნდა იყოს მკაფიო და გამომხატველი. მთელი გამოფენა აგებული უნდა იქნეს ისე, რომ გამოხატავდეს მიღწევებს საბჭოთა აღმშენებლობაში, კერძოდ თავისი (ადგილობრივი) წარმოება-დაწესებულების, ქარხნის, თავისი კულტურულ-განმანათლებელი დაწესებულების მიღწევებს და აგრეთვე ჩვენს მორიგ ამოცანებს.

მაგალითად, თემებათ გამოფენისათვის შეიძლება აღებული იქნეს შემდეგი:

1. ბრძოლა ოქტომბრისთვის (სამოქალაქო ომის წლები), 2. პარტია და ლენინი (პროლეტარული დიქტატურის მონაპოვარნი,) 3. ვაშენებთ სოციალიზმს; 4. ვამაგრებთ საბჭოთა კავშირის თავდაცვას.

კედლის გაზეთი უნდა გამოხატავდეს ჩვენს მიღწევებს ოქტომბრის რევოლიუციის ათი წლის თავზე ადგილობრივი მასალების, ე. ი. იმ ადგილობრივი წარმოება - დაწესებულებების მასალების მიხედვით, რომელნიც კლუბზე არიან მიმაგრებულნი. აქვე სასურველია მოთავსებული იქნეს ოქტომბრის რევოლიუციის აქტიურ მონაწილეთა მოგონებანი, ამა თუ იმ ამბების მოწმეთა ნაამბობი და სხვ.

ბიბლიოთეკის და სამკითხველოს მუშაობა

ოქტომბრის ათი წლის თავის დღესასწაულის ჩატარების დროს სერიოზული ყურადღება უნდა მიექცეს ბიბლიოთეკებისა და სამკითხველოების მუშაობას. ყოველი ბიბლიოთეკა უზრუნველყოფილი უნდა იქნეს პოპულიარული ლიტერატურის საკმაო რაოდენობით ოქტომბრის რევოლიუციის საკითხების შესახებ. გარდა საბიბლიოთეკო მუშაობის ჩვეულებრივი ფორმებისა, როგორიცაა: წიგნების ვიტრინა, სარეკომენდაციო სიები და სხვ.,რომელთა მიზანსაც შეადგენს წიგნის ფართო გავრცელება მკითხველთა შორის, სასურველია მოეწყოს სპეციალური კონკურსები ოქტომბრის რევოლიუციის შესახებ წიგნების საუკეთესო მკითხველზე.

კონკურსის მოსაწყობად საჭიროა შექმნილ იქნეს ოქტომბრის სარევოლიუციო ლიტერატურის საკმაო რაოდენობა და ამის შესახებ ერთი მხრით გამოქვეყნდეს კედლის გაზეთში, ხოლო მეორე მხრით გამოკრული იქნეს განცხადება, რომ ბიბლიოთეკა აწყობს კონკურსს იმ წიგნების საუკეთესო მკითხველებზე, რომელნიც შეეხებიან ოქტომბრის რევოლიუციის ათი წლის თავის საკითხებს.

კონკურსში მონაწილეობის მისაღებად მოწვეული უნდა იქნენ ყველა მკითხველები. უკეთესი პასუხისათვის გაცემული უნდა იქნეს ჯილდო პასუხის გასარჩევად და შესაფასებლად გამოყოფილი უნდა იქნეს სპეციალური კომისია, რომლის შემადგენლობაში შევლენ: კლუბის გამგეობის, პარტკოლექტივის და კომკავშირის უჯრედის წარმომადგენელნი, ბიბლიოთეკარი და მკითხველი მასის აქტივის წარმომადგენელი.

საბოლოო საკონკურსო საღამო გახსნილი უნდა იქნეს მოკლე სიტყვით ოქტომბრის ათი წლის თავის შესახებ. შემდეგ უნდა იქნას განმარტებული კონკურსის მნიშვნელობა. დამსწრეთ უნდა მიეწოდოს ცნობები მკითხველთა რაოდენობის შესახებ, რომელთაც მონაწილეობა მიიღეს კონკურსში. შემდეგ წაკითხული უნდა იქნეს კომისიის დადგენილება მკითხველთა დაჯილდოვების შესახებ, რომელიც (ჯილდო) იქვე უნდა იქნეს გაცემული. გაცემული ჯილდო აუცილებლად დაკავშირებული უნდა იქნეს მუშების კულტურულ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებასთან (ე. ი. მიეცეს ჯილდოთ წიგნი, ჟურნალები და სხვ.). ჯილდოს გასაცემად ფული არ უნდა დავიშუროთ და ეს ხარჯები შევიტანოთ კლუბის მიერ ოქტომბრის რევოლიუციის ათი წლის თავის ჩასატარებელ მასიური მუშაობის საწარმოებლად გადადებულ ხარჯებში.

საქართველოს პროფკავშირთა საბჭოს მდივანი
მახაიძე.

ს. პ. კ. ს. კულტგანყოფილების გამგე—
ფირალიშვილი.

ქუთაისი

ელექტრო-ტეხნიკუმში

ჩვენი ახალი კულტურული დაწესებულებებისა და, საზოგადოთ, წამოწყებათა მდგომარეობის გაცნობით დაინტერესებულმა, უწინარეს ყოვლისა, მივმართე ქუთაისის ელექტრო-ტეხნიკუმს.

უკვე სამი საათი იყო. სასწავლებლის გამგე ამხ. აბზიანიძე სასადილოდ შინისკენ აპირებდა წასვლას. უხერხულად ვცანი მისი გაჩერება; გამობრუნებას ვაპირებდი. მაგრამ, როდესაც მან ჩემი მისვლის მიზანი გაიგო, არამც თუ მოკლე ცნობები მომაწოდა, პირიქით, მთხოვა—ყველა განყოფილებები დამეთვალიერებია და დაწვრილებით გავცნობოდი სასწავლებლის მდგომარეობას.

ძლიერ მესიამოვნა. გავყევ...

ელექტრო-ტეხნიკუმს უჭირავს ყოფ. 1 საქალო გიმნაზიის შენობის ზემო-სართული და ქვემო სართულშიაც რამოდენიმე ოთახი.

გარედან შენობა ჩინებულ შთაბეჭდილებას სტოვებს.

შევდივართ სამასწავლებლო ოთახში. ოთახი თუმცა ფართოა, მაგრამ სავსეა ავეჯეულობით და დიდი სივიწროვეა. აღმოჩნდა, რომ იქვე მოთავსებულია: გამგის კაბინეტი, კანცელარია-ბუხჰალტერია, სამეო განყოფილება და დერეფანიც კი.

ცუდი შთაბეჭდილება მოახდინა ერთს ოთახში ამდენი განყოფილების ლომხალივით არევ-დარევამ.

დერეფანში ყურადღებას იქცევს ბევრგან წვიმისაგან ჩამონგრეული ჭერის ანაგლესი, და ნესტიანებული კედლები და ზოგან ნახევრად დამპალი იატაკის ფიცრები. ეს იმიტომ, რომ სახურავი დაცხრილულია და წყალი ჩამოდის.

ფიზიკური კაბინეტი საკმაოდ მდიდარია თავის მოწყობილობა-ხელსაწყოებით. ყურადღებას იქცევს სამაგალითო წესიერება: სისუფთავე, ხელსაწყოებისა და საგნების ლამაზად დალაგება მინის შკაფებში.

ქიმიური კაბინეტი, სამწუხაროდ, ვერ სტოვებს ასეთ შთაბეჭდილებას: სივიწროვის გამო კაბინეტის ოთახი საერთო ოთახად გადაუკეთებიათ; კაბინეტი თავის შკაფებით და ძვირფასი ხელსაწყო მანქანებით დერეფანში მოუთავსებიათ!...

ეს დაუშვებელია!

—სამხაზველო განყოფილება საკმაოდ ფართო და ნათელია. ყურადღებას იქცევს ის გარემოება, რომ სამხაზველოში ყველაფერი (ავეჯეულობა და სხ.) მსმენელების მიერაა გაკეთებული.

სადურგლო განყოფილებაში ოცდა-ათი დაზგაა. ყოველ დაზგას აქვს თავის ნომერი, რომლითაც დანიშნულია ამ დაზგისადმი მიკუთვნებული ყველა ხელსაწყოები. აქ აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ჩარხებს ფეხით ამუშავებენ იმ დროს, როდესაც სასწავლებელს ჩინებული საკუთარი მოტორი აქვს. როდესაც გამგეს ვკითხე ამის მიზეზი, მიპასუხა: ქვემო სართულში ადგილი არა გვაქვს, რომ სადურგლო გავხსნათ და მოტორი დავდგათ; ზემო სართულში მოტორის დადგმა შეუძლებელიაო.

ელექტრო-ტეხნიკური ლაბორატორია—საიდანაც ნაწილდება ელექტრო-ნაკადი, მოთავსებულია ვრცელ, ნათელს ოთახში. ყურადღებას იქცევს მოწაფეების ლამაზი, მკვიდრი ნამუშევრები. განსაკუთრებით საყურადღებოა ის გარემოება, რომ მოსკოვის ერთი სავაჭრო-სამრეწველო განყოფილება უკვე შეკვეთებს აძლევს სასწავლებელს სკოლის ტიპის დინამო-მანქანების, ელექტროდრის მანქანებისა და შტატივების დასამზადებლად და სასწავლებელიც ჩინებულად ასრულებს ამ დაკვეთებს. ჯერ-ჯერობით შეკვეთილია 15.000 მანეთის მანქანა.

სახელოსნოში 8 ამერიკული სისტემის სახარატო ჩარხი დგას. იქვე სარანდე ჩარხი, ფრეზერი და ბორმანქანები (საბურღავი მანქანები) თავის ელექტრომოტორით.

დავათვალიერეთ აგრეთვე სასწავლებლის საზეინკლო და საიარაღო განყოფილებანი, თავის მოწყობილობით და ხელსაწყოებით, საწყობი სხვადასხვა სათადარიგო მასალებით, რადიოს კუთხე და სხვ.

ქუთაისის მცხოვრებნი ალმაცერად უცქერიან ამ სასწავლებელს. მაგრამ მისმა დაახლოვებით გაცნობამ დაგვარწმუნა, რომ სასწავლებელი კარგადაა დაყენებული, საკმაოდ მდიდარია თავის მოწყობილობა - მანქანებით და სწრაფი ნაბიჯით მიდის წინ. მარტო ის გარემოება, რომ რაღაც ორი წლის განმავლობაში ელექტროტეხნიკუმმა იმდენად მოამზადა მოსწავლეები, რომ მოსკოვიდან იღებს შეკვეთებს, საუკეთესო ჯილდოა სასწავლებლისათვის...

მაგრამ არ შეგვიძლია — სასწავლებლის ნაკლიც არ აღვნიშნოთ.

ჩინებული შენობა მოუვლელობით ფუჭდება. საშინელი სივიწროვის გამო, სამასწავლებლო ოთახში ხუთი - ექვსი განყოფილებაა მოთავსებული. ამავე მიზეზით ძვირფასი ქიმიური კაბინეტი დერეფანშია გაგდებული და ფუჭდება. სადურგლო განყოფილებაში ჩარხებს ფეხით ამუშავებენ იმ დროს, როდესაც ძვირფასი მოტორი უსარგებლოდ კუთხეში გდია. სივიწროვისავე მიზეზით ზოგიერთი განყოფილება ისეა მოკრუნჩხული, რომ მანქანების დადგმაც ვერ მოუხერხებიათ.

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ამჟამად სასწავლებელში 138 ძველი მსმენელია. წელს საგაზაფხულოდ იყო მოსული 133 მოწაფე, რომელთაგან გამოცდა ჩააბარა 72 ყმაწვილმა, მაგრამ კონკურსით მიღებულ იქნა მხოლოდ 35.

ახლო მომავალში განზრახულია სასწავლებელში გამოფენა გაიმართოს. ჩინებული განზრახვაა: ეს შეძლებას მისცემს ფართო მოსახლეობას დაახლოვებით გაეცნოს დასავლეთ საქართველოში ამ ერთად-ერთ ახალი ტიპის სასწავლებელს—ელექტროტეხნიკუმს, რომელსაც უეჭველად დიდი მომავალი აქვს.

დონ—ვალიანი.

სასამართლო

საყვარლების გულისათვის

მარია ბაგდოევა მსახურებდა საქართ. შრომის სახალხო კომისარიატში. მის მოვალეობას შეადგენდა საორთქლო ქვაბების მამოძრავებლებზე გაწერილ გადასახადის შეკრეფა. 1926 წლამდე სამი წლის განმავლობაში იმსახურა ისე, რომ არავის მის კეთილსინდისიერ მუშაობაში ეჭვი არ შეუტანია, თუმცა ისეთ მდიდრულ ცხოვრებას ეწეოდა, რომ მისი მცირე ჯამაგირით (5 თუმნამდე) ასეთი ფუფუნება წარმოუდგენელი იყო. მისდა საუბედუროდ ერთს დღეს მოხდა რევიზია; აღმოჩნდა, რომ ყველაფერი რიგზე არ არის:

რევიზია წააწყდა ყალბი ქაღალდების კვალს, —ზოგიერთი საბუთები სრულიად დაკარგული აღმოჩნდა.

გამოირკვა, რომ ბაგდოევის ქალს ყალბი ხელწერილების შედგენით, ზოგიერთი დოკუმენტების მოპარვით და სხვა ასეთი თაღლითობით მიუთვისებია და გაუფლანგავს 4.000 მანეთამდე.

საქმის გარჩევის დროს ბრალდებულმა ბაგდოევამ აღიარა თავისი დანაშაული და სცადა გაემართლებია იგი შემდეგი გარემოებით: თითქოს მან ბათომიდან თბილისში მგზავრობის დროს დაუახლოვდა ვიღაც პავლე ჩირიკოვი, რომელმაც მასთან ინტიმური კავშირი დაიჭირა, თითქოს მისგან იგი დაორსულდა კიდეც.

ბრალდებულის გადმოცემით, შემდეგში ჩირიკოვმა ისარგებლა მისი გამოუვალი მდგომარეობით და დაუწყო მას ფულის დატყუება, თითქოს იგი იმ მიზნით, რომ ფული გამოეტყუებია, მუდამ ემუქრებოდა მას, რომ ქვეყანას მოსდებდა მათი სქესობრივი დამოკიდებულების და მისი გარყვნილების ამბავს.

— ამ მუქარით დაშინებული იძულებული გავხდი შემედგინა ყალბი საბუთები და ამ საშუალებით მეშოვა ფული აფერისტ ჩირიკოვის დასაკმაყოფილებლადო, — აცხადებდა ბრალდებული, როგორც წინასწარი კვლევა - ძიების ისე უფრო მეტად კი საქმის გარჩევის დროს აღმოჩნდა, — მთელი ეს ისტორია შეთხზულია. არსად ქვეყნად პავლე ჩირიკოვი არ არსებულა.

გამოირკვა, რომ ბაგდოევას ქალს ჰყოლია რამოდენიმე საყვარელი (მხოლოდ არა ჩირიკოვი), რომელთაც ყოველგვარ ძალდატანების გარეშე უხვად ახარჯებდა კომისარიატის სალაროდან მოპარულ ფულს.

ერთ - ერთ ამ საყვარლიდან იგი მართლაც დაორსულებულა, და გამასწორებელ სახლში პატიმრობის დროს კიდეც შესძენია ბავშვი, მაგრამ სასამართლომ ვერ გამოარკვია, სახელდობრ —ვისია ბავშვი, ვინ არის მისი მამა.

აღმოსავლეთ საქართველოს საოლქო სასამართლომ გუშინ დაამთავრა ამ საქმის გარჩევა, ბრალდებული მ. ბაგდოევა დამნაშავედ სცნო წაყენებულ ბრალდებაში და მიუსაჯა მას ექვსი წლით თავისუფლების აღკვეთა წინასწარი პატიმრობის ჩათვლით.

„ამს"-ის თანამშრომელთა საქმე

წინა სხდომებზე დამთავრდა ყველა მოწმეების დაკითხვა, ექსპერტიზის ჩვენების ჩამორთმევა და გუშინ დაიწყო მხარეთა კამათი. სახელმწიფო ბრალმდებელმა ამხ. **ქავთარაძემ** უარი განაცხადა მოქ. ბალშტიკისა და დაგუნოვის შესახებ ბრალდების წაყენებაზე. განთავისუფლებულია აგრეთვე მოქ. უნაფქოშვილი 116 მუხლით გათვალისწინებული ბრალდებისაგან. ამგვარად ირკვევა, რომ მთელი 8 ათასი მანეთის გამფლანგველი არის ბრალდებული მელიავა.

შპალებ. და ხე-ტყის მასალა

თბილისში დაბრუნდა ა.-კ. რკ. გზ. გამგეობის წევრი ამხ. **ა. მ. ლევაშოვი**, რომელთაც ჩრდილო - კავკასიის რკინის გზებთან დასდო ხელშეკრულება 1927—28 წელში ამ.-კავკ. რკინის გზებისათვის 200.000 ცალ მუხის შპალების ჩაბარების შესახებ.

იმავე გზასთან დადებულია მეორე ხელშეკრულება, რომლის თანახმად მან ა.-კ. რკ. გზას უნდა ჩააბაროს ამავე პერიოდში 500.000 კუბიკური ფუტი ფიჭვისა და ნაძვის დახერხილი მასალა.

გარდა ამისა ა.-კ. რკ. გზებისათვის სატყეო სინდიკატისაგან უკვე შეძენილია 400.000 ცალი წიწვიანი შპალი, 80.000 კუბიკური ფუტი დახერხილი მასალა ვაგონების შესაკეთებლად და 200 კომპლექტი ისრების გადასაყვანი ძელები.

რკინისგზეზე

ამერიკული მოძრაობა

ამ.-კავკ. რკ. გზ. თბილისის უბანზე ორთქლმავლების მოძრაობის ამერიკული სისტემის შემოღების გამო, შექმნილია სპეციალური კომისია, რომელსაც დავალებული აქვს ორთქლმავლების დაცვისათვის მთელ რიგ ღონისძიებების შემუშავება.

ახალი ჩიხი

კასპი - მცხეთას შუა გაიხსნა ახალი ჩიხი.

ნავთის სინდიკატის დაკვეთა

საკავშირო ნავთის სინდიკატმა ა.-კ. რკ. გზ. გამგეობაში შეიტანა განცხადება ოქტომბრის განმავლობაში რკ. გზით ყოველდღიურად 250 ცისტერნა საექსპორტო ნავთის პროდუქტების გადაზიდვის შესახებ.

გზის მიერ უკვე მიღებულია საჭირო ზომები ამ დაკვეთის შესასრულებლად.

სატრანსპორტო ფაკულტეტისათვის

გზათა კომისარიატმა წინადადება მისცა ამ.-კავკ. რკ. გზ. გამგეობას გაიღოს საჭირო თანხები თბილისის სახელმწიფო პოლიტეხნიკურ ინსტიტუტის სატრანსპორტო - საექსპლოატაციო ფაკულტეტის შესანახად.

პასუხისგებაში მისცეს

დააპატიმრეს რკინისგზელები ალ. ლომიძე, პარმენ მიმინოშვილი, მათე მანაგაძე და ვლ. ორჯონიკიძე.

ისინი სარგებლობდენ თავის მდგომარეობით, (მათგან უმეტესი ნაწილი საბარგო კონდუქტორები იყვნენ) სისტემატიურად სძარცვავდენ ვაგონებს და მიჰქონდათ იქედან ფართლეული.

მათ შესახებ საქმის კვლევა-ძიება უკვე დამთავრებულია; ყველანი მიცემული არიან პასუხისგებაში.

ბიბლიოგრაფია

ა. სლეპკოვი

„ოპოზიციონური ნეომენშევიზმი"

(ახალი პლატფორმის შესახებ)

სახელგამი 1927 წ., გვ. 47, ფასი 20 კაპ.

ამხ. სლეპკოვის ბროშურა მიმართულია 15 ოპოზიციონერის მიერ ხელმოწერილ დოკუმენტის წინააღმდეგ, რომელიც წარმოადგენს ეგრედ წოდებულ „მემარცხენე ოპოზიციის" „ახალ" პლატფორმას. ამ პლატფორმის ძირითად დებულებათა ანალიზი ცხადყოფს, რომ პლატფორმის ავტორები არსებითად იმეორებენ იმავე ბრალდებას პარტიის ცენტრალური კომიტეტის წინააღმდეგ, რომელსაც უყენებს კომუნისტურ პარტიას საერთაშორისო მენშევიზმი.

ამხ. სლეპკოვი იხილავს „ახალი" პლატფორმის ავტორების შეხედულებას საერთაშორისო და სამეურნეო მდგომარეობაზე, არკვევს მათ დამოკიდებულებას გლეხობასთან და გაყავს პარალელი მენშევიკების პოზიციასთან ამ საკითხებში.

ავიღოთ მაგალითად ოპოზიციის საერთაშორისო „პერსპექტივა". პლატფორმის ავტორთა (საპრონოვ-სმირნოვის) თვალსაზრისით იმის მტკიცება, რომ რუსეთის რევოლიუციას აქვს საკმაო შინაგანი ძალა სოციალიზმის სრულად აშენებისათვის—ნიშნავს საერთაშორისო რევოლიუციის პერსპექტივის უარყოფას.

საერთაშორისო რევოლიუცია, საკითხის ასეთი დაყენების გამო,—აცხადებენ ისინი,—ხდება მხოლოდ ჩვენი რესპუბლიკის თავდაცვის საშუალებად." ამრიგად ამ ძირითად საკითხში საბჭოთა კავშირის საერთაშორისო იმპერიალიზმის თავდასხმისაგან დაცვის საკითხში—ოპოზიცია სავსებით ეთანხმება „სოციალისტური ვესტნიკის" ცილისწამებას, რომ ბოლშევიკები თითქოს „თავის სახელმწიფოებრივ კეთილდღეობას უფრო მაღლა აყენებენ მსოფლიო რევოლიუციის ინტერესზე".

ასევე ლიკვიდატორული პოზიცია უკავია საპრონოვ-სმირნოვის ჯგუფს სამეურნეო აღმშენებლობის საკითხში. მსგავსად საერთაშორისო მენშევიზმისა „15" განცხადება უარყოფს ჩვენს ქვეყანაში სოციალისტური მშენებლობის შესაძლებლობას და ამას ხსნის ჩვენი ქვეყნის ტეხნიკური ჩამორჩენილობით.

პარტიის ცენტრალური კომიტეტის ბოლშევიკურ ხაზს სახალხო მეურნეობის დარგში ის ახასიათებს, როგორც წვრილ-ბურჟუაზიულ ხაზს „ცენტრალური კომიტეტის პოლიტიკა მრეწველობის დარგში,—აცხადებს ოპოზიცია,—იმდენად გამსჭვალულია წვრილ-ბურჟუაზიული გადახრებით, რომ მას არ ძალუძს განახორციელოს არამც თუ სოციალიზმის მშენებლობის ამოცანები, არამედ ქვეყნისათვის საჭირო საწარმოო ძალთა განვითარების ამოცანაც-კი". ეს ციტატა ცხადყოფს, რომ საპრონოვ-სმირნოვის ჯგუფი არარაობათ აღიარებს ყოველგვარ მიღწევას სამეურნეო ფრონტზე და ამ საკითხშიაც სავსებით შეხმატკბილებული არის მენშევიკებთან.

ოპოზიცია უარყოფს ყოველივე ღონისძიებას, რომელსაც კი მიმართავს პარტიის ცენტრალური კომიტეტი, ჩვენში მეურნეობის სოციალისტური ელემენტების გასაძლიერებლად. ის ხელს უშლიდა პარტიის დირექტივის შესრულებას ფასების დაკლების შესახებ, სავსებით უარყოფდა რა საერთოდ ფასების რეგულიაციის შესაძლებლობას და „სოციალისტურ ვესტნიკის" მსგავსად გაიძახის საბჭოთა ხელისუფლების კულაკურ გადაგვარების შესახებ. კულაკი იპყრობს კოოპერაციას, სოფლის საბჭოებს, ზეგავლენას ახდენს პარტიის პოლიტიკაზე, თვით ცეკას პოლიტიკა კულაკური ხასიათისაა,—აი, ოპოზიციის არგუმენტაცია, რომელიც არაფრით არ განსხვავდება აბრამოვიჩებისა და დანების არგუმენტაციისაგან. საპრონოვ-სმირნოვი იქამდისაც კი მიდიან, რომ საბჭ. სახელმწიფოს აღიარებს რაღაც „ზეკლასიურ სახელმწიფოთ", რომელიც ოსხერხებულად „ქანაობს კლასებს შორის". ამ დებულებაშიაც საპრონოვ-სმირნოვის ჯგუფი სავსებით ეთანხმება „სოციალის. ვესტნიკს" და განსაკუთრებით ოტო-ბაუერს, რომელმაც დიდი ხანია რაც წამოაყენა „ზეკლასიური" სახელმწიფოს თეორია.

ოპოზიციის „ახალი" პლატფორმის დაწვრილებითი განხილვა აშკარავებს, რომ სოციალ-დემოკრატიული გადახრა, რომელიც დამახასიათებელია საერთოდ ოპოზიციისათვის მთლიანად, აშკარა მენშევიზმში გადადის და ამდენად გასაგები ხდება თუ რატომ უწოდებს მას ამხ. სლეპკოვი „ნამდვილ მემარჯვენე რევიზიონისტულ პლატფორმას" ოპოზიციონურ ნეო-მენშევიზმს".

მკითხველი.

შაქარი

სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოში შაქრის ტრესტის მიერ მოვლენილმა აგრონომმა **შეველიევმა** გააკეთა მოხსენება საქართველოში შაქრის მრეწველობის დაწყების და მისი პერსპექტივების შესახებ. როგორც მოხსენებიდან გამოირკვა შაქრის ტრესტს განზრახული აქვს 1927 — 28 წელშიაც განაგრძოს შაქრის ჭარხლის საცდელი თესვა ქართლში, რათა უფრო დარწმუნებით იქნეს გათვალისწინებული საქართველოში შაქრის წარმოების დაწყების შესაძლებლობა.

ჭარხლის საცდელ თესვასთან ერთად პარალელურად იწარმოებს შაქრის ქარხნისათვის შესაფერი ადგილის ამორჩევა და გეგმის შემუშავება. ჭარხლის თესვის მომავალ წელშიაც გასაგრძელებლად და ქარხნის გეგმის დასამუშავებლად შაქრის ტრესტის მიერ გადადებულია საჭირო თანხა.

შრომის დაცვა

შრომის სახ. კომისარიატმა გამოიმუშავა ღონისძიებები შრომის დაცვის დარგში, რომლის მიხედვით მომავალ წელს მუშათა შრომის პირობების გასაუმჯობესებლად მიღებული იქნება შემდეგი ზომები: შრომის დაცვის განყოფილებამ უნდა მიიღოს ზომები, რათა შრომის პირობების გასაუმჯობესებლად გადადებული თანხები ადმინისტრაციებმა მოახმარონ წარმოებებში შრომის პირობების გაუმჯობესების საქმეს: წარმოებებში დადგან ვენტილიატორები, მოახდინონ შენობათა გაფართოება, მოაწყონ სასაუზმე ოთახები, საპირფარეშოები, პირსაბანები, ტანისამოსის შესანახი განჯინები და სხვ.

ამასთან ერთად შრომის დაცვის განყოფილებას დავალებული აქვს სასტიკი ზომები მიიღოს ზედმეტი საათების მუშაობის წინააღმდეგ. თუ რომელიმე წარმოება საჭიროებს ზედმეტ მუშაობას და ამას ექნება მუდმივი ხასიათი, წინადადება მისცეს ადმინისტრაციას სამუშაოზე აიყვანოს უმუშევრები. შრომის დაცვის განყოფილებას აგრეთვე ევალება მიიღოს ზომები პროფსნეულების და წარმოებებში უბედურ შემთხვევების წინააღმდეგ.

შრომის სახ. კომისარიატმა აგრეთვე დაადგინა შრომის დაცვის განყოფილებამ მიიღოს მონაწილეობა ამა თუ იმ წარმოებისათვის ახალი შენობის გეგმის შედგენასა და განხილვაში, რათა ახალი შენობა სავსებით აკმაყოფილებდეს შრომის დაცვის პირობებს.

შრომის ბირჟაში

მოთხოვნილება მუშა-ხელზე

დღეს 23 სექტემბერს, შრომის ბირჟა სამუშაოზე იწვევს შემდეგ უმუშევართ:

კვალიფიციურ მუშათა 1-ლი სექცია: მელნიკოვ ვლადიმერ, არუტინოვ რუბენ, ჯაშია ვენიამინ, კორატენტიანც ვართან, ჩერკოშინ მიხეილ, ბაგუშაროვ დავით, ქუდიძე ნიკოლოზი, ანატოლი აფანასი, ივაშკინ ჩქან, ოისენსკი ანდრია, თათეოსოვ მიხეილ, შურმანიშვილი ალექსანდრე, თემურაზოვ მიხეილ, ბაღდასაროვ მიხეილ.

გონებრივ მუშაკთა მე-2-რე სექცია: დოლიძე გრიგორი, ხატიაშვილი მიხეილ.

მშენებელ მუშაკთა მეხუთე სექცია: იაივორსკი ალექსანდრე.

რკინისგზის მეშვიდე სექცია: ნიკურაძე პავლე.

ნარევი

უნივერსალური საათი

ერთმა ფრანგულმა ფირმამ დაამზადა საათი, რომელიც თავისი უნივერსალობითა და სირთულით სჭარბობს ყველას, დღემდე დამზადებულ საათებს. საათი უჩვენებს წამის მეასედ ნაწილებს, წამს, წუთს, აგრეთვე — დღეს, კვირეებს. თვეების რიცხვს, წელიწადს, მთვარის ფაზებს, მზის ამოსვლას და ჩასვლას, დროს 125 უმთავრესი ქალაქისათვის, ვარსკვლავების მდებარეობას ცაზე და სხვ.



გარდა ამისა, საათი მომარაგებულია თერმომეტრით, გიგრომეტრით (მოწყობილობა ჰაერის სინოტივის გამოსარკვევათ), ბარომეტრით, ალტიმეტრით (სიმაღლის მაჩვენებელი მოწყობილობა) და კომპასით. სულ საათი იძლევა 34 სხვადასხვა ჩვენებას. ამ საათის სიდიდე არ აღემატება ჩვეულებრივი ჯიბის საათის სიდიდეს. საათი შესდგება 1.000 ნაწილისაგან. ჩვეულებრივი საათი შესდგება 150 ნაწილიდან.

შვეიცარიაში გამოშვებულია საათები, რომელთაც სრულიად არა აქვთ ისარი. ამ საათების ციფერბლატზე არის უძრავი რგოლი, რომელზედაც აღნიშნულია წუთები. რგოლის შიგნით მოძრაობს რგვალი დისკო წუთების მაჩვენებლით. რგოლზე, იქ, სადაც ციფრი სამოცი სწერია, ქვევით არის ამოჭრილი ადგილი—საათების მაჩვენებელ ციფრებისთვის. როგორც წუთების მაჩვენებელი 60-ზე მიაღწევს, საათის ციფრი იცვლება.

სურათზე: მარცხნივ — ფრანგული რთული საათი, მარჯვნივ — ახალი შვეიცარული საათი.

რელსები ყინულიდან

ნორვეგიაში სატყეოებში და სხვა ადგილებში, სადაც ზამთრობით მარხილებით სარგებლობენ, ამჟამად ხშირად აწყობენ „ყინულის სარელსო გზას". გზას ტკეპნიან სპეციალური მანქანებით და მას აძლევენ ისეთ პროფილს, როგორც სარკინისგზო ხაზს იმ განსხვავებით, რომ ადგილი, სადაც რკინისგზაზე რელსებია დალაგებული, ყინულის გზაზე ჩაზნექილია იმ სიგანეზე, რომელიც შეეფერება მარხილის სიგანეს. შემდეგ გზის კიდეებზე ასხამენ წყალს, შუა ალაგს კი მოუსხმელს სტოვებენ. წყლით მოსხმული ადგილები იქცევა ყინულის ზოლად, რომელზეც მარხილი არაჩვეულებრივი სისწრაფით მისრიალებს.

შედეგები, რომლებიც ასეთი გზების საშუალებით მიიღეს, პირდაპირ განსაცვიფრებელია. საშუალო ღონის ცხენს, რომელსაც ჩვეულებრივ გზებზე არ შეუძლია 30—40 ფუთზე მეტი ტვირთის გადატანა, ამ გზებზე თავისუფლად გადააქვს 150—200 ფ. ტვირთი. ამრიგად, გზის გატარებითი უნარიანობა ხუთჯერ გაიზარდა.

მთავრობის მოქმედებანი და განკარგულებანი

დადგენილება № 62

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოსი

სამაზრო აღმასრულებელი კომიტეტის და ქალაქის საბჭოების მიერ სავალდებულო დადგენილებათა გამოცემისა და ამ დადგენილებათა დარღვევისათვის ადმინისტრატიული წესით გადასახდელის დადების დებულების დამტკიცებისა და სამოქმედოდ შემოღების შესახებ

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

1. დამტკიცებულ და სამოქმედოთ შემოღებულ იქნეს ამასთანავე დართული დებულება სამაზრო აღმასრულებელი კომიტეტების და ქალაქის საბჭოების მიერ სავალდებულო დადგენილებათა გამოცემისა და ამ დადგენილებათა დარღვევისათვის ადმინისტრატიული წესით გადასახდელის დადების შესახებ.

2. პირველ მუხლში აღნიშნული დებულების შემოღებისთანავე გაუქმებულ იქნეს სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის 1923 წ. მაისის 4-ის დეკრეტით დამტკიცებული დებულება სავალდებულო დადგენილებათა გამოცემის წესისა და მათი დარღვევისათვის ადმინისტრატიული წესით დასჯის შესახებ. (კან. კრ. 1923 წ. № 1-ლი, მუხ. 17) და სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის 1926 წლ. ივნისის 22-ის თარიღისა და მე-40 ნომრის დადგენილება ამ დებულების დამატების შესახებ (კან. კრ. 1926 წ. მე-3 №-რი, მუხ. 68).

3 წინადადება მიეცეს სამაზრო აღმასრულებელ კომიტეტებს, აგრეთვე იმ უწყებათ, რომელთა სავალდებულო დადგენილებანი დამყარებულია 1923 წლ. მაისის 4-ის დებულებაზე, ერთი თვის ვადაზე გამოაქვეყნონ იმ სავალდებულო დადგენილებათა სიები, რაც გაუქმებულ ან შეცვლილ იქნება ამასთანავე დართულ დებულებასთან შეფარდებით.

4. იმ პირთ, რომელთაც გადასახდელი 1923 წ. მაისის 4-ის დებულების თანახმად გამოცემულ სავალდებულო დადგენილებათა დარღვევისათვის დაედოთ, ხოლო საამისო დადგენილება ჯერ შესრულებული არ არის ან შესრულების სტადიაშია. ეს გადასახდელი უკეთუ იგი ამასთანავე დართულ დებულების მე-4 მუხლით დაწესებულ გადასახდელს აღემატება, შეუმცირდეთ იმ უმაღლეს საზღვრამდე, რაც სათანადოთ გათვალისწინებულია მე-14 მუხლის „ა" და „ბ" პუნქტებში.

ამ მუხლში აღნიშნული ღონისძიების შეფარდება დაეკისრება იმ ორგანოს, რომლის დადგენილებითაც გადაწყვეტილია გადასახდელი, და ასრულებულ იქნება როგორც ამ ორგანოთა თაოსნობით, ისე აღმასრულებელ ორგანოთაგან მიღებული ცნობების მიხედვით.

5. დაევალოს აფხაზეთის სსრ-სა და აჭარისტანის ავტონომიური სსრ-ს ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტებს გამოსცენ, ამა დადგენილებით დამტკიცებული დებულების საფუძველზე და ადგილობრივი პირობების მიხედვით, სათანადო დებულება.

სამხრეთ - ოსეთის ავტონომიური ოლქის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი გამოსცემს სათანადო დებულებას, რასაც შემდგომი დამტკიცებისათვის წარუდგენს სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმს.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე **ფ. მახარაძე.**

საქართველოს. სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე **ლ. ქართველიშვილი.**

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი **შ. მათიკაშვილი.**

ტფილისი—სასახლე.

დებულება

სამაზრო აღმასრულებელ კომიტეტების და ქალაქის საბჭოების მიერ სავალდებულო დადგენილებათა გამოცემისა და ამ დადგენილებათა დარღვევისათვის ადმინისტრატიული წესით გადასახდელის დადების შესახებ.

კარი 1.

სავალდებულო დადგენილებათა გამოცემა

1. სამაზრო აღმასრულებელ კომიტეტს და მის პრეზიდიუმს, აგრეთვე ქალაქის საბჭოსა და მის პრეზიდიუმს უფლება აქვს გამოსცეს სათანადო ტერიტორიის ფარგლებში სავალდებულო დადგენილება ამა დებულებით გათვალისწინებული საფუძვლითა და წესით.

შენიშვნა: ჭიათურა, ხაშურისა, ბორჯომისა და სამტრედიის ქალაქის საბჭოები გამოსცემენ სავალდებულო დადგენილებებს სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მიერ 1926 წლის ივნისის 22-ს დამტკიცებული დებულებას („სათემო საბჭოების მიერ სავალდებულო დადგენილებათა შემოღებისა და ამ დადგენილებათა დარღვევისათვის ადმინისტრატიული გადასახდელის დადების წესის შესახებ") საფუძველზე.

2. აღმასრულებელი კომიტეტის განყოფილებას და სხვა ადგილობრივ დაწესებულებას უფლება არა აქვს სავალდებულო დადგენილება გამოსცეს ხოლო, უკეთუ ეს საჭირო იქნება — უნდა — სთხოვოს სათანადო სამაზრო აღმასრულებელ კომიტეტს ან ქალაქის საბჭოს, რათა მათ გამოსცენ ასეთი დადგენილება.

3. აღმასრულებელ კომიტეტს და ქალაქის საბჭოს უფლება არა აქვთ სავალდებულო დადგენილების გამოცემა მიანდოს თავის ქვემდებარე დაწესებულებას ან თავისი უფლება სავალდებულო დადგენილების გამოცემისა ქვემდგომ აღმასრულებელ კომიტეტს გადასცეს.

4. სავალდებულო დადგენილება არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის ტერიტორიაზე მოქმედ კანონმდებლობას და სახალხო კომისარიატების დადგენილებებს, ინსტრუქციებს და სხვა აქტებს, და არ უნდა იმეორებდეს აღნიშნული აქტების შინაარს.

5. სავალდებულო დადგენილება შეიძლება შეეხებოდეს მხოლოდ იმ საკითხების მოწესრიგებას, რაც გათვალისწინებულია ამა დებულების მე-6 მუხლში, და აგრეთვე იმ საკითხებსაც, რის შესახებ სავალდებულო დადგენილების გამოცემის უფლებაც სამაზრო აღმასრულებელ კომიტეტს ან ქალაქის საბჭოს მინიჭებული აქვს განსაკუთრებული კანონით.

6. სამაზრო აღმასრულებელ კომიტეტს და მის პრეზიდიუმს, აგრეთვე ქალაქის საბჭოსა და მის პრეზიდიუმს უფლება აქვს გამოსცეს სავალდებულო დადგენილება:

ა) რევოლიუციონური წესრიგისა და უშიშროებისა, და აგრეთვე სახელმწიფო და საზოგადოებრივი ქონების დაცვისათვის; ბ) ხანძარის საწინააღმდეგო ღონისძიებათა განხორციელებისათვის; გ) სტიქიურ უბედურებასთან ბრძოლისათვის; დ) მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვისა და გადამდებ და სოციალურ სნეულებასთან ბრძოლისათვის; ე) საქონლის ჭირთან; (ეპიზოოტიასთან) და მავნებლებთან ბრძოლისათვის; ვ) თეატრებისა, კინოებისა, კლუბებისა, სათამაშოების დაწესებულებათა და სხვ. გახსნისა და მოქმედების წესისათვის; ზ) საზოგადო საყოველთაო სარგებლობის ადგილებში (სასადილოებში, რესტორნებში, ტრაქტირებში, სახაიებში, სასტუმროებში, ღამის გასათევ სახლებში, აბანოებში, საბანაო ადგილებში, საპარიკმახეროებში და სხვ.) ხოლო ქალაქად, ამისა გარდა, — საცხოვრებელ სადგომებში, ეზოებში და ქუჩებში სანიტარულ პირობების დაცვისათვის, კიბეებისა და სახლის ფასადზე სახლის ნომრების განათებისათვის და აგრეთვე სარდაფების გასაშრობათ ღონისძიების მიღებისათვის; თ) ისეთი შენობა ან მისი ცალკე ნაწილის შეკეთებისა, აღდგენისა ან დანგრევისათვის, რომელიც შეიძლება ჩამოინგრეს, და აგრეთვე სახურავიდან თოვლის ჩამოხვეტისათვის; ი) ქალაქებში ტროტუარებისა, მოკირწყლული ქუჩებისა, წყალსადენის ქსელისა და წყლის გასაშვები მილების შეკეთებისა და შენახვისათვის, აგრეთვე ქალაქად და სოფლად წყალსათავსი აუზების სანიტარული დაცვისათვის; კ) ტყეებისა და მცენარეებით დარგულ ადგილებისა, მინდვრებისა და ნათესების დაცვისათვის მტაცებლობისა, განადგურებისა და წახდენა - გაფუჭებისაგან; ლ) ვაჭრობის წარმოების დროისა და წესისათვის, იარმუკებსა, ბაზრებსა და სხვა სავაჭრო ადგილას წესრიგის დამყარებისათვის; მ) გამვლელი ჯარების დაბინავებისათვის.

7. სავალდებულო დადგენილება შეიძლება გამოიცეს ვადით არა უმეტეს ერთი წლისა, მისი სამოქმედოთ შემოღების დღიდან. ამ ვადის გასვლის შემდეგ სავალდებულო დადგენილება ძალასა ჰკარგავს, უკეთუ მას კვლავ არ დაადასტურებს და ხელ-ახლა არ გამოაქვეყნებს ის ორგანო, რომელმაც იგი გამოსცა.

8. სავალდებულო დადგენილებას ხელს მოაწერს აღმასრულებელი კომიტეტის ან ქალაქის საბჭოს თავმჯდომარე ან მისი მოადგილე და მდივანი, რის შემდეგაც იგი უნდა გამოქვეყნებულ იქნეს საყოველთაო ცნობისათვის.

9. ყოველ სავალდებულო დადგენილებაში აღნიშნულ უნდა იქნეს ის ტერიტორია, რომელზედაც იგი ვრცელდება; ამასთანავე დადგენილება შეიძლება ვრცელდებოდეს როგორც მთლად შესაფერ ტერიტორიაზე, ისე მის ნაწილზე, რაც გარკვევით უნდა აღინიშნოს დადგენილებაში.

10. სავალდებულო დადგენილებაში აღნიშნულ უნდა იქნას მისი ძალაში შესვლის ვადა. ეს ვადა ორ კვირაზე ნაკლები არ უნდა იყოს დღიდან სავალდებულო დადგენილების გამოქვეყნებისა იმ ადგილას, რომელზედაც ეს დადგენილება ვრცელდება, გარდა ისეთი შემთხვევისა, როდესაც გარემოება მოითხოვს განსაკუთრებულ სისწრაფეს. მაგალითად გამვლელი ჯარების დაბინავება, ბრძოლა სტიქიურ უბედურებასთან, ეპიდემიასთან, საქონლის ჭირთან (ეპიზოოტიასთან).

11. სავალდებულო დადგენილებაში გათვალისწინებულ უნდა იქნეს ადმინისტრატიული თუ სასამართლო წესით აგებს პასუხს სავალდებულო დადგენილების დამრღვევი. ორივე შემთხვევაში აღნიშნულ უნდა იქნეს ის გადასახდელი, რაც შეიძლება დაედოს სავალდებულო დადგენილების დამრღვევ (მ. მ. 15—17).

12. სავალდებულო დადგენილება ვრცელდება როგორც კერძო პირებზე, ისე სახელმწიფო დაწესებულებასა და საწარმოზე და საზოგადოებრივ ორგანიზაციაზე; ამასთანავე სათანადო თანამდებობის პირი პასუხს აგებს ადმინისტრატიული წესით ისევე, როგორც კერძო პირი.

13. სავალდებულო დადგენილების ასლი სამი დღის ვადაზე დღიდან ხელის მოწერისა უნდა წარედგინოს შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატს.

14. ინსტრუქცია სავალდებულო დადგენილების შეფარდებისათვის იმ აღმასრულებელმა კომიტეტმა უნდა გამოსცეს და ქალაქის საბჭომ, რომელმაც სათანადო სავალდებულო დადგენილება გამოსცა.

(გაგრძელება იქნება)

წერილი რედაქციის მიმართ

ამხ. რედაქტორო:

ნება მომეცით თქვენი გაზეთის საშუალებით განვმარტო შემდეგი: 13 ამ თვეს, ორმა ახალგაზრდამ მთხოვა მიმეღო მონაწილეობა მათ მიერ გამართულ საღამო-წარმოდგენაში კაცხოველის და ჩოდრიშვილის სახელობის კლუბში. მე სხვადასხვა მიზეზების გამო გადაჭრით უარი უთხარი. მიუხედავად ამისა, აფიშებზე მაინც გამომაცხადეს, როგორც საღამოს მონაწილე და იმდენი სითამამე გამოიჩინეს, რომ სცენიდან დამსწრეთ აცნობეს: ნიკო გოცირიძის ავადმყოფობის გამო [illegible] შესრულდება [illegible] შეიძლება [illegible] რომელმაც [illegible] როდესაც იცოდა, რომ მე ამ საღამოს სრულიად ჯანსაღი ვიყავი.

ნიკო გოცირიძე

იურიდიული რჩევა-დახმარება

ბათომელ გაიოზ ნე-ძეს

კითხვა

თქვენ გვეკითხებით იმის შესახებ, თუ ვინ ითვლებოდა დაზღვეულის ოჯახის წევრად, რომელსაც აქვს უფლება დამზღვევ სალაროდან მიიღოს დახმარება.

გიპასუხებთ

თანახმად საკავშირო სოცდაზღვევის საბჭოს 1927 წ. 13 იანვრის დადგენილებისა № 9-ის მუხ. 9-ისა, დაზღვეულის ოჯახის წევრებად ითვლებიან დაზღვეულის მეუღლე, მშობლები, და შვილები, ძმები, დები, შვილად აყვანილები (16 წლამდის, მოწაფეები—18 წლამდის) ან და თუ კი შეპყრობილი არიან ისინი მუდმივი შრომის ინვალიდობით ფიზიკური ან და სულიერი ავათმყოფობით' დაბადებიდან, ან და მათ ასეთი ავათმყოფობანი შეეყარათ 16 წლამდის.

დაზღვეულის ოჯახის წევრებათ ითვლებიან აგრეთვე ბებია და ბაბუა, თუ ამ უკანასკნელთ არა ჰყავთ შვილები, რომლებიც ვალდებული არიან არჩინონ ისინი.

დანარჩენი პირები თუნდ ასეთები მუდმივად ცხოვრობდენ დაზღვეულის ოჯახში) მისი ოჯახის წევრებად არ ითვლებიან და დამზღვევ სალაროდან დახმარებას ველარ მიიღებენ.

თემალმასკომს

კითხვა

ვის და რა წესით უნდა გადახდეს სალერბო გადასახადი დაკვეთებზე?

გიპასუხებთ

თანახმად სალერბო წესდების ტაბელი პარაგ. 37, მუხ. 29-ისა, იმ დაკვეთებზე, რომელიც მიღებულია განსაზღვრულ პირობებში, ორივე მხარის შეთანხმებით შესასრულებლად, სალერბო გადასახადს იხდის დაკვეთის მიმღები იმ საპასუხო უწყისზე, სადაც იგი გამოსთქვამს თავის თანხმობას შეკვეთის შესასრულებლად მიღების შესახებ. აღნიშნულ შემთხვევებში სალერბო გადასახადები უნდა იქნას გადახდილი პროპორციონალურად ხელშეკრულება-გარიგების ფასის ნახევარი პროცენტის რაოდენობით, (ე. ი. თუ დაკვეთის შესრულება ეღირება ათასი მანეთი, სალერბო გადასახადის რაოდენობა იქნება ასეთი: 1000 : 100½ პროც.=5 მ.) (ე. ი. 1000 მან. უნდა გაიყოს ასზე და გამრავლდეს ნახევარზე (½)=5 მან.)

კურორტებზე მომუშავე სეზონურ მუშებს

კითხვა

საკურორტო სეზონის დამთავრების გამო სეზონურ მუშებს მოგველის მასიური დათხოვნა, გვიპასუხეთ გვაქვს თუ არა უფლება მოვითხოვოთ გაძლიერებული გასავლელი დახმარება?

პასუხი

თანახმად საკავშირო შრომის სახკომატის 1927 წ. 20 ივნისის დადგენილება № 141-ისა, იმ დათხოვნილებს, რომელთა სამსახურიდან დათხოვნა გამოწვეულია სეზონის დამთავრებით, აწ და ნედლი მასალის უქონლობით აღარ მიეცემათ გაძლიერებული გასასვლელი (გასამკეცებული და გაოთხკეცებული—1½-დან 2 თვემდე) დახმარება. ამიტომ, ამხანაგებო, თქვენ ველარ მოითხოვთ ასეთს და თუ მოითხოვთ, იქნება უკანონო და ვერც მიიღებთ.

მაზრის ალმასკომს

კითხვა

საჭიროა თუ არა ქირავნობის ხელშეკრულებათა სანოტარო წესით გატარება?

პასუხი

ქირავნობის გარიგება-ხელშეკრულებები მათი ბათილობის რიდით აუცილებლად ქმნილი უნდა იქნეს სანოტარო წესით, თუ კი ხელშეკრულება შეეხება სახელმწიფო ან კომუნალურ საწარმოოს დაქირავებას. (იხ. სამოქალაქო სამართლის კოდექსის მუხ. 153).

მაზრპროფბიუროს

კითხვა

თქვენ გვეკითხებით, დასაშვებია თუ არა, საეკლესიო გუნდში მომღერალნი, ეკლესიის მეზარე და დარაჯები, რომლებიც დაქირავებული არიან ეკლესიის მსახურთა მიერ, იყვნენ პროფკავშირის წევრები.

გიპასუხებთ

თანახმად საკავშირო პროფკავშირთა საბჭოს ინსტრუქციისა პროფკავშირებში წევრად მიღებისა, ან და პროფკავშირებიდან გარიცხვის შესახებ (გამოქვეყნებულია გაზ. „ტრუდ"-ში № 247-ში 1926 წ. 26 ოქტომბრიდან) ყველა საეკლესიო მგალობლები, მეზარეები, გარმონისტები და დარაჯები დასაშვებია და კანონიერია იყვნენ კავშირის წევრები, როგორც დაქირავებული შრომით მომუშავენი.

სად. სამტრედიის ელმჭერ. ამხ. შალვა კოპალეიშვილს

პასუხი

მიწის გაცვლა-გამოცვლა დაიშვება მხოლოდ მაზრის საადგილ-მამულო ორგანოების ნებართვით, რომელსაც გირჩევთ თქვენ მიმართოთ. (იხ. მიწათმოქმედების სახკომატის 1926 წ. 2 სექტემბრის დადგენილება № 10-ის მუხ. 3 გამოქვეყნებულია გაზ. „კომუნისტ"-ში 1926 წ. 5 სექტემბრიდან № 205-ში).

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

— საქ. კომპ. ცენტრ. საკონტროლო კომისია სთხოვს ამხ. ლეონტი ლ. ტყაბლაძეს გამოცხადდეს 24 სექტემბერს, დილის 8 საათზე, საქართ. კომპ. ცენტრ. საკონტრ. კომისიაში (რუსთაველის პრ. 24, მესამე სართული. ოთახი 12).

— საქ. კომპ. ცენტრ. საკონტროლო კომისია სთხოვს ამხ მიხეილ ბესარიონის ძე კაკულიას, ვარლამ კუბეციას, გრიგოლ ცინცაძეს (შრომის კომისარიატის უჯრედიდან) და კიტუაშვილს (პირვ. რაიკომის მე-23-ე კომუჯრედიდან), გამოცხადდენ ორშაბათს, 26 სექტემბერს, დილის 9 საათისათვის, საქარ. კომპ. ცენტრ. საკონტროლო კომისიაში (რუსთაველის პრ. 24, მესამე სართული, ოთახი 12)

— ცეკას აგიტპროპ - განყოფილებაში, შაბათს 24 სექტემბერს, დილის 10 საათზე დანიშნულია სოფლის პროპაგანდისტთა გადასამზადებელ კურსების ლექტორთა კრება, რომელზედაც ვალდებულნი არიან დაესწრონ შემდეგი ამხანაგები: რაჟდენ მელაძე, აკაკი კალაძე, დიმიტრი მთვარელიძე, დ. ორაგველიძე, კერესელიძე და ჩერქეზიშვილის ქალი.

— საქ. კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტი მიმდინარე პოლიტიკის წრეებში მეცადინეობის ხელმძღვანელებად ქვემოდ ჩამოთვლილ რაიკომებს ამაგრებს შემდეგ ამხანაგებს:

პირველ რაიკომს: მეგრელიძე (ც. კ. საგიტაციო - საპროპაგანდო განყოფილება), ტალახაძე (იუსტიციის სახ. კომისარიატი), მაშკევიჩი (ცეკა), ნემერზელი (წითელარმიის პოლიტ. ამმ.).

მეორე რაიკომს: ლისოვსკი (საკ. კ. პ. (ბ) ამ.-კ. საოლქო კომიტეტი), რუბენი (საკ. კ. პ. (ბ) ამ.-კავკ. საოლქო კომიტეტი), მელნიკოვი (საკ. კ. პ. (ბ) ამ.-კავკ. საოლქო კომიტეტი), გრიგოლიანი, ბეგელაძე (თბილისის კომიტეტი), იმედაძე (ცენტრ. კომ.), ბოლოტნიკოვი (ამ.-კ. კომ. უნივ.).

მესამე რაიკომს: ვოსკანოვი (საკ. კ. პ. (ბ) ამ. კ. საოლქო კომიტეტი), გენკინი (ფინსახკომი), ვანციანი (ამ.-კ. ვაჭრობის სახ. კომისარიატი), სოსიანი (თბ. კომ.), ხუცუბიძე (მე-3 რაიკომი), მაქსიმოვი (თბილისის კომიტ.), პოლოსიანი (განათ. მუშაკთა კავ. ცენტრ. გამგ.).

მეოთხე რაიკომს: სუტირინი (საკ. კ. პ. (ბ) ამ.-კ. საოლქო კომიტეტი), იონოვი (ამ.-კ. კომ. უნივერს.), ოლინი (ამ.-კ. პოლიტ - სამართველოს მე-8 ათასეული), სნეგირიოვი (წითელარმიის პოლიტ-სამმართველო), რახმანი („რაბოჩაია პრავდა"), გრიგორიანი („რაბოჩაია პრავდა"), შოგირაძე (საკ. კ. პ. (ბ) ამ.-კ. საოლქო კომიტ.), თათარიშვილი (ცეკა), მთვარელიძე.

მიმდინარე პოლიტიკის წრეების ხელმძღვანელთა პირველი საერთო - საქალაქო კრება შესდგება კვირას, 25 სექტემბერს, დღის 12 საათზე, აგიტპროპ მუშაკის ცენტრ. კაბინეტში (რუსთაველის თეატრის შენობა, მე-3 სართული).

ნინუცა, მარინე, ლოლია, მეტია, ერმილე შვილებით და ანეტა სიხარულიძეები ამით იტყობინებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ გარდაიცვალა ძვირფასი მამა

მაქსიმე სიხარულიძე

დაკრძალვა კვირას, 25 სექტემბერს, 3 საათზე ქალ. ოზურგეთში.

3914

იაგორ ალექსის-ძე და მარიხე მაქსიმელის ასული ქელიძენი შვილებით, ამროსი და ლიზიკო ინწკირველები მეუღლეებით იუწყებიან, რომ 21 სექტემბერს ქ. ოზურგეთში გარდაიცვალა მათი ძვირფასი

მაქსიმელ იაკობის-ძე სიხარულიძე

დასაფლავება კვირას, 25 სექტემბერს ნაშუადღევის 3 საათზე ქ. ოზურგეთში.

3915

ეთერი
(სახელმწ. ოპერის ბაღში)
სოლეი
დარბაზი
(ბაღში, პლეხანოვ. № 91)
აპოლო
(არტის ბაღში).

კორინა გრიფიტი და კონვეი ტირლი
(სურათ „დიადი მარადიული"-ს გმირები)
მხატვრულ შედევრში
„წარსული და მომავალი"

მონოპოლურად მხოლოდ ჩვენს ეკრანზე საუკეთესო სურათი
„სამი ეპოქა"
მთავარ როლში—ბესტერ კეიტონი

მხატვრული შედევრი აღმოსავლეთის ცხოვრებიდან
„სიკვდილის მინარეთი"

სეზონის ახალი სურათი
КАТЬКА--БУМАЖНЫЙ РАНЕТ
მთავარ როლში—ვერენიკა ბუჰსინსკაია

0—17 ნ. 1388

ანონსი: საქართველოს სახკინმრეწვის უახლოესი გამოშვება „ამოკი"

თბილისის ალმასკომის ჯანმრთელობის
განყოფილება
ამით აცხადებს
კონკურსს
ქ. თბილისის ტერაპევტიულ პავილიონის
შენობის საესკიზო პროექტის შედგენაზე

ვადა საკონკურსო პროექტების ჩაბარებისა—1928 წ. 10 იანვარი, დღის 12 საათი

იმ გეგმებზე, რომელიც დააკმაყოფილებენ კონკურსის პროგრამის პირობებს, დანიშნულია ჯილდო:

1-ლი . . . 3000 მან.
2-რე . . . 2000 მან.
3-ვე . . . 1000 მან.

ჟიურის შემადგენლობა: თავმჯდომარე—თბილისის ალმასკომის კეთილ-მოწყობ ქ | განყოფილების გამგის მოადგილე მთ. ინჟენერი გ. ზ. ქურდიანი, წევრები: ინჟენრები **ზურაბიანი, კალგინი, თულაშვილი, თუმანიშვილი** და საავადმყოფოს მთავარი ექიმი **ლორთქიფანიძე**. კონკურსის დაწვრილებითი პირობების და ადგილმდებარეობის გეგმის მიღება შეიძლება თბილისის ალმასკომის კეთილ-მოწყობ ქ | განყოფილებაში (ოთახი 338) ყოველ დღე 11 საათიდან 1-ლ საათამდე.

ჟიურის თავმჯდომარე კ | მ. ქ | განყ.
გამგის მოადგილე მთ. ინჟ. ქურდიანი

ნ. 1697 1—1

საქართველოს მუზეუმის შენობის დამთავრებელი კომიტეტი
აცხადებს
საჯარო ვაჭრობას

მუზეუმის სხვა და სხვაგვარ საამშენებლო მუშაობაზე, რომლის ხარჯების საერთო თანხა 150 ათას მ. უდრის. ვაჭრობა შესდგება 10 ოქტომბერს, შუადღის 12 საათზე, მუზეუმის შენობაში.

პირობებისა და ცნობების მიღება შეიძლება იქვე, ყოველდღე დილის 9 საათიდან შუადღის 12 საათამდე.

ვაჭრობაში მონაწილეობისათვის საჭიროა ბეს შეტანა 3.000 მან. რაოდენობით. ბე შეტანილ უნდა იქნას კომუნალურ ბანკში.

ნ. 1696 2—1

კოოპერატიული კურსები

საქართველოს ერთწლიან კოოპერატიულ კურსებზე მეცადინეობა დაიწყება 15 ოქტომბერს

განცხადება მიიღება 10 ოქტომბრამდე. მსმენელებად მიიღებიან მხოლოდ კოოპერატიული ორგანიზაციებიდან გამოგზავნილი პირნი, რომელთაც უნდა ჰქონდეთ საშუალო სწავლა ან მის ფარგლებში ცოდნა. ჩარიცხვის წინ იქნება გამოცდები.

დაწესებულია გადასახადი პანსიონერთათვის 350 მან. პანსიონის გარეშეთათვის—120 მანეთი.

განცხადების შემოტანის დროს პანსიონერთაგან უნდა იქნას შემოტანილი 50 მ. გარეშეთაგან—20 მანეთი. ჩარიცხვისას პანსიონერებმა უნდა შემოიტანონ 100 მან. გარეშეებმა—30 მანეთი. დანარჩენი შემოტანის ვადა შემდეგ იქნება განაწილებული.

ვინც არ იქნება მიღებული, ფული უკან დაუბრუნდება.

განცხადებები და ფული უნდა იქნას შემოტანილი შემდეგი მისამართით: თბილისი ცეკავშირი, კოოპერატიული კურსების გამგეს.

3913. 2—1 **კურსების საბჭო.**

მიხეილ გედევანიშვილის
სახელობის
სამკურნალო
ხაწოლებით
ელექტრონით და სინათლით
სამკურნალო კაბინეტი
ნერვიულ და აგრეთვე იმ ავადმყოფთათვის, რომელნიც ფიზიკურ მეთოდებით ექიმობას საჭიროებენ. მიღება 2—3 და 6—8 საათ. თბილისი, ყორღანოვის ქ., № 20 1—25

ექიმი მეგრაბიანცი
დაბრუნდა და განაახლა ავადმყოფების მიღება.
ფილტვების, ტლეკის და გულის
სნეულებანი
ციების საგანგებო მკურნალობა ელექტრო-შუქით რენტგენის სამკურნალო კაბინეტში
სურათების გადაღება და რენტგენის სხივებით წამლობა
ხელოვნური მთის მზე. იონნოტერაპია. მიღება ყოველდღე დილ. 9—1 და საღ. 6—8 საათ.
ენგელსის ქ. № 23. ყოფ. ბებუთოვის ქუჩ. 13—1

ქ. თბილისის შრომის სახ. სასამართ. აღმასრულებელი
გრ. ა. დანელია

ამით აცხადებს, რომ ის 30 სექტემბერს 1927 წ. დღის 2 საათზე სახლში № 9 სადგურის ქუჩაზე **საჯარო ვაჭრობით** გაყიდის ვასილ ლეზინას მოძრავ ქონებას: ერთი წყვილი ნიკელის საწოლს, ბუფეტის შკაფს და სხ. საოჯახო ნივთებს შეფასებულს 629 მანეთად, ყოფ. მალ. კოოპერატივის ლიკვიდკომის მოსამსახურეების ვალის დასაკმაყოფილებლად თანახმად ქ. თბილისის მე-4 უბნის სახალხო სასამართლოსაგან 6 სექტ. 1927 წ. თარიღით, № 5323 გაცემულ აღმასრულებელ ფურცლისა.

ნ. 1695

ქ. თბილისის შრომის სასამართლოს აღმასრულებელი
გრ. ა. დანელია

ამით აცხადებს, რომ ის 28 სექტემბერს 1927 წ. დღის 2 საათზე სახლში № 25 კობის ქუჩაზე **საჯარო ვაჭრობით** გაყიდის ევგენი ლომაძის უძრავ ქონებას: სამსართულიან თუნუქით დახურულ სახლს, რომელიც შესდგება 12 ოთახისაგან საჭირო ბინებით, კანალიზაციით და სხ. შეფასებულს 5000 მანეთად, თბ. საურთიერთო ნდობის საზოგადოების მუშების დასაკმაყოფილებლად თანახმად ქ. თბილისის მე-2 უბნის სახალხო სასამართლოსაგან 28 თებ., 3 მარტს 1927 წ. თარიღით, № 1170—1185 გაცემულ აღმასრულებელ ფურცლისა. ვაჭრობა ჩატარებულ იქნება ს.ს.ს. კოდექსის 311—312 მუხ. დაცვით და შემოძლეულ ფასიდან.

ნ. 1695

ქ. თბილისის შრომის სასამართლოს აღმასრულებელი
გრ. ა. დანელია

ამით აცხადებს, რომ ის 27 სექტემბერს 1927 წ. დღის 2 საათზე სახლში № 52 პეტროვის ქუჩ. **საჯარო ვაჭრობით** გაყიდის იოსებ ლომაძის უძრავ ქონებას: ორსართულიან სახლს, თუნუქით დახურულს, რომელიც შესდგება 12 ოთახისაგან ყველა საჭირო ოთახებით და ორ ცალკე აშენებული ფლიგელით შეფასებულს 6000 მანეთად, საურთიერთო ნდობის საზოგადოების მუშების დასაკმაყოფილებლად თანახმად ქ. თბილისის მე-2 უბნის სახალხო სასამართლოსაგან 28 აპრილს, 20 მაისს 1927 წ. თარიღით, № 1171, 1172, 1181, 1183, 1184, 1186. გაცემულ აღმასრულებელ ფურცლისა, ვაჭრობა ჩატარებულ იქნება ს.ს.ს. კოდექსის 311—312 მუხლების დაცვით და შემოძლეული ფასებიდან იწარმოებს.

ნ. 1695

ქ. თბილისის შრომის სასამართლოს აღმასრულებელი
გრ. ა. დანელია

ამით აცხადებს, რომ ის 26 სექტემბერს 1927 წ. დღის 2 საათზე სახლში № 5 ლენინის ქუჩაზე **საჯარო ვაჭრობით** გაყიდის მოქ. სერგო კახეთელიძის მოძრავ ქონებას: სასადილო „მცხეთის" მოწყობილებას: სკამებს, მაგიდებს და სხვა და სხვა ჭურჭლეულობას შეფასებულს 250 მანეთად, სახ. კვების კავშირის ვალის დასაკმაყოფილებლად თანახმად ქ. თბილისის შრომის სახალხო სასამართლოსაგან 6 სექტ. 1927 წ. თარიღით, № 3246 გაცემულ აღმასრულებელ ფურცლისა.

ნ. 1695

ექიმი ი. ი. გერიშვილი
ვენერიული, საშარდე—სასქესო ორგანოების, სიფილისი და კანის ავადმყოფობა
დილით 9—1 საათ., საღამოს 5—8 ს. ქალებისთვის ცალკე შესავალი. სასტუმრო „ევროპას" (ყოფ. „ნოეს" პირდაპირ „ჩოდრიშვილის" შესახვევი ყოფ. პლეხანოვის შესახვევი) № 8

ექიმი
ა. დ. კეკელია
სიფილისი, ვენერიულ და კანის სნეულება.
მიღება 8—12 დილ. 7—9 საღამ.
პლეხანოვის პრ. № 116.

ექიმი
გ. ნ. ონანოვი
სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულებანი, სქესობრივი სისუსტის ექიმობა
ავადმყოფების მიღება დილით 9 საათიდან 12 საათამდე, საღამოთ 5—8 ს-დე. ქალების 7—8 ს-დე.
ელისაბედის ქუჩა, № 3. 25—

კბილის ექიმი
ა. გ. სოლოლაშვილი
დაბრუნდა და განაახლა
ავადმყოფების მიღება რუსთაველის პროს. № 12.
13—1 3846

მედიცინის დოქტორი
ა. ა. მონსე
განაახლა ავადმყოფების მიღება ყოველ დღე 10—1 საათამდე და საღ 6—7 საათამდე
როგორც მოზრდილთა, ისე ბავშვთა შინაგანი ორგანოებისა და ნერვიული სისტემის ავადმყოფობათა მკურნალობა. გიანოზი.
კამოს (ყოფ. დიდი მთავრის) ქუჩა № 17, ზემო სართული. 25—

ექიმი მ. ო. ზანდუკელი
დაბრუნდა და დაიწყო ავადმყ.
მიღება
შინაგან და ნერვიულ ავადმყ. ელექტრონით და სინათლით მკურნალობა
ავადმყ. მიღება ახალი მისამართით ლენინის ქუჩა (ოლღას ქ.) № 11 საღ. 7—8 საათ.
ტელ. 4—82 25—1

სათვალეების მორგება
უფასოდ



ექიმ სპეციალისტის მიერ „სახმედვაჭრობის" ოპტიკურ განყოფილებაში დღის 1—5-დე. პლეხანოვის გამზირი № 106 (ყოფ. მიხეილის პრ. პექტი) ტელ. 3—63. 25—1

ექიმი ქ. ს. ფონ-ირტელი
საშარდე, სასქესო, ვენერ., სიფილისი, კანის და ქირურგ. ავადმყოფობანი
(სიმსივნე, ბუასილი, სქესობრ. უძლურება, სიფილისი და ტრიპერი და მათი შედეგები) სპეციალისტი.
ელექტრო მკურნალობა და ოპერაცია. ავადმყოფების მიღება დილის 7 ს-დან 11 ს-მდე, საღამოს 5—7 ს-მდე. ქალების მიღება დილის 11 ს-დან 1 ს. პლეხანოვის პრ. № 10, მარქსის მოედანის ახლო, (ყოფ. ვორონცოვის) 3645—18—1

ექიმი
გ. ი. მირიანაშვილი
შინაგანი სნეულებანი
მიღება დილის 8—10
ორჯონიკიძის (ყ. ანდრეევის) ქ., № 74

ექიმი ჯალალოვი
დაბრუნდა და განაახლა ავადმყოფობის მიღება
სიფილისი, ვენერიული და კანის ავადმყოფობანი, შეშხაპუნება „914". ტრიპერისა და მისი შედეგების წამლობა.
ავადმყოფ. მიღება დილ. 8—9—საათამდე საღამოს 5—8 საათამდე. ქალების მიღება 2—3 საათ მისამართი: კამოს ქუჩა, № 19 (ყოფ. დიდი მთავრის ქ.), ყოფ. ვორონცოვის ძეგლის მახლობლად. 25—1

დაიკარგა ფეიქართა კავშირის წიგნაკი № 824 და მმაჩის მოწმობა გიორგი პაპლეს-ძე არჩვაძეს სახელზე, ნ. გ. 3910

დაიკარგა სამხედრო აღრიცხვის წიგნაკი, გაცემული თბილისის 1-ლი სამილიციო უბნის მიერ ნ. ნიჟარაძის სახელზე, ნ. გ. 3912

დაიკარგა თბილისის დამზღვევ სალაროს წიგნაკი № 7767—2412. ვ. გაგოშიძეს სახელზე, ნ. გ. 3911

დაიკარგა საანგარიშო წიგნაკი № 1230 ავეტიქ შაჰნაზარაძეს ამირხანოვის სახელზე, ნ. გ. 3916

ალმასკომის სტამბა, კამოს ქ. 68.